საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

ყაზბეგი

№034
(12 104)
12 თებერვალი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

# აშვეთიას გოლი და ლომაიას გმირობა



წამიც და აშვეთია (34) ანგარიშს გახსნის


ლომაია დროულად გამოვიდა

- იაშვილის მეცხრე საგოლე პასი
- კალაძე რეზერვში გამოჩნდა
- ხიზანიშვილი ძირითადში დაბრუნდა

ქართული ლეგიონის უქმეები 5







## კარგია, რაც კარგად მთავრდება!

### ადგილი შენარჩუნებულია, სერბეთის რა გითხრათ...

| I წრე. 9–11 თებერვალი. სპორტის სასახლე |
| --- |
| **საქართველო–პორტუგალია 3:2** |
| ირაკლი ლაბაძე-რუი მაჩადო 7:5, 6:3, 7:6 (3) |
| ლადო ჩიხლაძე-ფრედერიკო ჟილი 6:3, 7:6 (2), 6:7 (3), 6:4 |
| ჩიხლაძე/ლაბაძე-გასტაო ელიაში/ ფედერიკო ჟილი 7:6 (6), 6:7 (7), 7:6 (4), 5:7, 6:3 |
| გიორგი ჭანტურია-პედრო სოუზა 2:6, 4:6 |
| გიორგი ხრიკაძე-გასტაო ელიაში 3:6, 6:7 (5) |

ზვიად შათირიშვილი

საქართველოს ნაკრებმა პორტუგალია 3:2 დაამარცხა და პროგრამა მინიმუმი პირველივე წრეში შეასრულა - ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში შარშან მოპოვებული ადგილი შენარჩუნებულია!

პირველი დღის შემდეგ ქართველთა საბოლოო წარმატება ახლოს იყო - 2:0 ვიგებდით და შესაძლო იყო, ყველაფერი შაბათის წყვილთა მატჩს გადაეწყვიტა. ჩვენგან კვლავ ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე გავიდნენ კორტზე, სტუმრებმა კი თავიანთ ლიდერს, ფრედერიკო ჟილს 16 წლის გასტაო ელიაში შეუწყვილეს.

წყვილთა შეჯიბრს თავისი სპეციფიკა აქვს, თუმც ლაბაძე-ჩიხლაძის დუეტს ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა არ უჭირს და ხშირად ამაზე უფრო ძლიერი ტანდემისთვისაც მოუგია. ამისი და წინადღით მოპოვებული გამარჯვებების შედეგად მიღებული განწყობის გამო, შესაძლოა, ვინმე იოლად მოგებასაც ფიქრობდა....

11



იტალია

**რონალდომ მილანს ხიბლი შესძინა**

ინტერის ზედიზედ მეთხუთმეტე გამარჯვება და ევრორეკორდი



ესპანეთი

**ბექჰემის გოლმა კაპელოს შეცდომა აღიარებინა**

ბარსელონა სამი ქულით დაწინაურდა



გერმანია

**შალკე გაფრინდა, პიტცფელდმა პირველი მოიგო**

ევროუიქენდის მიმოხილვა 6-9

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მეორე წრის წინ. დინამო


ილია სპასოევიჩი (მარცხნივ)

# უგრინი და დინამოს ახლები

## დუშან უგრინი: დინამო მზადაა

**"კახეთთან" მატჩის შემდეგ თბილისის "დინამოს" მთავარ მწვრნელ დუშან უგრინს რადენიმე კითხვით მივმართეთ.**

- სამი დღეა რაც თბილისში დავბრუნდით. კლიმატსა და დროში სხვაობის მიუხედავად ფეხბურთელები თავს ჩინებულად გრძნობენ. ერთი სიტყვით, ადაპტაციის პრობლემა არ გვაწუხებს...

რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, საგოლე მომენტების გამოყენების პროცენტი დღეს უფრო მაღალი იყო. თუმცა, ამ მხრივ, კიდევ მომატება ნამდვილად არ გვაწყენდა.

**- ახალ ფეხბურთელებზე რას გვეტყოდით?**

- ნედ ზელიჩმა ჩვენი მოლოდინი გაამართლა და მას უკვე გავუფორმეთ კონტრაქტი. ის მაღალი კლასის მცველია და ჩვენს გუნდს დიდ სარგებელს მოუტანს. დამაჯერებლად თამაშობს დავით დილმელაშვილი. მიროსლავ კრშკოც კარგი მცველია. ილია სპასოევიჩმა დღეს პირველი გოლი გაიტანა და ვნახოთ.

**- ერთი კვირაც და სეზონი სათასო მატჩებით განახლდება. რა მდგომარეობაშია გუნდი?**

- ფიზიკური კონდიციების მხრივ, სრულად მზადაა. რაც შეეხება ტაქტიკა-სტრატეგიას, მოსამზადებელ შეკრებებზე ჩატარებულ მატჩებში, რამდენიმე ტაქტიკური სქემა მოვსინჯეთ და ამ მხრივაც კარგად მიდის საქმე.

**- კლუბმა ზელიჩთან კონტრაქტი გააფორმა. ვიცით, რომ კრშკოსთანაც მალე მოგვარდება ეს ფორმალობა. სპასოევიჩის საქმე როგორაა. მას დაიტოვებთ?**

- ორიოდე დღეც და ყველაფერს გაიგებთ. სამშაბათს კლუბის წარდგენა იქნება და ყველაფერს იქ გაიგებთ.

## მიროსლავ კრშკო: კონტრაქტს მალე გავაფორმებ

**უგრინის შემდეგ სლოვაკ მცველ მიროსლავ კრშოს გავესაუბრეთ, რომელსაც რუსულიც ესმის, მაგრამ ინგლისურად ამჯობინებს საუბარს.**

- "დინამოში" ჩვეულებრივი სამუშაო ატმოსფეროა. მზადება კარგ ტემპში მიდის და მჯერა, სეზონის მეორე ნახევარში კარგი შედეგები გვექნება. გუნდში ჩინებული ატმოსფეროა. "დინამო" მეგობრული კოლექტივია და აქ თავს ჩინებულად ვგრძნობ. მჯერა, მალე კონტრაქტსაც გავაფორმებ, რომელიც, სავარაუდოდ, ორწლიანი იქნება.

**- ფეხბურთელებზე რას იტყოდით?**

- ყველანი კარგი ბიჭები არიან. ისინი მოედნის მიღმაც კონტაქტური და თბილი ადამიანები არიან. მათ გვერდით თავს ჩინებულად ვგრძნობ... რაც შეეხება სპორტულ მხარეს, ყველაზე დიდი კონკურენცია ნახევარდაცვაშია. არც დაცვასა და თავდასხმაში არ უნდა გაგვიჭირდეს. ერთი სიტყვით, მალე სეზონი განახლდება, იმედი მაქვს, შედეგიანად ვიასპარეზებთ და ჩემპიონობას მოვიპოვებთ.

**- ოჯახი თუ გყავთ?**

- დიახ, მეუღლე და 2 თვის გოგონა მყავს.

**- თბილისის ნახვა მოასწარით?**

- კი, თანაგუნდელებთან ერთად თბილისის რამდენიმე უბანი დავათვალიერე. ყველაზე მეტად ქალაქის ცენტრი მომეწონა. აშკარად იგრძნობა, რომ ქართველები თბილი, კეთილი და კონტაქტური ხალხი ხართ. მართალი გითხრათ სიამოვნებით ვითამაშებდი და ვიცხოვრებდი საქართველოში.

**- გუნდში ახლო მეგობრად ვის მიიჩნევთ?**

აქ საუბარში კრშკოს გვერდით მჯდომი ზელიჩი ჩაერია, ხუმრობითა და დამტვრეული ქართულით მიპასუხა:

- არა კავს მეგობარი... (იცინის)

ყველამ გულიანად გავიცინეთ და კრშკომ საუბარი განაგრძო

- ნედი, რალა თქმა უნდა, ხუმრობს. ის ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია. საერთოდ, ნებისმიერ დინამოელს ჩემს მეგობრად მივიჩნევ და მჯერა, ისინიც იგივეს ფიქრობენ ჩემზე.

## ზელიჩს ქართული ოქრო სურს

**მიროსლავ კრშკოს შემდეგ ნედ ზელიჩის ჯერი დადგა:**

- ანთალიურ შეკრებაზე რამდენიმე კარგი ტესტმატჩი გავმართეთ. ის და დღევანდელი შეხვედრა ჩვენს გუნდს აშკარად წაადგება. ბოლო უცხოურ შეკრებაზე ჩემი საკითხი დადებითად გადაწყდა და კლუბთან კონტრაქტიც გავაფორმე. ასე რომ, ბედნიერი ვარ და "დინამოს" შედეგიანი და წარმატებული თამაშისთვის მაქსიმუმს გავიღებ.

**- როგორ ფიქრობთ, "დინამოს" ჩემპიონობის რა შანსი აქვს?**

- დავიწყოთ იქიდან, რომ "დინამო" საქართველოში დიდი სახელითა და რეპუტაციით სარგებლობს. ასე რომ მაქსიმალური მიზნებისთვის ბრძოლას თავად ამ კლუბის მდიდარი წარსული გვავალდებულებს. ჩემ გარდა გუნდს დევიდი (დავით დილმელაშვილი) დაემატა. ვფიქრობ, კრშკო და მარჯვენა ნახევარმცველი ჯორჯიც (გიორგი ფეიქრიშვილი) გააძლიერებენ გუნდს. ჩერნოგორიელი ილიაც არაა ცუდი ფეხბურთელი. ამას დაუმატეთ იაშკა (სანდრო იაშვილი) და სხვა დინამოელები... ვფიქრობ კარგი კონტინგენტი გვყავს და ნამდვილად შეგვიძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ჩვენ ამას ყველანაირად შევეცდებით, თუკი უშუალო კონკურენტებთან სასურველი შედეგით ვითამაშებთ და სხვა გუნდებთანაც არ დავკარგავთ ქულებს, ოქროს მედლებსაც მოვიპოვებთ. მართალი გითხრათ, მინდა, ჩემს კოლექციას ქართული ოქროც შეემატოს.

**- თბილისში ცოლ-შვილსაც ჩამოიყვანთ?**

- ეს სულაც არაა პრობლემა. მე მომწონს თქვენი ქვეყანა, ხალხი, თბილისი და ვიცი ჩემი მეუღლეც ამ აზრისა იქნება

**- როგორც ვხედავ, ქართულ ენასაც სწავლობთ. ასი სიტყვა უკვე აითვისეთ?**

- (იცინის)... მე ვარ თიბლისში, ერთი თვე მე ვარ თიბლისში. ქართული ცოტა ზნელია, მაგრამ ვსცავლობ. ორ თვეში ქართული უფრო უკეთ მეცოდინება.

## სპასოევიჩს დინამოში უნდა

**ბოლოს კი ილია სპასოევიჩსაც გავესაუბრეთ.**

- "დინამოს" ფორვარდი სჭირდება. ჩემი აგენტი დამიკავშირდა და ქართულ გუნდს ანთალიურ შეკრებაზე შევუერთდი.

**- აქამდე რომელ კლუბში ასპარეზობდით?**

- აქამდე "ვოევოდინაში", "ბუდუჩნოსტში", "სუტისკაში", მაგრამ თბილისის "დინამოში" ჩამოსვლამდე "ტელარევოში" ვთამაშობდი. ეს პირველი ლიგის გუნდია და იქ შემთხვევით მოვხვდი.

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- "ვოევოდინიდან" სხვა გუნდში ჩემს განათხორებაზე მიდიოდა მუშაობა, მაგრამ დოკუმენტაციის გაფორმება დროულად ვერ მოვასწარი და სხვა გზა აღარ დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ პირველ ლიგაში მეასპარეზა. ასე მოვხვდი "ტელარევოში".

**- რამდენადაც ვიცი 17 და 19-წლამდე ნაკრებეშიც ასპარეზობდი...**

- დიახ, სერბია-ჩერნოგორიის 17 19-წლამდე ჭაბუკთა ნაკრებებში გამოვდიოდი. 19-წლამდე ნაკრებში 15 მატჩში ვითამაშე და 5 გოლიც გავიტანე. სხვათა შორის 19-წლამდელთა ნაკრებში ჩემმა ყოფილმა მწვრთნელმა გუშინ დამირეკა, მომიკითხა და ამბავი მკითხა.

**- "დინამოში" თავს კარგად გრძნობ?**

- კი, ჩინებულად. მდიდარი წარსულის მქონე ცნობილი მწვრთნელი გვყავს, კარგი ფეხბურთელები და ატმოსფეროც ჩინებულია.

**- ოჯახი თუ გყავთ?**

- ცოლ-შვილი ჯერ არ მყავს. ორი ძმა მყავს. სხვათა შორის, მამაჩემი დრაგუტინ სპასოევიჩი მწვრთნელია და ის ყოფილ იუგოსლავიაში ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტად მიაჩნდათ. მან ხორვატიის "რიეკათი" ორჯერ მოიპოვა იუგოსლავიის თასი. ახლა მამაჩემი ჩერნოგორიის საფეხბურთო ასოცკიაციაში მუშაობს.

**- როგორ ფიქრობ "დინამოში" დარჩენა მოგიწევთ?**

- ვერაფერს გეტყვით. დღეს დილით მთავარმა მწვრთნელმა დუშან უგრინმა მიხმო და მითხრა, დღეს კიდევ ერთი გამოცდა მოგიწევს და ვნახოთ, თუ როგორ წარმოაჩენ თავსო. ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია, გოლიც გავიტანე და ვნახოთ რას გადაწყვეტს ჩემზე "დინამოს" ხელმძღვანელობა. რალა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნები, თუკი "დინამოსთან" კონტრაქტს გავაფორმებ.


ნედ ზელიჩმა კონტრაქტი გააფორმა, კრშკო ჯერ ელოდება

**დავით ცაბაძე**

# დინამომ კახეთი დაბომბა

## სპასოევიჩის პირველი ქართული გოლი

**დინამო-კახეთი 5:0**

1:0 შ. კაშია (3), 2:0 ფეიქრიშვილი (16), 3:0 ჯანაშია (42. მერებაშვილის პასით), 4:0 სპასოევიჩი (52), ხმალაძე (68).

დინამო: ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, თომაშვილი, ჯანაშია, ხმალაძე, დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი, სპასოევიჩი, მერებაშვილი.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: გრიშიკაშვილი, ლ. ნოზაძე, ხუციშვილი, გ. კაშია, იაშვილი, აკობია, ს. კობახიძე.

კახეთი: გ. იაშვილი, გ. კობახიძე, აბდულაევი, კუპრაშვილი, ლ. დავითაშვილი, გ. ხიდაშელი, ძამუკაშვილი, ბიძინაშვილი, ს. მაჩაიძე.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ბ. ბურნაძე, ამირანიძე, ლ. ბურნაძე, მ. ხიდაშელი, ტეტიაშვილი.

ანთალიაში გავლილი მეორე მოსამზადებელი შეკრების შემდეგ თბილისში დაბრუნებული "დინამო" მზადებას მშობლიურ ბაზაზე განაგრძობს. **დუშან უგრინმა** კიდევ ერთ საკონტროლო მატჩში გადაწყვიტა ძველი და ახალი ფეხბურთელების საქმეში ნახვა და გუშინ თავისი კრებული "კახეთს" გააჯიბრა. მიუხედავად იმისა, რომ დინამოელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს, **ვასილ არუდაშვილის** გუნდი ურიგოდ მაინც არ გამოიყურებოდა.

მასპინძლებმა მალევე მიაღწიეს სანდელს, **შოთა კაშიამ** მე-3 წუთზე დააწინაურა "დინამო". თბილისელები ამას არ დასჯერდნენ და ცოტა ხანში **გიორგი ფეიქრიშვილმა** ორამდე გაზარდა ანგარიში. თავის მხრივ "კახეთიც" არ იყო გულხელდაკრეფილი, **სევა მაჩაიძეს** შეეძლო ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე შემცირება, მაგრამ ვერ მოახერხა. ტაიმის ბოლოს "დინამომ" კიდევ ერთხელ დასაჯა მეტოქე, 42-ე წუთზე **ზამირ ჯანაშიამ მერებაშვილის** პასი შეირგო და 3:0.

მეორე ნახევარი შემადგენლობაშეცვლილმა „დინამო" ისევ აქტიურად დაიწყო. კახელებს ახლა უკვე ჩერნოგორიელმა ფორვარდმა **ილია სპასოევიჩმა** გაუტანა. 52-ე წუთზე გატანილი გოლი, პირველი იყო მისთვის "დინამოს" მაისურით. მართალია მას ოფიციალურად ჯერ არ გაუფორმებია კონტრაქტი "დინამოსთან", მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს ის და სლოვაკი **კრშკო** ახლო მომავალში გახდებიან დინამოელები. სპასოევიჩის გოლიდან 16 წუთში კი **ხმალაძემ** საბოლოო ანგარიში, 5:0 დააფიქსირა.

**დავით ცაბაძე**

## მილოცვა

"ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის" კოლექტივი გულთბილად ულოცავს წარსულში ცნობილ კალათბურთელს, ამავე სტადიონის ყოფილ დირექტორს, ბატონ [illegible] დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ულამაზეს ოჯახთან ერთად. უფალი ფარავდეს მას და მის ოჯახს.

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა





# ტორპედომ დილა დაამარცხა და დაშლას გადაურჩა

გუშინ ქუთაისის „ტორპედომ" საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე ამხანაგურ მატჩში გორის „დილას" უმასპინძლა. შეხვედრას ქუთაისელი ფეხბურთელები უხალისოდ ხვდებოდნენ. მიზეზი გუნდის მძიმე ფინანსური მდგომარეობა იყო. ტორპედოელები უკმაყოფილებას არც მალავდნენ, რამდენიმე თვეა ხელფასი არ აგვილია და თუ რაიმე არ შიცვალა „ტორპედოში" ეს ჩვენი ბოლო თამაში იქნებაო. მთავარი მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე** იმედიანად იყო განწყობილი: *„ჩვენ „ტორპედოში" ვრჩებით, ვარჯიშები შეუფერხებლად მიმდინარეობს და იმედი მაქვს, რომ გუნდს დაშლის საფრთხე არ დაემუქრება"*. მართლაც, საბოლოოდ მოვლენები გუნდისთვის სასიკეთოდ განვითარდა. მატჩის შემდეგ საათი არ იყო გასული, როცა „ტორპედოს" პრესატაშე **გოგა მინდელი** დაგვიკავშირდა და გვამცნო, რომ გუნდის დაფინანსების საკითხი დადებითად გადაწყდა. ფეხბურთლები კუთვნილ ჯამაგირს დღეს ან ხვალ მიიღებენ. რაკი ამ ეტაპზე სხვადასხვა მიზეზთა გამო „ვისოლის" ინვესტიციის მოზიდვა ვერ ხერხდება, გუნდს ისევ კომპანია „სამი ტუზი" უპატრონებს. თუმცა მთავარი ისაა, რომ „ტორპედო" ჩემპიონატსა და თასზე შეუფერხებლად იასპარეზებს და არც ფეხბურთელებს მოუწევთ სხვა კლუბების მოძებნა.

რაც შეხება „ტორპედო" -„დილას" ამხანაგურ შეხვედრას, იგი ქუთაისელთა გამარჯვებით 2:0 დასრულდა. გუნდები მოედანზე შემდეგი შემადგენლობებით გამოვიდნენ:

ტორპედო: **ქვილითაია, ფარულავა, იობაშვილი, ნადირაძე, ზივზივაძე, ლალაძე, ჭედია, კვეტენაძე, მ.ლონლაძე, გურული, ნიქარიშვილი**

შეცვლაზე შევიდნენ: **მახარაძე, დოლონაძე, კირკიტაძე, დანელია**

დილა: **თევდორაძე, ყველაშვილი, კურტანიძე, ლომაშვილი, გ. ჩიტაია, დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, ნოზაძე, აფშილავა, ტორონჯაძე**

შეცვლაზე შევიდნენ: **კეჩხუაშვილი, აბრამიშვილი, სადალაშვილი, ბალიაშვილი, თაყაძე, ტლაშაძე, კობახიძე, ბენდელიანი**

თამაში „ტორპედოს" უპირატესობით წარიმართა. პრობლემების მიუხედავად, ქუთათურები შეხვედრას მობილიზებული შეხვდნენ და გამარჯვების წყურვილიც ეტყობოდათ. მასპინძლების ორივე გოლი ძალიან ლამაზი გამოდგა, განსაკუთრებით ვეტერანი კახა კვეტენაძის მიერ, მე-40 წუთზე გატანილი: მამუკა ლონლაძემ ეფექტური გადაცემით სამი გორელი მცველი სტატისტის როლში დატოვა და კვეტენაძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, კახამაც ყველაფერი ოსტატურად გააკეთა - კარიდან გამოსულ თევდორაძეს ბურთი თავზე გადაუგდო და მატჩზე დამსწრე საზოგადოებას ოვაციებიც დასტყუა. პირველი ბურთი კი მამუკა ლონლაძის ანგარიშზეა, მე-14 წუთზე მან ზივზივაძის კარგი გადაცემა გამოიყენა და მეკარესთან პირისპირ გასულმა თევდორაძეს შანსი არ დაუტოვა.

მეორე ტაიმში მწვრთნელებმა არაერთი ცვლილება განახორციელეს, თუმცა მატჩის საერთო სურათი არ შეცვლილა. მართალია „დილამ" რამდენიმე კარგი ფეხბურთელი დაიმატა, მაგრამ ჩანს გორელებს შეთამაშების მხრივ პრობლემები აქვთ, ყოველ შემთხვევაში, გუშინდელ მატჩში საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდნენ და ტორპედოელებს მათი დამარცხება არ გაჭირვებიათ.

ბოლოს გაცნობებთ, რომ ქუთაისის „ტორპედოს" მეკარე **ბესიკ კოდალაევი** ანთალიაში იმყოფება და ერთ-ერთ ყაზახურ კლუბში გადის სინჯებს. თუ მისი საკითხი დადებითად გადაწყდა, სეზონის მეორე ნახევრიდან ქუთაისელთა კარის დაცვა 22 წლის მაქსიმე ქვილითაიას მოუწევს, რომელმაც „დილასთან" ამხანაგურ მატჩში პირველ ტაიმში ითამაშა, მაგრამ გორელი თავდამსხმელების პასიურობის გამო საქმე არ მისცემია.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ჩიხურა

# ქასრაშვილი საჩხერეში რჩება

"ჩიხურას" ხელმძღვანელობის თხოვნით, **ხვიჩა ქასრაშვილი** გუნდს მეორე წრეშიც გაწვრთნის. შეგახსენებთ, ამ ცოტა ხნის წინ, ამბიციურ საჩხერულ კლუბს დაფინანსება შეუწყდა და არათუ მისი ჩემპიონატში მონაწილეობა, არამედ არსებობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

საბოლოოდ, გადაწყდა, რომ ავად თუ კარგად, "ჩიხურა" სეზონს ჩაამთავრებს. ქასრაშვილს საქმიანობა საკმაოდ რთულ პირობებში მოუწევს. დღეისათვის, მის განკარგულებაში მხოლოდ დუბლშემადგენლობის გამოუცდელი ჭაბუკები არიან. ბუნებრივია, ამ კონტინგენტით უმაღლესში დარჩენა ძალიან გაძნელდება, ამიტომაც საჩხერელები ცდილობენ, რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე მაინც გადაიბირონ. ოღონდ იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებთანაც "ჩიხურას" მესვეურები აწარმოებენ მოლაპარაკებას, ორიოდ დღეში გაირკვევა. ზოგადად კი ისაა ცნობილი, რომ ეს მოთამაშეები ან უგუნდოები არიან, ანაც თავიანთ ამჟამინდელ გუნდებში სათამაშო პრაქტიკის პერსპექტივა ნაკლებად აქვთ.

*"მიუხედავად იმისა, რომ "ჩიხურა" ამიერიდან არცთუ ბრძოლისუნარიანი გუნდი იქნება, ჩემი მხრიდან, წასვლა არასწორი საქციელი იქნებოდა. ხელმძღვანელობამ დარჩენა მთხოვა და უარი არ მითქვამს. სეზონი როგორმე უნდა ჩავამთავროთ, მერე კი ნამდვილად ვერ გეტყვით, რა მოხდება"*, - გვითხრა ქასრაშვილმა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ხვიჩა ქასრაშვილი

ბორჯომი

# მოგებით დაასრულეს

მოსამზადებელი პერიოდის ბოლო მატჩი "ბორჯომმა" გუშინ ჩაატარა. **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა საჩხერის "ჩიხურას" უმასპინძლა, უფრო სწორად კი მის დუბლშემადგენლობას - რომელსაც **ხვიჩა ქასრაშვილი** არ ხელმძღვანელობდა - და 1:0 დაამარცხა. თამაში ბორჯომელთა უპირატესობით წარიმართა, გამარჯვების გოლი შეხვედრის 35-ე წუთზე **შოთა ჯიქიამ** გაიტანა.

"ბორჯომის" სასტარტო თერთმეტეული ასეთი იყო:

**შეყრილაძე, მემარნიშვილი, ნადირაშვილი, ქარქუზაშვილი, მერებაშვილი, საყვარელიძე, ავალიანი, კოშკაძე, კვერნაძე, ჯიქია, კაიდარაშვილი.**

პირველი ტაიმის შემდეგ ხაჩიძემ თავის გამოჩენის შანსი ძირითადად ახალგაზრდებს მისცა, რის შემდეგაც "ჩიხურა" შედარებით გააქტიურდა და შესვენებისთვის დაფიქსირებული ანგარიში აღარ შეცვლილა.

"ბორჯომის" მომდევნო მატჩი უკვე ოფიციალურია – საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა "ზესტაფონის" წინააღმდეგ. ბორჯომელები ამ დაპირისპირებისთვის უკვე სპარინგების გარეშე მოემზადებიან.

. გუნდის დაკომპლექტების პროცესი, ფაქტობრივად, დასრულებულია. შეგახსენებთ, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ბორჯომმა" ისეთი გამოცდილი მოთამაშეები გადაიბირა, როგორებიც **ალექსანდრე კაიდარაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, ლევან მერებაშვილი** და **გიორგი მემარნიშვილი** არიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლოკომოტივი

# გოჩაშვილი ლოკომოტივს დაუბრუნდა

## ბათუმმა თურმანიძე დაიმატა

ურეკში შეკრებაზე მყოფმა თბილისის "ლოკომოტივმა" შაბათს ბათუმის "დინამოსთან" საკონტროლო მატჩი ფრედ 2:2 ითამაშა.

ლოკომოტივი: **გვარამაძე - კვახაძე, გუშარაშვილი, კუპრეიშვილი - ფოფხაძე, მალიჩავა, სოსელია, სამხარაძე, ბარბაქაძე - გოჩაშვილი, წუწუნავა.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ულენტი, ებრალიძე, თუთბერიძე, ბერიძე, კირკიტაძე.**

ორივე გოლი ვლადიმერ გოჩაშვილმა გაიტანა, რომელიც ისრაელში გასინჯვის მერე ისევ „ლოკომოტივს" დაუბრუნდა.

"ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის, **ამირან მინაშვილის** თქმით, მოსამზადებელი ეტაპისთვის საკმაოდ ცოცხალი და სანახაობრივი შეხვედრა გამოვიდა: *"ჩემდა გასაკვირად და სასიხაროდ, ბათუმის "დინამომ" ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მახარებს ეს ფაქტი, რადგან მათი მონაწილეობით ჩემპიონატს სხვა ელფერი მიეცემა"*.

მინაშვილის თქმით, წელის ტკივილის გამო, **ლევან ყენიამ** გათავისუფლება მოითხოვა და თბილისში იმკურნალებს.

"ლოკომოტივი" ურეკში კიდევ ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს - 13 თებერვალს ზუგდიდის "მგლებთან", 16-ში კი ჭიათურის "მაღაროელთან". არაა გამორიცხული, რკინიგზელები სხვა გუნდსაც შეხვდნენ.

და ბოლოს: ბათუმის "დინამომ" "ზესტაფონიდან" წამოსული ნახევარმცველი **გიორგი თურმანიძე** დაიმატა. აჭარული გუნდისთვის ეს უდავოდ დიდი შენაძენია.



ვლადიმერ გოჩაშვილი

ვიტ ჯორჯია

# მარცხი რუმინელებთან

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ვეტერინართა მეტოქე რუმინული "სპორტული" იყო. **ნესტორ მუმლაძის** გუნდმა ერთი გოლი პირველ ტაიმში მიიღო, მეორე – მეორეში. ჩვენებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს და ანგარიში აღარ შეცვლილა – 0:2.

"ვიტ ჯორჯიამ" რუმინელებთან შემდეგი შემადგენლობით ითამაშა:

**ბედიაშვილი (46. მიქაბერიძე), პ. დათუნაიშვილი (70. იმერლიშვილი), კვახაძე (70. ადამაძე), ლომაია (70. კაიშაური), ჯაფარიძე, რაზმაძე (46. მელქაძე), კვალინიძე, გ. დათუნაიშვილი (57. ბეჭვაია), სახოკია (57. კლიმიაშვილი), ლუჭაშვილი (46. ბერიაშვილი), კიკნაძე (77. ლიპარტია).**

ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ფეხბურთელთა გადაღლის თავიდან ასაცილებლად, ბელარუსულ "გროდნოსთან" დაგეგმილი შეხვედრა აღარ გაიმართება. 13 თებერვალს "ვიტ ჯორჯია" "ალანიას" გაეჯიბრება, 15 თებერვალს კი ბელარუსულ "ნაფტანს". ვეტერინარები თბილისში 17 თებერვალს ბრუნდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# გაგრა მაკედონის ჩემპიონთან არ შერცხვა

შაბათს, 10 თებერვალს, საქართველოს ჩემპიონატის პირველლიგელმა "გაგრამ" ანთალიაში მესამე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. თუკი წინა ორში გუნდი დამარცხდა, ამჯერად მცირე სენსაცია გამოაცხო.

**გია გეგუჩაძის** გაწვრთნილები მაკედონიის ჩემპიონ "რაბოტნიჩკის" შეხვდნენ და მატჩი ფრედ 1:1 დაასრულეს.

მაკედონიელებმა შეკრებაზე ქართველებს ვერაფერი მოუხერხეს. მანამდე "რაბოტნიჩკიმ" "ვიტ ჯორჯიასთანაც" ფრედ - 0:0 ითამაშა.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასათიანი დაბრუნდა
## ცოტაც და ვითამაშებო


მალხაზ ასათიანი

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, **მალხაზ ასათიანი** შაბათს გერმანიიდან მოსკოვში დაბრუნდა. ჯვარედინ იოგებზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, იგი ერთი თვე რეაბილიტაციის კურსს გადიოდა.

მოსკოვში ქართველ ფეხბურთელს "სპორტ-ექსპრესი" გაესაუბრა.

*"რუიტის სპორტულ ცენტრში ვარჯიშების პროგრამა თითქმის დავასრულე. სულ ცოტას მოთმენა მომიწევს. დავილალე და ახლობელი ადამიანებიც მომენატრა. ჯერ არ ვიცი, "ლოკომოტივს" მესამე შეკრებაზე გავყვები თუ არა. ეს გუნდის ექიმთან და მწვრთნელთან ერთად უნდა გადავწყვიტო. საერთოდ კი, უკვე ძალიან მომინდა თანაგუნდელებთან ვარჯიში".*

ახლა მთავარზე: არის კი იმედი, რომ მალხაზ ასათიანი საქართველოს ნაკრებს შოტლანდიისა და ფარერის ნაკრებებთან მატჩში დაეხმარება? ასათიანმა მკურნალობის კურსი 10 თებერვალს დაამთავრა. საქართველოს ნაკრები კი შოტლანდიას 42 დღის შემდეგ, ანუ 24 მარტს შეხვდება. ერთი შეხედვით, ეს დრო ასათიანის მოედანზე დასაბრუნებლად საკმარისი უნდა იყოს. თუმცა საქართველოს ნაკრების ექიმი **ვალერი ახალკაცი** ასეთ ვარიანტს გამორიცხავს:

*"ჩემი აზრით, გამორიცხულია, მალხაზი შოტლანდიასთან დაგვეხმაროს. მან ისეთი რთული ოპერაცია გაიკეთა, რომ ასე მალე მოედანს, ჩემი აზრით, ვერ დაუბრუნდება. მან გერმანიაში რეაბილიტაციის კურსი გაიარა, ტრენაჟორებზეც ვარჯიშობდა, მაგრამ ეს სხვა რამეა. ახლა სირბილს და სპეციფიკურ ვარჯიშებს შეუდგება. სტანდარტულ ვითარებაში, ამ ოპერაციის შემდეგ, ფეხბურთელი თამაშს მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ შეძლებს. გერმანიიდან დაბრუნებული "ლოკომოტივთან" ერთად ვარჯიშს ალბათ, 30-40 დღეში შეძლებს. ფორსირებულ რეჟიმში მომზადება საფრთხეს შეიცავს და არც ღირს. აქედან გამომდინარე, არარეალურად მიმაჩნია მისი შოტლანდიაში თამაში. მალხაზი მოედანს სავარაუდოდ ივნისისთვის დაუბრუნდება".*

**მერაბ მამულაშვილი**

# დემეტრაძემ უკრაინა ორად გაყო

ბოლო ოთხი დღეა უკრაინა **გიორგი დემეტრაძეზე** საუბრობს. გიორგიმ კიევის პეჩორის რაიონულ სასამართლოში უკრაინის ფეხბურთის ფედერაციისა და პროფლიგის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. იგი მიიჩნევს, რომ ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტი უცხოელთა უფლებებს ზღუდავს, რასაც უკრაინის კონსტიტუცია ეწინააღმდეგება.

ყველაფერი კი უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ოლეგ ბლოხინის** ულტიმატუმით დაიწყო. იგი დაიმუქრა, რომ თანამდებობიდან გადადგებოდა, თუკი ლეგიონერებზე ლიმიტს არ დააწესებდნენ. მანამდეც, საქართველოსთან მატჩამდე დაიწუწუნა, რა უბედურებაა, მეტოქეს ფეხბურთელებს ვუზრდითო.

გადაწყვეტილებაც მიიღეს, ლიმიტი შემოიღეს და უკრაინის ნაკრებისა და კლუბების ინტერესები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდა.

გიორგის სარჩელმა უკრაინა ააწრიალა და ოლეგ ბლოხინის გაბრაზებაც გამოიწვია. *"რაც შეიძლება მეტმა უკრაინელმა უნდა ითამაშოს ჩვენი კლუბების შემადგენლობაში. ლეგიონერების რიცხვი, განსაკუთრებით საშუალო დონის მოთამაშეების, უნდა შემცირდეს. გეკითხებით, მე რა უნდა ვქნა, თუკი ყველა გუნდში თერთმეტი ლეგიონერი ითამაშებს? სად შევკრიბო ფეხბურთელები?"*

უკრაინის ნაციონალური პროფკავშირის, "უკრაინის ფეხბურთელის" თავმჯდომარე **ოლეგ პეჩერნიც** ბლოხინის პოზიციას იზიარებს და შორსაც მიდის: *"ეს სარჩელი სრული აბსურდია. ქართველ თავდამსხმელს არაფერში ვადანაშაულებ. მხოლოდ ბრმას არ ესმის, რომ ესეც ერთ-ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, უკრაინის ფედერაციის პრესტიჟის დასაცემად რომ არის მიმართული. ყველამ კარგად იცის, დემეტრაძის უკან დონეცკის "მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტი დმიტრი სელიუკი დგას. მას ფეხბურთელების შემოყვანის საშუალება წაერთმევა. აქ ჩვენი კანონები გვავაჩნია და მას ვერავინ შეცვლის. ბოსმანი და კარპინი თავისი უფლებისთვის იბრძოდნენ, ხოლო დემეტრაძე რისთვის იბრძვის გაუგებარია".*

იმავე აზრს ატარებს კიევის "დინამოს" პრეზიდენტი **იგორ სურკისი**: *"დემეტრაძე ძალიან კარგი ბიჭია, თუმცა უნდა ვივარაუდო, რომ სასამართლოს საკუთარი ნებით არ მიმართა. სასამართლოში სარჩელით შესვლას შანტაჟის სუნი ასდის. ეს დემეტრაძეზე მეტად ეხება იმ ადამიანს, რომელიც ზურგს უმაგრებს. თუმცა მე მკაცრი ლიმიტის შემოღებასაც ვერ მივესალმები".*

**დმიტრი სელიუკი**, რომელიც ამ საქმის წამომწყებად მოიაზრება, ბუნებრივია, საკუთარი კლუბის ინტერესით ხელმძღვანელობს: *"დემეტრაძის სარჩელი კარგად წაიკითხეთ. ის საკუთარი უფლების დაცვას ცდილობს. საერთოდ, ლიმიტის შემოღება უაზრობაა. ჰოლანდიაში არანაირი შეზღუდვა არ მოქმედებს და ფეხბურთელები იქ არ იზრდებიან? ახლა 4:1 მოუგეს რუსეთს. ჩვენმა კლუბებმა ევროთასებზე საუკეთესო შედეგები 2004/05 სეზონში აჩვენეს, როდესაც არანაირი ლიმიტი არ არსებობდა. შემოიღეს შეზღუდვა და წლეულს სრული კატასტროფა მივიღეთ".*

დემეტრაძეს მხარდაჭერას **გიორგი შაშიაშვილიც** უცხადებს. იგი უკრაინის ნაკრების ინტერესებს რომ შეეწირა, ამის თაობაზე "ლელოსთან" განაცხადა. უკრაინელებთან კი ამბობს: *"დარწმუნებული ვარ, დემეტრაძის საქციელი გამართლებულია. შეუძლებელია მას არ დავეთანხმო. გიორგი გამოცდილი, მრავლისმნახველი მოთამაშეა. მან ყურმოკვრით არ იცის, რაც ხდება ლეგიონერებთან დაკავშირებით".*

მთელი ყურადღება ახლა 20 თებერვლისკენაა მიპყრობილი. პეჩორის რაიონული სასამართლო საქმეს ამ დღეს განიხილავს. ლიმიტის მომხრეები შიშობენ, რომ დემეტრაძე გაიმარჯვებს. *"ძალიან კარგად ვიცი, რასაც წარმოადგენს პეჩორის რაიონული სასამართლო და სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, დემეტრაძის საქმის მოგების შანსი გააჩნია"*, - ამბობს ოლეგ პეჩერნი.

მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

# უარი გოგუას: დიდი შეცდომა
## სკოტსმენი ქართველს და მის ნაკრებს იცავს

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის, **გოგიტა გოგუას** "ჰართსში" ჩაშლილი ტრანსფერი შოტლანდიაში დღემდე, სალაპარაკოა.

გაზეთ "სკოტსმენში" ჟურნალისტი **დან ბრენანი** საყურადღებო სტატიას აქვეყნებს.

"გოგუას ტრანსფერის ჩაშლა ბრიტანეთში შრომის ვიზის მიღების პროცესის სამართლიანობას ეჭვქვეშ აყენებს. მას შემდეგ, რაც "ჰართსმა" გოგიტა გოგუას გადაყვანა ვერ შეძლო, გუნდს სრული უფლება გააჩნია, თავი დაჩაგრულად მიიჩნიოს. სამინისტროს გადაწყვეტილება საეჭვოა და ამ მექანიზმის სამართლიანობაზე კითხვებს ბადებს.

ჩვენ წინაშეა 23 წლის ფეხბურთელი, რომელიც თავის ეროვნულ ნაკრებში სტაბილურად თამაშობს ბოლო ორი წელი. მის ტალანტზე აღტაცებული საუბრობს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი**.

ფეხბურთელი შარშან ნალჩიკის "სპარტაკში" თამაშობდა და რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ლეგიონერად აღიარეს. სხვათა შორის, ამ ქვეყნის პირველობა ჩვენსას ბევრად აღემატება. გოგუას შეძენა სურდათ რუსეთის, გერმანიისა და თურქეთის გუნდებს. მას კი შოტლანდიაში სურდა წამოსვლა და შეეძლო "ჰართსის" გაძლიერება - დაცვაშიც და შეტევაშიც.

თუმცა შრომის დეპარტამენტმა ტრანსფერი ჩაშალა. მისი წესებით, არაევროკავშირელების ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი ფეხბურთელს ნაკრებში ბოლო ორი წელი თამაშების 75 პროცენტი ჩაუტარებია, მისი ნაკრები კი ფიფას რეიტინგში 70 საუკეთესოს შორის არის.

გოგუა პირველ მოთხოვნას აკმაყოფილებდა, მეორეს არა - საქართველო ფიფას რეიტინგში 94-ე ადგილზეა.

"ჰართსს" სარჩელის შესატანად 28 დღიანი ვადა ჰქონდა, მაგრამ ამის გაკეთებას ვერ ასწრებდა.

კარგით, ვთქვათ, გოგუა დაიწუნეს. მაშინ იმ მოთამაშეებს ჩამოგითვლით, რომლებიც დაუშვეს და თავი ვერ გამოიჩინეს: ხრისტოვი ("დანფერმლაინი"), როზენტალი ("რეინჯერსი"), ურტადო ("ჰიბერნიანი"). ვინმეს ახსოვს მათი კარგი გამოსვლა?

70-ის ქვემოთ მყოფი ქვეყნებიდან მოთამაშეების ტრანსფერის აკრძალვა


გოგიტა გოგუა

გამოწვეულია პრემიერლიგის ხარისხზე ზრუნვით. თუმცა ვინ დაგვიმტკიცებს, რომ 50-ეზე მყოფი უზბეკეთი და 78-ე კაბო-ვერდე საქართველოს ნაკრებს ჯობია? უბრალო ლოგიკით, შეიძლება, კუბა (48) და ბურკინა-ფასო (62) საქართველოს სჯობდეს? რომელიმე ამ ქვეყნიდან რომ ყოფილიყო, გოგუა ავტომატურად მიიღებდა თამაშის უფლებას.

ასეთი ანომალიები ბევრია ფიფას რეიტინგში. მართალია, შარშან წესები გაამარტივეს, მაგრამ ანომალიები კიდევ დარჩა.

საქართველომ თავისი 5-მილიონიანი მოსახლეობის გათვალისწინებით ფეხბურთს ძალიან ბევრი ტალანტი მისცა. შოტლანდიაში უთამაშიათ არველაძეს, ქეცბაიას, ხიზანიშვილს. ბოლო 18 თვეში გოგუა მეექვსე ფეხბურთელია, ვინც შრომის დეპარტამენტმა უარით გაისტუმრა.

"ჰართსს" ახალი მოთხოვნის შეტანა 1 ივნისს შეუძლია, მაგრამ ამ პერიოდში შეუძლია საქართველოს სასწაული მოახდინოს და რეიტინგი მკვეთრად გაიუმჯობესოს?

ეს კი ნიშნავს, რომ ივნისშიც "ჰართსი" უარს მიიღებს და კვლავ საჩივარს შეიტანს.

ამასობაში კი გოგუა თავის საქმეს აგრძელებს და ოთხშაბათს თურქეთთან საგოლე გადაცემით თავის ქვეყანას რეიტინგში 5,7 ქულა მოუტანა.

მას კიდევ შეუძლია ქულები შემატოს თავის ნაკრებს. ამის შანსი 24 მარტს შოტლანდიის წინააღმდეგ მიეცემა. ეს საუკეთესო შანსია რათა დაამტკიცოს, რომ ვიზაზე უარი დიდი შეცდომა იყო".

ამ სტატიამ ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს შეიძლება გული მოფხანოს, მეტი არაფერი. ამით საქმეს არაფერი ეშველება. ერთ-ერთ უნიჭიერეს ქართველ მოთამაშეს ახლა რეალური დახმარება სჭირდება. 2005 წლის დასაწყისში მან **ანდრეი ჩერვიჩენკოსთან** ხელშეკრულება კაბალური პირობებით გააფორმა და ახლა მის შედეგებს იმკის.

ცნობილი ფაქტია, რომ ჩერვიჩენკოს ანალოგიური ხელშეკრულება ჰქონდა **დმიტრი სიჩოვსა და ვალერი აბრამიძესთან**. აბრამიძის თქმით, მან რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომიტეტში შეიტანა სარჩელი კონტრაქტის დასარღვევად და მოიგო საქმე. იგივე მოხდა სიჩოვის შემთხვევაშიც. ანუ, ჩერვიჩენკოს კლანჭებიდან გოგუას დახსნა შესაძლებელია.

მეტი აქტიურობა მართებთ მენეჯერებს, თუმცა არა ისეთებს, ჩერვიჩენკოსთან რომ გააფორმებინეს კონტრაქტი. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი სავანძო ფიგურა დღემდე უგუნდოდ, მოუმზადებლად ხვდება სეზონის განახლებას. ვინც რა არ უნდა თქვას, ეს მათი მინუსიცაა.

გოგუა ამჟამად მოსკოვშია და ანდრეი ჩერვიჩენკოსთან შეხვედრას ელის. სავარაუდოდ, მას "ტომში" გაუშვებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# კანდელაკი და ჰიროსიმა

ოდესის "ჩერნომორეცი" მოსამზადებელ ეტაპს თურქეთში გადის. წესით და რიგით, გუშინ უკრაინელებს მოსკოვის "ლოკომოტივთან" უნდა ეთამაშათ, მაგრამ ბოლო მომენტში რკინიგზელებთან მატჩი ჩაიშალა და "ჩერნომორეცი" იაპონიის ჯეილიგის ბინადარ "სანფრეჩე ჰიროსიმას" გაეჯიბრა.

როგორც იცით, **გიორგი შაშიაშვილი** და **კახა მჟავანაძე** ოდესურმა კლუბმა ტრანსფერზე დააყენა, შესაბამისად, "ჩერნომორეცის" ქართველთაგან ამ შეხვედრაში მონაწილეობა მხოლოდ **ილია კანდელაკმა** მიიღო. მან მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა, თუმცა მოედანზე 90 წუთი არავის გაუტარებია - შესვენების შემდეგ, მწვრთნელმა ძირითადში გამწესებული ყველა ფეხბურთელი შეცვალა. "ჩერნომორეცმა" მინიმალურად იმარჯვა კაპიტან **ანდრეი კირლიკის** მიერ გატანილი საჯარიმოს წყალობით.

მომდევნო საკონტროლო მატჩს კანდელაკის გუნდი ხვალ გამართავს რიგის "სკონტოს" წინააღმდეგ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ალადაშვილი კარგად ჩაერთო

ისრაელში მყოფმა კიევის "დინამომ" მორიგი საკონტროლო შეხვედრა გამართა. ამჯერად მისი მეტოქე ქალაქ ჰერცლიის ნაკრები იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი უკრაინელთა თვალშისაცემი უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, 2:0 დასრულდა.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ თამაშში მონაწილეობა **კახა ალადაშვილმა** მიიღო. იგი 59-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა და უშუალო კონკურენტის, **ეშჩენკოს** ადგილი დაიკავა. როგორც უკრაინული პრესა იტყობინება, კახამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მან, ტრადიციულად, მარჯვენა ფლანგზე ითამაშა, დაცვით ფუნქციებსაც ნორმალურად გაართვა თავი და შეტევაშიც რამდენიმე მწვავე გადაცემა გააკეთა. ალადაშვილის თანაგუნდელებს ოდნავ მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, იგი გოლის თანაავტორადაც იქცეოდა.

შეგახსენებთ, უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრე მან დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" რიგებში ჩაატარა, რის შემდეგაც კიეველთა სამწვრთნელო შტაბმა მისდამი დამოკიდებულება შეიცვალა, ებრაულ შეკრებაზეც წაიყვანა და დღევანდელი მდგომარეობით, კახას "დინამოს" ძირითადში დამკვიდრების არცთუ ურიგო შანსი აქვს. იმედია, უკრაინული ფეხბურთის ფლაგმანში ფეხის მოკიდების მეორე მცდელობა ალადაშვილისთვის წარმატებული გამოდგება.

სხვადასხვა მიზეზის გამო, **ოთარ მარცვალაძე** და **დავით იმედაშვილი** კარგა ხანია, "დინამოს" ძირითადში არ გამოჩენილან.

**ლევან ჯანეზაშვილი**



# გიგიაძემ ვარჯიში განაახლა

**ვასილ გიგიაძემ**, რომელსაც ტრავმის გამო რამდენიმე კვირა გაუცდა, გუშინ საერთო ჯგუფთან ერთად პირველად ივარჯიშა. "კრივბასის" სამედიცინო შტაბის ვარაუდით, ქართველი ფორვარდი მოედანზე გასვლას დაახლოებით ორ კვირაში შეძლებს. შესაბამისად, თავისი გუნდის უახლოეს ამხანაგურ შეხვედრებს გიგიაძე დააკლდება.

გუშინ შეკრებაზე მყოფმა "კრივბასმა" მის გარეშე გრონზნის "ტერეკთან" 0:1 წააგო. ამ თამაშის მსვლელობისას ვასო მოედნის გარშემო ძუნძულებდა.

ლეგიონერები



იაშვილმა მეცხრე საგოლე პასი მიითვალა, ფრაიბურგი კი ლიდერებს უახლოვდება

# პრემიერა იენაში: აშვეთია გოლით, ლომაია გმირობით

## პირველად 1981 წლის მერე

**მიხეილ აშვეთიას** და გიორგი ლომაიას გუშინ იენის სტადიონზე მისული გულშემატკივარი ერთხმად უკრავდა ტაშს. 1981 წლის მათთვის მარცხიანი ფინალის შემდეგ, ალბათ, ექსკომუნისტური გერმანიის ამ მყუდრო ქალაქის ვერც ერთი ფანი იფიქრებდა, რომ ისინი ქართველი ფეხბურთელების წარმატებებით გაიხარებდნენ. ეს სტერეოტიპი საქართველოს ნაკრების ორმა ნევრმა "კარლ ცაისის" მაისურით პირველივე საშინაო მატჩში დაამსხვრია. სხვებს რაც შეეხება, შოთა არველაძე ვერც ეროვნულ ნაკრებს დაეხმარა და ვერც საკუთარ კლუბს, ამის მიზეზი გრიპია. მეორე ბუნდესლიგაში მეცხრე საგოლე პასი მიითვალა ეროვნულ ნაკრების მიღმა აღმოჩენილმა ალექსანდრე იაშვილმა.

### დაბრუნებული

**ზურაბ ხიზანიშვილი** "ბლექბერნ როვერსის" ძირითადს დაუბრუნდა, ქართველმა ლივერპულში დაცვის მარჯვენა ფრთაზე ითამაშა. "როვერსი" კი "ევერტონთან" 0:1 დამარცხდა. ხიზანიშვილი 83-ე წუთამდე მოედანზე იყო, შემდეგ ის **ენდი ტოდმა** შეცვალა. პირველმა სწორედ ხიზანიშვილმა შეანუხა მასპინძელთა ამერიკელი გოლკიპერი **ტიმ ჰოვარდი** - 20 მეტრიდან ხიზანიშვილის დარტყმა ჰოვარდმა გაუვნებელყო. მეორე ტაიმში ზურას ძალზე ეუხეშა ესპანელი **არტეტა**, თუმცა მსაჯმა "ევერტონის" ნახევარმცველს ყვითელი ბარათიც კი არ მისცა. "ბლექბერნი" 34 ქულით ცხრილის შუაშია.

ეროვნული ნაკრების მატჩისთვის ვერა, მაგრამ სერია A-ს ტურისთვის გამოჯანმრთელება შეძლო **კახა კალაძემ**. "ლივორნოსთან" მატჩში კახა განაცხადში იყო, თუმცა მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე. "მილანმა" მოკრძალებული ანგარიშით იმარჯვა - 2:1.

### აშვეთიას პრემიერა

ბუნდესლიგის ერთადერთი ქართველი **ლევან კობიაშვილი** კვლავ ტრავმირებულია. მისი კლუბი კი მიზანს, ჩემპიონობას, სულ უფრო უახლოვდება - შაბათს კობის გარეშე "შალკემ" სტუმრად ფრანკფურტის "აინტრახტი" დაამარცხა 3:1, ხოლო მისმა უშუალო კონკურენტმა "ვერდერმა" 1:4 წააგო. "შალკეს" **კევინ კურანიმ, და პეტერ ლოვენკრადსმა** მოაგებინეს."შალკე" ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერია, "ხუმარები" "ვერდერს" 6 ქულით უსწრებენ.

მიხეილ აშვეთიამ და გიორგი ლომაიამ პირველად ითამაშეს იენაში "კარლ ცაისის" შემადგენლობაში. ალბათ, ქართველი გულშემატკივარი ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ამ გერმანული კლუბის წარმატება გაახარებდა, თუმცა რაც იენელთა რიგები საქართველოს ნაკრების ორმა ფეხბურთელმა შეავსო, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. მატჩის 39-ე წუთზე ანგარიში საფირმო თავურით მიხეილ აშვეთიამ გახსნა, მან ესენელი **ზაზას** კარი დალაშქრა, ლომაიამ კი მეორე ტაიმში ორი "მკვდარი" ბურთი აილო. საქართველოს ნაკრების გოლკიპერმა "შპორტალისგან" მატჩის საუკეთესო შეფასება - 2 ბალი, მიიღო. მიხეილ აშვეთიამ სამიანი დაიმსახურა. "კარლ ცაისი" 19 ქულით კვლავაც გასავარდნ ზონაშია, თუმცა იენელი ფანები ახლა იმედიანად არიან.

გამოასწორა თამაში, თანაც შესამჩნევად, **ფოლკერ ფინკეს** "ფრაიბურგმაც" - სამხრეთელებმა "მიუნხენი" 3:0 გაანადგურეს. მეორე გოლში (ანტარი 68-ე წუთი) საგოლე პასი მიითვალა ალექსანდრე იაშვილმა. **ოთარ ხიზანეიშვილი** მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა, მან **დიარა** შეცვალა. ხიზანეიშვილი "შპორტალმა" ტრადიციულად მაღალი შეფასებით დააჯილდოვა - 3 ბალი, იაშვილმა კი 3,5 ბალი მიიღო. სხვათა შორის, ეს იაშკასთვის სეზონში მე-9 საგოლე პასია. სტუმართა რიგებში განაცხადშიც არ ყოფილა **მათე ღვინიანიძე.** მიზეზს ვერ გეტყვით. სტუმრად "ფიურტთან" დამარცხდა **დავით სირაძის** "აუე" - 1:2. ამ შეხვედრაში თურქებთან მატჩის გმირს არ უთამაშია. "აუეს" 33 ქულა აქვს, "ფრაიბურგს" - 31, ისევე როგორც - "მიუნხენს".

### შოთა ავად გამხდარა

**ლუის ვან გაალის** "ალკმაარი" აგრძელებს წარმატებულ სვლას ჰოლანდიის ჩემპიონატში. შაბათს "ალკმაარმა" 2:0 დაამარცხა ტილბურგის "ვილემ II", გოლები **კოვერმანსმა** და **მარტენსმა** გაიტანეს. ქართველი კაპიტანი კლუბს ვერაფრით შეეშველა, შოთა არველაძე ამხანაგურ მატჩში ნაკრებს არ დახმარებია, ჰოლანდიაში დარჩა, სადაც გრიპი შეეყარა. ამიტომ მის ნაცვლად კოვერმანსი **დემბელეს** შეუწყვილდა შეტევაში. როდის გამოჯანმრთელდება არველაძე ჯერ უცნობია. "ალკმაარი" 53 ქულით მესამე ადგილზეა.

### მოგება და ფრე

საბერძნეთში მორიგ ტურში "პანიონიოსმა" "არისს" უმასპინძლა, მატჩი 0:0 დასრულდა. **ლევან ცქიტიშვილი** 82-ე წუთზე შეცვალეს. სასიამოვნოა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს ბოლო ტურებში თამაშის შესაძლებლობა რომ ეძლევა. პოტენციალის გამოსავლენად მას სათამაშო პრაქტიკა აკლდა. "ქსანთიმ" კი მინიმალური ანგარიშით,1:0, "ლარისა" დაამარცხა. **ლევან მაღრაძემ** სრულად ითამაშა და მატჩის 86-ე წუთზე ყვითელი ბარათიც კი მიიღო. "პანიონიოსს" 26 ქულა აქვს, "ქსანთის" ერთით ნაკლები.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ხიზანიშვილი (3) ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი | | | | |
| პრემიერლიგა, XXVII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ევერტონი-ბლექბერნი | 1:0 | 83 წთ (შეცვალეს) | 15 თ, 0 გ. |
| იტალია | | | | |
| სერია A, XXIII ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-ლივორნო | 2:1 | არ უთამაშია, სათადარიგო | 11 თ, 1 გ. |
| გერმანია | | | | |
| ბუნდესლიგა, XXI ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | აინტრახტი-შალკე | 1:3 | არ უთამაშია, ტრავმა | 16 თ, 3 გ. |
| II ბუნდესლიგა, XXI ტური | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი-მიუნხენი | 3:0 | 90 წუთი, 1 პასი | 19 თ, 3 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-მიუნხენი | 3:0 | 45 წთ (შეცვლაზე) | 8 თ, 1 გ. |
| დავით სირაძე | ფიურტი-აუე | 2:1 | არ უთამაშია | 18 თ, 2 გ. |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი-ესენი | 2:0 | 90 წთ | 2 თ, -1 გ. |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი-ესენი | 2:0 | 73 წთ, შეცვალეს, 1 გოლი | 2 თ, 1 გ. |
| მათე ღვინიანიძე | ფრაიბურგი-მიუნხენი | 3:0 | არ უთამაშია | 11 თ, 0 გ. |
| ჰოლანდია | | | | |
| ერედივიზიე, XXIV ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი-ვილემ II | 2:0 | არ უთამაშია, გრიპი | 21 თ, 11 გ. |
| სუპერლიგა, XXI ტური | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი-არისი | 0:0 | 83 წუთი (შეცვალეს) | 11 თ, 0 გ |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი-ლარისა | 1:0 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 15 თ, 0 |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 55 ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ნახეთ!

ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



იტალია. სერია A. XXIII ტური

# ინტერრეკორდი და რონალდოს ეფექტი



რონალდოს პირველი მატჩი მილანში

ერთკვირიანი პაუზის შემდეგ იტალიაში ფეხბურთის თამაში განახლდა, მაგრამ განახლდა ძალიან უჩვეულო და არაორდინარულ ვითარებაში. ათიდან ოთხ შეხვედრაზე (ვერონაში, ფლორენციაში, მესინასა და ბერგამოში) მაყურებლები არ დაუშვეს სტადიონების უსაფრთხოების ახალ ნორმებთან შეუსაბამობის გამო. მთლიანად სერია A-სა და B-ში ამ უქმეებზე 110 ათასი ტიფოზი დარჩა სტადიონს მიღმა, რის გამოც თითოეულმა კლუბმა დაახლოებით 4 მილიონი ევროს ზარალი ნახა. თავიდან გულშემატკივრისთვის დახურული სტადიონი ხუთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მდიდარმა მილანურმა კლუბებმა ქალაქის პრეფექტურის დახმარებით შეუძლებელი შეძლეს და „სან სიროზე" მაყურებლების შეზღუდული რაოდენობით დაშვების უფლება უკანასკნელ წუთს მაინც მიიღეს. სპეციალურმა სამთავრობო კომისიამ (რომელიც სტადიონების უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობას სწავლობს და თამაშის ნებართვას იძლევა) გასული კვირის დასაწყისში „სან სირო" იმის გამო დაიწუნა, რომ იქ ელექტრონული მბრუნავი ბარიერები არ იყო დამონტაჟებული. კვირამდე ოთხი დღე რჩებოდა და ამის უზრუნველყოფა შეუძლებელ მისიად მოჩანდა, მაგრამ „მილანისა" და „ინტერის" დირექტორებმა ძალღონე არ დაიშურეს (და არც ფული), რომ ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინათ კომისიის მოთხოვნა და იმ ტიფოზებს, რომელთაც სეზონური აბონემენტები ჰქონდათ ნაყიდი, სტადიონზე შესვლა შეძლებოდათ. ასზე მეტმა მუშამ ორი დღე და ღამე გაასწორა და „სან სიროზე" 28 ელექტრონული კარი დაამონტაჟა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შაბათს კომისიას აბონემენტთა მფლობელების დაშვებაზე ნებართვა გაეცა. ასეთი კი „მილანს" 37 ათასი ჰყავს, „ინტერს" - 35 ათასი. სიმართლე ითქვას, კომისიამ „მეაცას" შაბათს კიდევ ერთი მოულოდნელი მოთხოვნა წაუყენა – მეტალის დეტექტორები. მილანური არენა ამ მხრივაც მზადყოფნაში აღმოჩნდა და სასწრაფოდ გამონახა 40 დეტექტორი, რომლითაც პოლიცია ტიფოზებს ე.წ. წინასწარი გაფილტვრის ზონაში მეტალის საგნებზე შეამოწმებდა. *„ტიტანური სამუშაო ჩავატარეთ. ქანცგაცლილი, მაგრამ ამავე დროს უზომოდ კმაყოფილი ვარ"* – ასეთი იყო „მილანის" ვიცე-პრეზიდენტის **ადრიანო გალიანის** კომენტარი მას შემდეგ, რაც აბონემენტების მფლობელებს დანაპირები პირნათლად შეუსრულა.

„ინტერი" მაყურებლისგან დაცარიელებულ „ბენტეგოდიზე" „კიევოს" ესტუმრა, საათანახევარი კარგად „ივარჯიშა" (მეტწილად დაცვით ფეხბურთში) და შინ ზედიზედ მე-15 გამარჯვებით დაბრუნდა. ეს კიდევ ერთი რეკორდია **მანჩინის** გუნდისთვის, ამჯერად ევრორეკორდი. ევროპის წამყვან ჩემპიონატებში მხოლოდ მადრიდის „რეალს" მოეგო ზედიზედ 15 შეხვედრა 1960-61 წლების სეზონში. სტუმრად ზედიზედ მოგებული რვა შეხვედრის რეკორდიც გამეორდა, რომელიც იტალიის ჩემპიონატში აქამდე კაპელოსდროინდელ „მილანს" ეკუთვნოდა. ვარჯიშს ჰგავდა თამაში იმიტომაც, რომ არ იყო ხალხი და მოედნიდან ფეხბურთელების ლაპარაკი ისმოდა, ზუსტად ისე, როგორც ვარჯიშებზეა. კორექტულობით განთქმული ვერონელი ტიფოზები სტადიონის გარეთ იყვნენ შეკრებილები და მეგაფონებით ცდილობდნენ თავიანთი გუნდისთვის ხმის მიწვდენას, მაგრამ ამ „ინტერზე" არაფერი აღარ ჭრის. წავიდა ის დრო, როცა **დელ ნერი** და მისი „კიევო" „ნერაძურის" ყველგან სისხლს უშრობდნენ. ახლა მანჩინის დროა. და ასევე **ადრიანოსი**, რომელმაც დაშავებული **იბრაჰიმოვიჩის** არყოფნაში, თამაშის მოგება საკუთარ თავზე აიღო (გოლი და საგოლე პასი). შეხვედრა 40 წამის დაწყებული იყო, როცა **სტანკოვიჩმა** მარცხნივ ადრიანო მოძებნა, ბრაზილიელმა ძალისმიერ დუელში აჯობა მცველს და ასე 14 მეტრიდან უძლიერესი ცაციათი შორეულ კუთხეში შეაგდო. პირველივე წუთზე გატანილმა გოლმა შეხვედრას განსხვავებული მიმართულება მისცა: „ინტერი" თამაშს კლასის ხარჯზე, მშვიდად აკონტროლებდა და მაშინ ამწვავებდა, როცა თავად მოისურვებდა. კარის აღებასთან ახლოს იყვნენ სტანკოვიჩი და **კრესპო**, თუმცა შეტევებით სტუმრები თავს დიდად არ იკლავდნენ. შესვენების შემდეგ იგივე გაგრძელდა, იმ გამონაკლისით, რომ ექვს წუთში „ინტერმა" უპირატესობა გაიმყარა და ყველაფერს წერტილი დაუსვა: ადრიანომ უკან დაუგორა კრესპოს და არგენტინელმაც 18 მეტრიდან შეუჩერებელი დარტყმით გააორა. სულ ეს იყო. „ინტერს" ვეღარც პაუზები და ცარიელი სტადიონები აჩერებენ.

„რომამ" ზედიზედ მეშვიდედ მოიგო „ოლიმპიკოზე" და ლიდერთან 11-ქულიანი დისტანცია შეინარჩუნა. „პარმამ" როგორღაც მოახერხა და მასპინძლების თავბრუდამხვევ ფეხბურთს პირველ ტაიმში გაუძლო, შესვენების შემდეგ კი ვეღარაფერი გააწყო. 50-ე წუთზე **პისარო** საჯარიმოში მარცხნიდან შევიდა, გონივრული პაუზა გააკეთა და ზუსტად დაასვა ბურთი თავის კაპიტანს, რომელიც კარის სიახლოვეს იდგა და თავის ერთი მოქნევით გაიტანა. **ფრანჩესკო ტოტისთვის** ეს მე-14 გოლი იყო ამ ჩემპიონატში და 139-ე სერია A-ში, რითაც სიენელი **კიეზა** ჩამოიშორა და მოქმედ ფეხბურთელებს შორის იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირად იქცა. გოლმა „რომას" დაძაბულობა საბოლოოდ მოუხსნა და უფრო ლაღად აათამაშა, რასაც 66-ე წუთზე საფირმო კომბინაციით გატანილი გოლი მოჰყვა: ტოტიმ ქუსლით გაუგრძელა **დე როსის**, იმან მარცხნიდან ჩართულ **ტონეტოს** გადააწოდა, ამ უკანასკნელმა კი ცარიელი კარის წინ მარტო დარჩენილ **პეროტას**, რომელსაც ძალიანაც რომ ნდომოდა, ვეღარ ააცილებდა, 2:0. თამაში ცალკარას დაემსგავსა, თან „პარმას" **კოუტოც** გაუძევეს. ბოლო დამატებულ წუთზე **ტადეის** რიკოშეტით გადმოვარდნილი ბურთი მიუგორდა და ბრაზილიელმაც ორი მეტრიდან საბოლოო წერტილი დასვა, 3:0.

წინა შეხვედრის მსგავსად, „მილანს" გამარჯვებისთვის კვლავაც დიდი ჯაფა დაადგა, მაგრამ აბონემენტების მფლობელ ტიფოზებს იმედები მაინც არ გაუცრუა. ჯიუტი „ლივორნოს" გატეხვა მილანელებმა **გატუზოსა** და **იანკულოვსკის** გოლებით შეძლეს, მაგრამ იტალიური მედიისთვის მთავარი მოვლენა მაინც **რონალდოს** დებიუტი იყო. „ფენომენი" მოედანზე 63-ე წუთზე შევიდა და მართალია, ფენომენალური არაფერი გაუკეთებია, შესვლა მაინც იღბლიანი გამოუვიდა: 1:1 იყო, როცა რონალდომ თანამემამულე **ოლივეირა** შეცვალა და აქედან ხუთ წუთში „მილანმა" გამარჯვებისა გაიტანა. მართალია, ტრიბუნაზე ერთი კაციც არ იყო, „ლივორნო" რომ დაეძახა, მაგრამ სტუმრებმა მაინც გაბედულად დაიწყეს და გვარიანადაც ანერვიულეს მეკარე **სტორარი**, რომელსაც ასევე დებიუტი ჰქონდა. ორი დებიუტანტი, **ფიორე** და **სეზარი**, თამაშობდა ტოსკანურ გუნდშიც, რომელიც „მილანზე" უკეთ კი გამოიყურებოდა, მაგრამ პირველი გოლი მაინც საკუთარ კარში მიიღო: 28-ე წუთზე **ოლივეირას** კარგი პასის შემდეგ საჯარიმოში შეჭრილმა გატუზომ ბურთს შეუჩერებლად დაჰკრა და ანგარიში გახსნა. სტუმრებმა ორ წუთში გაათანაბრეს: **პასონის** ძლიერი დარტყმა სტორარიმ კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე პირველი კაპიტანი **ლუკარელი** გაჩნდა და უპრობლემოდ გაათანაბრა,1:1. მეორე ნახევარიც ანალოგიური სცენარით წარიმართა, იმ განსხვავებით, რომ „ლივორნოს" გოლის გასატანად სიზუსტე აღარ ეყო: ჯერ სეზარმა ძელს გაარტყა, მერე ფიორემ და პასონიმ ორჯერ ასპროცენტიანი მომენტები გაუშვეს ხელიდან. „მილანი" კი ხელმეორედ 68-ე წუთზე დააწინაურდა, მას შემდეგ, რაც **იანკულოვსკიმ** 20 მეტრიდან ტყვიასავით გაისროლა. რონალდოს რაც შეეხება, მას ორჯერ ჰქონდა გატანის მცდელობა, მაგრამ ერთხელ მეკარემ აუღო, მეორედ კი კარს ოდნავ ააცილა.

საკუთარ მოედანზე წაგებებს დაეჩვია „პალერმო". წინა საშინაო შეხვედრაში სიცილიელები სამარცხვინოდ, 0:3-ზე დამარცხდნენ „ლაციოსთან", ახლა კი კიდევ უფრო სენსაციურად „ემპოლისთან". ემპოლელებმა მეორე ნახევრის პირველივე წუთზე გაიტანეს, ამის შემდეგ უპირატესობა ბოლომდე კბილებით შეინარჩუნეს და დაუფასდათ კიდეც – მეოთხე ადგილი ცხრილში. ორი უდავო ლიდერის, **ლუკა ტონისა** და **ადრიან მუტუს** არყოფნისა და ცარიელი ტრიბუნების მიუხედავად, „ფიორენტინამ" „უდინეზეს" გართულებების გარეშე მოუგო. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა და ორივე სათადარიგოებმა გაიტანეს. 16-ე წუთზე **ბლაზის** ჩაწოდებული **რეჯინალდომ** საჯარიმოში დაამუშავა და **დე სანქტისს** აუღებელი დაურტყა, 1:0. 43-ე წუთზე კი **იორგენსენის** კიდევ ერთი ფლანგური ჩაწოდება **პაცინიმ** ორი მეტრიდან გატანილი გოლით დააგვირგვინა, 2:0. ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ **მალეზანიმ** „უდინეზეს" მწვრთნელის სკამზე პირველი მარცხი იწვნია.

2007 წლის პირველი გამარჯვება იზეიმა „სამპდორიამ" აუტსაიდერ „ასკოლისთან". ამასობაში სულ უფრო ღრმავდება „ტორინოს" კრიზისი. **ძაკერონის** გუნდმა ბოლო ექვს ტურში მეხუთედ წააგო, ამჯერად შინ „რეჯინასთან", რომელიც წელს ნამდვილად არ ხუმრობს (რეალურად 30 ქულა დააგროვა) და თუ ასე გააგრძელა, სერიაში ადგილის შეინარჩუნა არ უნდა გაუჭირდეს. დაცვის ორი ბავშვური შეცდომის გამო, „კალიარიმ" ორი გოლი მიიღო უკბილო „სიენისგან" და ფრეს დასჯერდა. ცარიელი ტრიბუნების წინ მოთამაშე „ატალანტამ" და „ლაციომ" უშინაარსოდ იბურთავეს და ერთმანეთს ნულოვანი ფრით დაშორდნენ. ფრედ 1:1 დასრულდა კიდევ ერთი „დახურული" თამაში მესინაში, რომელიც თავსხმა წვიმის გამო ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო.

**მომდევნო ტური**

18 თებერვალი. **რეჯინა-ატალანტა, ინტერი-კალიარი, პალერმო-კიევო, კატანია-ფიორენტინა, ლივორნო-მესინა, სიენა-მილანი, ემპოლი-რომა, პარმა-სამპდორია, ლაციო-ტორინო, ასკოლი-უდინეზე.**

**კიევო-ინტერი 0:2**

**კიევო**: სიჩინიანო-5.5, ფ. მორო-5.5, მანდელი-6, მანტოვანი-5.5, ლანა-6, სემიოლი-7, იტალიანო-7, სამარკო-6, ბრიგი-6 (55. კოსოვსკი-6.5), ბოგდანი-5 (76. კოცოლინო-შ.გ), ობინა-6 (62. პელისიე-5.5).

**ინტერი**: ჟულიო სეზარი-6.5, მაიკონი-5, კორდობა-6.5, მატერაცი-6, მაქსველი-6 (70. დაკური-6), ვიეირა-6, კამბიასო-6.5, ხ. ძანეტი-6.5, სტანკოვიჩი-6.5 (76. ფიგუ-შ.გ), კრესპო-6.5 (89. კრუსი-შ.გ), ადრიანო-7.5.

**გოლები**: 0:1 ადრიანო (1), 0:2 კრესპო (51)

**გაფრთხილება**: 2-1; **კუთხური**: 8-3; **ჯარიმა**: 22-12; **თამაშგარე**: 0-3; **კარში დარტყმა**: 14-11 (6-5); **ბურთის ფლობა**: 51%-49%.

**მაყურებელი**: 0

**რომა-პარმა 3:0**

**რომა**: ა. დონი-6.5, კასეტი-6.5, პანუჩი-6.5, ფერარი-6, ტონეტო-6, დე როსი-6, პისარო-7, ტადეი-6, პეროტა-6.5 (90. როზი-შ.გ), მანსინი-6 (75. ვილჰელმსონი-6.5), ტოტი-7.5 (84. ტავანო-შ.გ).

**პარმა**: ბუჩი-6.5, ფერნანდო კოუტუ-5, პერნა-5.5 (70. პიზანუ-5.5), კონტინი-6, ფერონეტი-5.5, პარავიჩინი-5 (52. ჩიგარინი-5.5), ბოლანო-5, კასტელინი-5.5, მორფეო-5 (80. მუსლიმოვიჩი-შ.გ), როსი-6, ბუდანი-6.

**გოლები**: 1:0 ტოტი (50), 2:0 პეროტა (66), 3:0 ტადეი (90)

**გაძევება**: ფერნანდო კოუტუ (89. პარმა)

**გაფრთხილება**: 1-4; **კუთხური**: 9-3; **ჯარიმა**: 14-21; **თამაშგარე**: 5-2; **კარში დარტყმა**: 27-10 (16-4); **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 30 000

**პალერმო-ემპოლი 0:1**

**პალერმო**: ა. ფონტანა-6, ბიავა-6, ძაკარდო-6, ბარძალი-5, მ. პიზანო-6, გუანა-5 (58. ჯოვ. ტედესკო-5), კორინი-6, სიმპლისიუ-6 (85. ჯაკომაცი-შ.გ), ბრეშანო-5 (58. ბრიენცა-5.5), დი მიკელე-6.5, კარაჩოლო-6.

**ემპოლი**: ბალი-6, რაჯი-6, პრატალი-6.5, ლუკინი-6.5 (90. ვანილი-შ.გ), ტოსტო-7, ალმირონი-7.5, დ. მორო-6.5, ბუშე-6, ვანუკი-5.5 (75. საუდატი-შ.გ), მატეინი-6.5, პოცი-6 (54. მარიანინი-6.5).

**გოლი**: 0:1 ალმირონი (47)

**გაფრთხილება**: 2-2; **კუთხური**: 9-3; **ჯარიმა**: 21-19; **თამაშგარე**: 5-0; **კარში დარტყმა**: 12-13 (6-6); **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

**მაყურებელი**: 20 000

**ფიორენტინა-უდინეზე 2:0**

**ფიორენტინა**: ფრეი-6, უიფალუში-6.5, გამბერინი-6, დაინელი-6 (33. კროლდრუპი-6), პასკუალი-6.5, მონტოლივო-6.5 (78. პაციენცა-შ.გ), ლივერანი-7, ბლაზი-6.5, იორგენსენი-6.5, პაცინი-6.5 (69. დი კარმინე-6), რეჯინალდო-7.

**უდინეზე**: დე სანქტისი-6, საპატა-6, ნატალი-6, კოდა-5.5, პინცი-5.5, ობოდო-5.5, გ. დ'აგოსტინო-5.5 (59. სიკეირა-6.5), დე მარტინო-5 (46. მუნტარი-5.5), მოტა-5 (84. ლუკოვიჩი-შ.გ), იაკუინტა-6, გიანი-5.5.

**გოლები**: 1:0 რეჯინალდო (16), 2:0 პაცინი (44)

**გაფრთხილება**: 3-1; **კუთხური**: 5-7; **ჯარიმა**: 27-9; **თამაშგარე**: 9-4; **კარში დარტყმა**: 17-16 (9-9); **ბურთის ფლობა**: 53%-47%.

**მაყურებელი**: 0

**მილანი-ლივორნო 2:1**

**მილანი**: სტორარი-6.5, ოდო-6, ბონერა-6, მალდინი-6, იანკულოვსკი-6.5, გატუზო-7, პირლო-6, ზეედორფი-6.5 (75. ბროკი-შ.გ), კაკა-5.5, ჯილარდინო-6 (79. ამბროზინი-შ.გ), ოლივეირა-6 (63. რონალდო-6).

**ლივორნო**: ამელია-6.5, გრანდონი-6, კუფური-6, გალანტე-6.5, პასკუალე-6 (83. პაულინიო-შ.გ), ა. ფილიპინი-6, ფიორე-6.5, მორონე-6.5, პასონი-6, სეზარი-5 (69. ბალერი-6), კ. ლუკარელი-6.5.

**გოლები**: 1:0 გატუზო (29), 1:1 კ. ლუკარელი (32), 2:1 იანკულოვსკი (68)

**გაფრთხილება**: 0-0; **კუთხური**: 16-6; **ჯარიმა**: 13-18; **თამაშგარე**: 3-4; **კარში დარტყმა**: 24-10 (14-6); **ბურთის ფლობა**: 62%-38%.

**მაყურებელი**: 21 649

**ატალანტა-ლაციო 0:0**

**ატალანტა**: კალდერონი-7, ტალამონტი-6, რივალტა-6.5, ლორია-6, ბელინი-6, პინტუ-5.5 (76. ტისონე-შ.გ), მილიაჩო-6.5, დონატი-5.5, არიატი-5.5, კ. დონი-5.5, ძამპანია-5.5 (82. ვენტოლა-შ.გ).

**ლაციო**: პერუცი-6, ბეჰრამი-6.5, სივილია-6.5, კრიბარი-6.5, ძაური-6, ფირმანი-5.5, ლედესმა-6.5, მუტარელი-5.5, მაური-5.5, როკი-6 (90. ტარე-შ.გ), პანდევი-6 (71. ხიმენესი-შ.გ).

**გაფრთხილება**: 1-2; **კუთხური**: 3-3; **ჯარიმა**: 17-19; **თამაშგარე**: 4-7; **კარში დარტყმა**: 13-13 (6-10); **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

**მაყურებელი**: 0

**სამპდორია-ასკოლი 2:0**

**სამპდორია**: კასტელაცი-6, მაჯო-7, ფალკონე-6, აკარდი-6, კ. ძენონი-6.5, პალომბო-6.5, ვოლპი-7 (74. პაროლა-შ.გ), დ. ფრანჩესკინი-7.5, კვალიარელა-6.5, ბონაცოლი-6 (60. ბაძანი-6), ფლაკი-6.5 (85. ოლივერა-შ.გ).

**ასკოლი**: პალიუკა-6, ვასტოლა-5.5, მელარა-5, ნასტასე-6, მინიერი-6, ბუდიანსკი-6 (51. ბონანი-6), გ. ფონტანა-6, პ. ძანეტი-5 (74. პეშე-შ.გ), ფინი-6, ბელანოვიჩი-5.5, პაოლუჩი-5 (56. სონჩინი-5.5).

**გოლები**: 1:0 მაჯო (48), 2:0 დ. ფრანჩესკინი (75)

*მე-17 წუთზე ფლაკიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაძევება**: მელარა (71. ასკოლი)

**გაფრთხილება**: 1-5; **კუთხური**: 9-10; **ჯარიმა**: 22-23; **თამაშგარე**: 3-3; **კარში დარტყმა**: 23-8 (12-5); **ბურთის ფლობა**: 36%-64%.

**მაყურებელი**: 17 000

**მესინა-კატანია 1:1**

**მესინა**: კალიონი-5.5, ზორო-6.5, ძანკი-7 (88. მორელო-შ.გ), რეა-5.5, ლავეკია-5.5, პესტრინი-6, დ'ავერსა-6 (79. დე ვეცე-შ.გ), კანდელა-5.5, პარიზი-6, მაზიელო-6 (71. ილიევი-6), ბაკაიოკო-6.

**კატანია**: პანტანელი-6.5, ლუჩენტი-7, მინელი-6, სტოვინი-5.5, ვარგასი-6.5, ბაიოკო-6, ედუსეი-6, კაზერტა-6.5, ჯ. კოლუჩი-5.5 (80. იცკო-შ.გ), სპინეზი-5, მასკარა-6.5 (84. კორონა-შ.გ).

**გოლები**: 1:0 ძანკი (35), 1:1 მასკარა (60)

**გაფრთხილება**: 1-1; **კუთხური**: 6-7; **ჯარიმა**: 24-15; **თამაშგარე**: 2-0; **კარში დარტყმა**: 11-12 (9-5); **ბურთის ფლობა**: 36%-64%.

**მაყურებელი**: 0

**კალიარი-სიენა 2:2**

**კალიარი**: ფორტინი-5.5, ფ. პიზანო-5 (84. კანინი-შ.გ), ბისერა-6, ბიანკო-6, აგოსტინი-6, მარკინი-6.5, კონტი-6, ბიონდინი-6.5 (78. ლ. კოლუჩი-შ.გ), კაპონე-7 (87. პენალბა-შ.გ), სუასო-7.5, ლანჯელა-5.

**სიენა**: მანინგერი-6, ბერტოტო-6 (81. ნეგრო-შ.გ), პორტანოვა-6, რინაუდო-6, მოლინარო-6, ანტონინი-5.5, კოდრეა-7, ვერგასოლა-6.5, კოცა-6, კორვია-6.5 (36. ე. ბრევი-შ.გ), მაკარონე-5 (58. ფრიკი-5.5).

**გოლები**: 0:1 კორვია (30), 1:1 კაპონე (38), 2:1 სუასო (66), 2:2 კოდრეა (83)

**გაფრთხილება**: 0-3; **კუთხური**: 3-3; **ჯარიმა**: 21-25; **თამაშგარე**: 4-8; **კარში დარტყმა**: 11-13 (6-7); **ბურთის ფლობა**: 53%-47%.

**მაყურებელი**: 6 000

**ტორინო-რეჯინა 1:2**

**ტორინო**: აბიატი-5.5, ოგბონა-5.5, ტ. ზრეჯი-6 (77. გალო-შ.გ), ი. ფრანჩესკინი-6, კომოტო-6.5, ბარონე-5.5, არდიტო-5.5, ბალესტრი-6, როზინა-6, ლაზეტიჩი-5.5 (68. მუცრ-შ.გ), აბრუსკატო-5 (80. სტელონე-შ.გ).

**რეჯინა**: კამპანიოლო-6, ლანძარო-6, ა. ლუკარელი-6.5, არონიკა-6, მესტო-6.5, ვიჯანი-6.5 (75. ფოჯა-შ.გ), ამერინი-5.5 (56. გაცი-6), ჯაკ. ტედესკო-6.5, მოდესტო-6.5, ამორუზო-6.5, ბიანკი-7 (84. მისიროლი-შ.გ).

**გოლები**: 0:1 ბიანკი (48), 1:1 კომოტო (50), 1:2 ბიანკი (58)

**გაფრთხილება**: 3-4; **კუთხური**: 5-9; **ჯარიმა**: 23-24; **თამაშგარე**: 1-2; **კარში დარტყმა**: 20-8 (9-5); **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 16 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 22 | 19 | 3 | 0 | 48-17 | 60 |
| 2. რომა | 22 | 15 | 4 | 3 | 46-17 | 49 |
| 3. პალერმო | 23 | 13 | 3 | 7 | 39-28 | 42 |
| 4. ემპოლი | 22 | 8 | 8 | 6 | 20-19 | 32 |
| 5. ლაციო | 22 | 9 | 7 | 6 | 33-18 | 31 |
| 6. კატანია | 23 | 8 | 7 | 8 | 31-39 | 31 |
| 7. მილანი | 22 | 10 | 8 | 4 | 28-18 | 30 |
| 8. ატალანტა | 22 | 7 | 8 | 7 | 36-32 | 29 |
| 9. უდინეზე | 22 | 8 | 5 | 9 | 23-27 | 29 |
| 10. სამპდორია | 22 | 7 | 6 | 9 | 30-30 | 27 |
| 11. ფიორენტინა | 22 | 12 | 4 | 6 | 35-21 | 25 |
| 12. სიენა | 22 | 5 | 11 | 6 | 20-24 | 25 |
| 13. კალიარი | 22 | 4 | 11 | 7 | 18-25 | 23 |
| 14. ლივორნო | 22 | 5 | 8 | 9 | 22-34 | 23 |
| 15. ტორინო | 22 | 5 | 7 | 10 | 18-29 | 22 |
| 16. რეჯინა | 22 | 8 | 6 | 8 | 28-29 | 19 |
| 17. კიევო | 22 | 4 | 6 | 12 | 21-32 | 18 |
| 18. მესინა | 22 | 3 | 8 | 11 | 22-37 | 17 |
| 19. პარმა | 22 | 3 | 6 | 13 | 17-39 | 15 |
| 20. ასკოლი | 22 | 2 | 6 | 14 | 16-35 | 12 |

**ბომბარდირები**: 14 - ტოტი (რომა); 12 - ბიანკი (რეჯინა); 11 - სპინეზი (კატანია), ტონი (ფიორენტინა); 10 - კ. დონი (ატალანტა), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა); 9 - კრესპო (ინტერი), იაკუინტა (უდინეზე), კვალიარელა (სამპდორია), კ. ლუკარელი (ლივორნო), რიგანო (მესინა), როკი (ლაციო); 8 - ამაური (პალერმო), ბუდანი (პარმა).

## სერია B

XXIII ტური

**ვიჩენცა-იუვენტუსი 2:2**

**იუვენტუსი**: ბუფონი, ბირინდელი, პიკოლო, კიელინი (64. ლეგროტალიე), ბალცარეტი, მარკიონი (71. კამორანეზი), კ. ძანეტი (82. ტრეზეგე), პარო, ნედვედი, დელ პიერო, პალადინო.

გოლები: 0:1 პალადინო (6), 0:2 დელ პიერო (60), 1:2 ნასტოსი (73), 2:2 პაონესა (78)

**ლეჩე-ვერონა 2:0**

გოლები: 1:0 ტული (72), 2:0 ტირიბოკი (90)

**კროტონე-ჩეზენა 1:2**

გოლები: 0:1 ძანინელი (33), 0:2 პელე (57), 1:2 ტიში (76)

**პესკარა-მანტოვა 0:0**

**მოდენა-ალბინოლეფე 0:3**

გოლები: 0:1 რუოპოლო (16), 0:2 რუოპოლო (40), 0:3 ინოჩენტი (76)

**ნაპოლი-პიაჩენცა 1:0**

გოლი: 1:0 სოსა (81)

გაძევება: კალაიო (88. ნაპოლი)

**რიმინი-ჯენოა 1:0**

გოლი: 1:0 ბაჩინი (9)

გაძევება: ბეგა (22. ჯენოა)

**სპეცია-ბოლონია 2:0**

გოლები: 1:0 გუიდეტი (31), 2:0 ვარიკიო (81)

**არეცო-ფროზინონე 0:0**

**ტრიესტინა-ტრევიზო 1:2**

გოლები: 0:1 აკვაფრესკა (39), 0:2 აკვაფრესკა (54), 1:2 ჩერონი (58)

**ბრეშა-ბარი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 22 | 14 | 7 | 1 | 39-15 | 40 |
| 2. ნაპოლი | 22 | 10 | 10 | 2 | 23-13 | 40 |
| 3. რიმინი | 22 | 10 | 7 | 5 | 35-22 | 37 |
| 4. მანტოვა | 22 | 9 | 10 | 3 | 24-15 | 37 |
| 5. ბოლონია | 22 | 11 | 4 | 7 | 25-19 | 37 |
| 6. ჯენოა | 22 | 10 | 6 | 6 | 34-28 | 36 |
| 7. ჩეზენა | 23 | 9 | 8 | 6 | 33-31 | 35 |
| 8. პიაჩენცა | 22 | 10 | 5 | 7 | 24-23 | 35 |
| 9. ალბინოლეფე | 22 | 6 | 14 | 2 | 22-16 | 32 |
| 10. ბარი | 22 | 7 | 8 | 7 | 20-17 | 29 |
| 11. ტრევიზო | 22 | 7 | 8 | 7 | 27-25 | 29 |
| 12. ბრეშა | 22 | 7 | 8 | 7 | 23-24 | 29 |
| 13. ფროზინონე | 22 | 7 | 8 | 7 | 23-24 | 29 |
| 14. ტრიესტინა | 22 | 7 | 9 | 6 | 16-18 | 29 |
| 15. ლეჩე | 22 | 7 | 4 | 11 | 28-33 | 25 |
| 16. სპეცია | 23 | 5 | 9 | 9 | 23-30 | 24 |
| 17. ვიჩენცა | 22 | 5 | 7 | 10 | 23-25 | 22 |
| 18. მოდენა | 22 | 5 | 6 | 11 | 12-23 | 21 |
| 19. კროტონე | 22 | 3 | 10 | 9 | 17-28 | 19 |
| 20. ვერონა | 22 | 4 | 5 | 13 | 9-23 | 17 |
| 21. პესკარა | 22 | 2 | 8 | 12 | 17-37 | 13 |
| 22. არეცო | 22 | 3 | 9 | 10 | 15-23 | 12 |

**ბომბარდირები**: 11 - ბელუჩი (ბოლონია); 10 - პაპა ვაიგო (ჩეზენა); 9 - ადაილტონი (ჯენოა); 8 - კალაიო (ნაპოლი), დელ პიერო (იუვენტუსი), მოსკარდელი (რიმინი), ჟედა (რიმინი), ტრეზეგე (იუვენტუსი); 7 - აკვაფრესკა (ტრევიზო), ლოდი (ფროზინონე), მარჯოტა (ფროზინონე), ნედვედი (იუვენტუსი), პელე (ჩეზენა), პოსანცინი (ბრეშა), სალვეტი (ჩეზენა).

## სერია C1/A

XXII ტური

**ჩიტადელა-სასუოლო 2:0; პრო სესტო-ლუკეზე 0:2; ვენეცია-სანჯოვანეზე 2:1; პიზა-მასეზე 2:1; პროპატრია-კრემონეზე 2:2; პავია-მონცა 1:1; გროსეტო-პისტოიეზე 3:0; პიციგეტონე-ნოვარა 2:1; ივრეა-პადოვა 1:1.**

## სერია C1/B

XXII ტური

**პერუჯა-აველინო 1:0; რავენა-სან მარინო 1:0; ტარანტო-ლანჩანო 2:1; სამბენედეტეზე-სალერნიტანა 0:2; ტერამო-მანფრედონია 2:3; ფოჯა-ჯულიანოვა 2:0; კავეზე-ტერნანა 2:1; იუვე სტაბია-ანკონა 2:0; გალიპოლი-მარტინა 0:1.**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტური

# შალკე გაფრინდა, ჰამბურგმა... მოიგო!

## ჰიტცფელდის პირველი გამარჯვება, ფონ ჰეეზენი გადადგა




მაკაის გოლმა ბაიერნის თავკაცობა უზომოდ გაახარა

შაბათი გელზენკირხენელი გულშემატკივრებისთვის ერთ-ერთი უბედნიერესი დღე იყო. დავიწყოთ იმით, რომ “შალკემ” მისთვის უხერხულ მეტოქე “ჰერტას” 2:0 მოუგო და ლიდერობა გაიმყარა. ამასთანავე, “ხუმარების” მდევარი და ჯერაც ნომერ პირველი კონკურენტი “ვერდერი” შტუტგარტში დამარცხდა (1:4), რაც იმას ნიშნავს, რომ “შალკე” ბრემენულ კლუბს უკვე 6 ქულით უსწრებს. ეს კი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ თუ რაღაც სასწაული არ მოხდა, **ლევან კობიაშვილის** გუნდი გერმანიის ჩემპიონი გახდეს. ჰო, წინ ჯერ კიდევ 13 ტურია და ბუნდესლიგაც ისეთი ტურნირია, რომ არასდროს არაფერი უნდა გამორიცხო, მაგრამ თუ **მირკო სლომკას** შეგირდები ასე გააგრძელებენ, მათ ჩემპიონობას წინ ვერაფერი დაუდგება. კობიაშვილი ვახსენეთ და ბარემ აქვე გეტყვით, რომ ლევანმა შაბათამდე გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო, რის გამოც თავის გუნდს ისევ ვერ დაეხმარა (კობიმ ტრავმის გამო ზედიზედ მეორე უმნიშვნელოვანესი მატჩი გამოტოვა), მაგრამ “ხუმარებმა” მის გარეშეც გაიმარჯვეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი “შალკე” შეუჩერებელია. გერმანელი მიმომხილველების დიდმა ნაწილმა სლომკასა და მის გუნდს უკვე მიულოცა ჩემპიონობა - მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი. ექსპერტთა ამ ნაწილს ეთანხმება “ჰერტას” მენეჯერი **დიტერ ჰიონესიც**, რომელმაც ნამატჩევს თქვა, ვინც ასეთ თამაშებს იგებს, აუცილებლად დაეუფლება “ვერცხლის სინსო”. ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ: “შალკე” თამაშობს ჩემპიონურ ფეხბურთს, იგებს გადამწყვეტ მატჩებს, ქულებს უაზროდ არ კარგავს და რაც შაბათსაც გამოჩნდა, ამ გუნდს აქვს დაუოკებელი სურვილი, ნახევარსაუკუნიანი პაუზის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, იზეიმოს ჩემპიონობა. “ჰერტასთან” ისევ ძალიან კარგად ითამაშა **კევინ კურანიმ**, რომელსაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარიერის საუკეთესო კვირა ჰქონდა. ბერლინელები გელზენკირხენულ კლუბს მაქსიმალურად უძალიანდებოდნენ და მეტწილად თავიანთი მეკარის, **ფიდლერის** დამსახურება გახლდათ ის, რომ “შალკემ” პირველ ტაიმში გოლი ვერ გაიტანა. დედაქალაქელთა კარის დარაჯმა არა ერთხელ და ორჯერ იხსნა “ჰერტა”, მაგრამ 64-ე წუთზე, როცა **ლინკოლნმა** კუთხური ჩააწოდა და ბურთი კურანის ზედ თავზე დაასვა, ფიდლერი ველარაფერს გახდა - კევინის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი მისი კარის ბადეში გაეხვა. ყველაზე ამაღელვებელი კი გოლის შემდგომი სცენა იყო - შალკელებმა წრე შეკრეს და ცეკვა დაიწყეს. ეს იყო საჩემპიონო ცეკვა. “*ყველაფერი გენიალურადაა. ასევე გავაგრძელებთ. უბედნიერესი ადამიანი ვარ, ეს კვირა ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.*” - თქვა ნამატჩევს კურანიმ, რომელსაც მიმდინარე სეზონში უკვე 9 გოლი აქვს და აქედან 5 თავით გაიტანა.

მეორე გოლი **პეტერ ლოვენკრანდსის** ანგარიშზეა, კაცისა, რომელმაც ერთი კვირის წინათ “ვერდერს” შეუსრულა დუბლი. ვერცხლისწყალივით მოძრავმა დანიელმა ფორვარდმა ამ გოლით ცხადი გახადა, რომ “შალკემ” ზედიზედ მე-6 თამაში მოიგო და უკვე 12 თამაშია, არ დამარცხებულა. აუცილებლად უნდა ვახსენოთ გელზენკირხენელთა მეკარე **მანუელ ნოიერიც**, რომელმაც მე-6 (**ხიმენესის** დარტყმა მოიგერია) და მე-12 (**პანტელიჩს** სასწაულებრივად აუღო) წუთებზე “შალკე” გაშვებული გოლებისგან იხსნა. შეგახსენებთ, რომ “შალკე” სწორედ მას მერე აღარ დამარცხებულა, რაც ამ გუნდის კარს ნოიერი იცავს. ერთადერთი სამწუხარო ამბავი გელზენკირხენული კლუბიდან ის არის, რომ **გუსტავო ვარელა** დაშავდა და საოპერაციოა. ურუგვაელი ნახევარმცველი “ხუმარებს” ზაფხულამდე ველარ დაეხმარება.

“ვერდერი” მთელი სეზონის განმავლობაში ძალიან კარგად თამაშობდა. ბრემენელები თამაშებს საკმაოდ იოლად იგებდნენ და გოლებიც უხვად გაჰქონდათ, მაგრამ... ერთ კვირაში ორი თამაში წააგეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლა ახლა უკვე ძალიან გაუჭირდებათ. როგორც ჩანს, **თომას შააფის** გუნდი “შალკესთან” განცდილმა მარცხმა (0:2) არია. შაბათს, შტუტგარტში “ვერდერი” თავის თავს არ ჰგავდა, რაც საბოლოო ანგარიშშიც ნათლად აისახა - 4:1 გაცილებით მონდომებული და მოტივირებული შვაბების სასარგებლოდ. “შალკესთან” წაგებამ “მუსიკოსებზე” ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად კი იმოქმედა, მაგრამ საქმე კიდევ ისაა, რომ “ვერდერის” ტაქტიკა-სტრატეგიას ყველამ დაუმულამა: ისევე, როგორც “შალკესთან” მატჩში, ბრემენელები ამჯერადაც ფლობდნენ უპირატესობას, რაც მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ სულ შააფის გუნდი უტევდა, გოლები კი შტუტგარტელებს (კონტრშეტევებზე) გაჰქონდათ.

კურანის დარად **მარიო გომესმაც** გაამყარა ის მოსაზრება, რომ გერმანელი თავდამსხმელებიდან დღესდღეობით საუკეთესო ფორმაშია. ისევე, როგორც შვეიცარიასთან სადებიუტო შეხვედრაში, აყლაყუდა სუპერ-მარიომ ამჯერადაც შესანიშნავად ითამაშა, ლამაზი გოლიც გაიტანა და სტადიონზე მყოფ ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ ჩეხეთთან მისი ნდობა შეიძლება. რაც მთავარია, მან მოუგო დუელი **მიროსლავ კლოზეს** - გომესს 12 გოლი აქვს გატანილი და ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავას უკვე ერთპიროვნულად ლიდერობს, კლოზე კი 11 გოლით მეორეა.

“შტუტგარტმა” ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა: **ლუდოვიკ მანინის** ჩაწოდებას ბრემენელთა საჯარიმოში **ჰილბერტი** გამოეხმაურა და **ტიმ ვიზეს** ბურთის მოგერიების შანსი არ დაუტოვა. მერე (მე-14 წუთზე) იყო გომესის თვალსასეირო გოლი, თუმცა 7 წუთში **დიეგომ** ჩინებული კომბინაციის შემდეგ სხვაობა შეამცირა. მაგრამ 33-ე წუთზე შვაბებმა მესამე გოლი გაუტანეს “ვერდერს” (მანინი) და შააფი საგონებელში ჩააგდეს. მეორე ტაიმში “მუსიკოსთა” დამრიგებელმა თამაშში მესამე ფორვარდი (**როზენბერგი**) ჩართო, მაგრამ “ვერდერს” ვერც ამ უკანასკნელმა უშველა. სტუმრები უკანმოუხედავად უტევდნენ, მომენტებსაც ქმნიდნენ (როზენბერგი, **ბოროვსკი** სამჯერ), მაგრამ გოლი კი ვერა და ვერ გაჰქონდათ. 86-ე წუთზე კი, ბრემენელებს მორიგი კონტრიერიში გაეპარათ, გომესი “ვერდერის” მცველებს დაუძვრა და ჰილბერტი მონახა, რომელმაც **მარკო შტრელერს** უპასა, შვეიცარიელმა ფორვარდმა კი მეოთხე გოლი გაუტანა ვიზეს. ამრიგად, ზედიზედ მეორე წაგების შემდეგ “ვერდერი” “შალკეს” უკვე 6 ქულით ჩამორჩება. “*ნამდვილი იდიოტები ვართ! მეტოქეს სამჯერ გავატანინეთ გოლი კონტრშეტევებზე,*” - განრისხებული იყო **ტორსტენ ფრინგსი**. ოთხშაბათს “მუსიკოსები” უეფას თასზე “აიაქსს” ხვდებიან...

...ფაქტია, რომ ეს ოდესმე უნდა მომხდარიყო: რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, “ჰამბურგმა” მოიგო (დორტმუნდის “ბორუსიასთან” 3: 0)! HSV-ს ახალი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** პირველად წარსდგა “აოლ-არენის” განამებული და სიხარულს დანატრებული პუბლიკის წინაშე და პირველივე თამაშში გააბედნიერა ჩრდილოგერმანული კლუბის ქომაგები. ეს იყო რიგით მეორე გამარჯვება მიმდინარე სეზონში და პირველი მოგება საკუთარ მოედანზე ბოლო 10 თვის (!) განმავლობაში. თანაც, ეს “ჰამბურგისთვის,” ფაქტობრივად, ბოლო შანსი იყო, რადგან მომდევნო ორი თამაში HSV-ს “ვერდერთან” და “შალკესთან” უწევს. სტევენსმა ნამატჩევს ამიტომაც თქვა, ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯი იყო გადარჩენისკენო. არადა, ჰამბურგელებმა პირველი გოლი პენალტით გაიტანეს, პენალტით, რომელიც არ ყოფილა. თერთმეტმეტრიანი **მეჰდი მაჰდავიკიას** სიმულანტობას მოჰყვა, რომელზეც მსაჯი პატარა ბავშვივით წამოეგო. მაგრამ “ჰამბურგის” გულშემატკივრები ოდნავადაც არ დარდობდნენ იმაზე, რომ ანგარიში დაუმსახურებელი გოლით გახსნეს - მათთვის უკვე სულერთია, როგორ და რანაირად გაიტანს გუნდი გოლებს, მთავარი შედეგია. 39-ე წუთზე უკვე “დორტმუნდის” მცველები შეცდნენ და **ვან დერ ვაარტის** ჩაწოდების შემდეგ ბურთს პირდაპირ **კოლინ ბენჯამინსკენ** შეუცვალეს მიმართულება, რომელმაც მათ მადლობა გადაუხადა და ზუსტი თავური დარტყმით სხვაობა ორამდე გაზარდა. 42-ე წუთზე მსაჯმა უხეშობისთვის მოედნიდან **დედე** გააძევა, თუმცა ბრაზილიელი მიიჩნევს, რომ წითელ ბარათს არ იმსახურებდა. მაგრამ “ჰამბურგის” ქომაგებისთვის ესეც სულერთია. BVB-ს ტანჯვას წერტილი მაჰდავიკიამ 90-ე წუთზე დაუსვა, როცა “ბორუსიის” მეკარე **ვაიდენფელერის** ბავშვური შეცდომით ისარგებლა და საბოლოო ანგარიში (3:0) დააფიქსირა. ასე რომ, “ჰამბურგმა” როგორც იქნა მოიგო, თუმცა ბოლო ადგილს თავი ჯერ მაინც ვერ დააღწია. “დორტმუნდის” მწვრთნელი **იურგენ რიობერი** კი საგონებელშია ჩავარდნილი - დებიუტში “ბაიერნის” დამარცხების შემდეგ “ბორუსიამ” ზედიზედ სამი თამაში წააგო და იმიტომ...

გამოსარჩევია “მაინცის” გამარჯვებაც. **იურგენ კლოპის** ელიტაში დარჩენისთვის მებრძოლმა გუნდმა უშუალო კონკურენტი “კოტბუსი” გაანადგურა - 4:1. სამი გოლი “ვერდერიდან” ნაყიდი **მოჰამედ ზიდანის** ანგარიშზეა. ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ “მაინცისთვის” დაბადებული ფეხბურთელია. ზიდანის გარდა იხეირა **ლეონ ანდრეასენმაც**, რომელიც ასევე ცოტა ხნის წინათ გადავიდა “მაინცში” (ასევე “ვერდერიდან”)...

კვირის მატჩებიდან ყურადღებას იპყრობდა “ბაიერნისა” და “არმინიის” მატჩი, რომელშიც **ოტმარ ჰიტცფელდის** საშინაო დებიუტი უნდა შემდგარიყო. როგორც იქნა, მიუნხენურმა გიგანტმა ნავსი გატეხა, გოლიც გაიტანა და მოიგო კიდეც, თუმცა თამაშის ხარისხზე რა მოგახსენოთ. ისე, ჰიტცფელდს მიაჩნია, რომ გუნდში ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისთვის ამ ნაწვალებ 1:0-საც სერიოზული დატვირთვა ექნება. მაშ ასე, ოტმარის პირველი გამარჯვება “ბაიერნში” მეორედ მოსვლის შემდეგ. და ეს იმ ფონზე, როცა გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **ფრანც ბეკენბაუერი** პირადად აწარმოებს მოლაპარაკებებს **ბერნდ შუსტერთან**, რათა ივნისიდან “ალიანს-არენაზე” მთავარ მწვრთნელად იხილოს. არადა, რამდენიმე დღის წინ ჰიტცფელდმა “ჩვენება” შეცვალა და არ გამორიცხა, რომ “ბაიერნში” მომავალ სეზონშიც იმუშავებს...

“არმინიის” წაგებას კი მთავარი მწვრთნელის **თომას ფონ ჰეეზენის** გადადგომა მოჰყვა. მართალია, “ჰამბურგის” ყოფილი ვარსკვლავი სეზონის შემდეგ ისედაც აპირებდა წასვლას, მაგრამ მაინც და მაინც “ბაიერნთან” წაგების შემდეგ პოსტის დატოვება, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. მან უკვე შეატყობინა ბოსებს, რომ დღეიდან მისი კონტრაქტი ძალადაკარგულია.

“ნიურნბერგმა”, რომელმაც ბრწყინვალედ განაახლა სეზონი, ბოხუმში 2:0 მოიგო. ორივე გოლი მატჩის ბოლო წუთებში რუსმა ლეგიონერმა **საენკომ** გაიტანა. მეორე წრის დაწყებიდან, ეს “ნიურნბერგის” მეოთხე მატჩი და მესამე გამარჯვებაა.

### მომდევნო ტური

16 თებერვალი. **აინტრახტი-შტუტგარტი.** 17 თებერვალი. **ლევერკუზენი-ჰანოვერი, ჰერტა-მაინცი, ბორუსია (დ)-ბორუსია (მ), ვოლფსბურგი-შალკე, ვერდერი-ჰამბურგი, ალემანია-ბაიერნი.** 18 თებერვალი. **ნიურნბერგი-კოტბუსი, არმინია-ბოხუმი.**

### ჰანოვერი-ვოლფსბურგი 2:2

**ჰანოვერი:** ენკე-3.5, ჩერუნდოლო-5, ვინიციუსი-3.5, ფარენჰორსტი-2.5, ტარნატი-3.5, ლალა-4, ბალიტში-2.5, ჰუშტი-3 (82. შრიოტერი), ბრუგინკი-5 (58. შტაინერი-3.5), როზენტალი-4, ჰაშემიანი-4.5 (68. თორვალდსონი-4).

**ვოლფსბურგი:** იენტცში-2.5, კიროგა-4.5, მადლუნგი-3.5 (46. მიორლე-4), ჰოფლანდი-3, ვან დერ ჰეიდენი-4, ვან დერ ლეეგტე-4.5, მენსეგესი-3.5 (62. კარჰანი-4.5), მარსელინიო-2.5, კრჟინოვეკი-3 (78. შარპეი), ჰანკე-4, კლიმოვიჩი-2.5.

**გოლები:** 0:1 კლიმოვიჩი (3), 1:1 ბალიტში (22), 1:2 კრჟინოვეკი (25), 2:2 ფარენჰორსტი (62).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 17-7; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 22-20; **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 35 244.

### ჰამბურგი-ბორუსია (დ) 3:0

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-3.5, ბენჯამინი-3 (91. აბელი), ბ. რაინჰარდტი-3.5, მატიისენი-3, ატუბა-3.5, მაჰდავიკია-2.5, იაროლიმი-2.5, ლაასი-3, სორინი-3.5, ვან დერ ვაარტი-2 (84. ტროხოვსკი), ოლიჩი-5 (86. გერერო).

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-5, პ. დეგენი-4, ბრჟენსკა-5, კ. მეტცელდერი-5, დედე-5, ტინგა-4.5, კრინგე-5, კრუსკა-5, შაჰინი-5, ვალდესი-5 (56. რიკენი-4.5), ფრაი-4.5 (68. ტირალა-4).

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (11-პენ), 2:0 ბენჯამინი (39), 3:0 მაჰდავიკია (90).

**გაძევება:** დედე (41. ბორუსია).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 14-7; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 19-21; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 57 000.

### ბორუსია (მ)-ალემანია 0:0

**ბორუსია (მ):** კელერი-2.5, ბიოგელუნდი-3.5, გოჰური-3, ზე ანტონიო-4, კომპერი-4 (65. რაფაელი-5), პოლანსკი-5 (53. სვენსონი-3.5), კლუგე-3.5, დელურა-4.5 (75. დ. დეგენი), ინსუა-4, იანსენი-4, კაჰე-4.

**ალემანია:** შტრაუბი-3, შტელე-3, კლიტცპერა-2.5, ჰერციგი-3, ლეივაკაბესი-3.5, მ. ლემანი-3.5 (71. პინტუ), პლასჰენრიხი-3, რეგეკამპფი-3.5 (78. ფილი), რიოსლერი-3.5, შლაუდრაფი-3, იბიშევიჩი-4 (81. ებერსი).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 15-10; **კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 15-14; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 50 230.

### მაინცი-კოტბუსი 4:1

**მაინცი:** ვახე-3.5, დემირტასი-3, მ. ფრიდრიხი-3, ნოვესკი-3.5, როზე-3.5, გერბერი-2.5 (67. ფოილნერი-3.5), ანდრეასენი-1.5 (77. პეკოვიჩი), აზუაგი-3, სოტო-2, ზიდანი-1, რუმანი-2 (63. იოვანოვიჩი-3).

**კოტბუსი:** პიპლიცა-3.5, ჟელესი-5, და სილვა-5, მიტრესკი-5, კვიტანოვიჩი-5, კუკიელკა-5, ტ. როსტი-3.5, მუნტეანუ-5 (59. ციბიგი-5), გუნკელი-4 (72. ბაუმგარტი), რადუ-4, კიოიო-4.5 (84. რივიჩი).

**გოლები:** 1:0 ანდრეასენი (7), 1:1 რადუ (20), 2:1 ზიდანი (22), 3:1 ზიდანი (39-პენ), 4:1 ზიდანი (60).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 13-14; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 25-23; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 20 000.

### შტუტგარტი-ვერდერი 4:1

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი-1.5, ტასკი-3, მეირა-3 (52. ხედირა-3), დელპიერი-2, მანინი-1.5, პარდო-2.5, ჰილბერტი-1.5, ჰიტცლშპერგერი-3, და სილვა-2 (79. გენტნერი), კაკაუ-2.5 (74. შტრელერი), გომესი-2.

**ვერდერი:** ვიზე-4, კ. ფრიტცი-5 (62. როზენბერგი-4), მერტეზაკერი-4, ნალდო-4, ვომე-3.5, ფრინგსი-3, დ. იენსენი-4 (30. ვრანიეში-4), ბოროვსკი-4, დიეგო-3, კლოზე-4.5, ჰანტი-5 (77. ალმეიდა).

**გოლები:** 1:0 ჰილბერტი (3), 2:0 გომესი (14), 2:1 დიეგო (21), 3:1 მანინი (33), 4:1 შტრელერი (86).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 13-23; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 21-10; **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 57 000.

### შალკე-ჰერტა 2:0

**შალკე:** ნოიერი-2, რაფინია-3, ბორდონი-2.5 (86. ჰოოგლანდი), კრსტაიჩი-3, როდრიგესი-2.5, ფ. ერნსტი-2.5, ბაირამოვიჩი-2.5, ვარელა-3 (71. ჰალილ ალთინთოპი), ლინკოლნი-2.5, კურანი-2, ლოვენკრანდსი-2 (81. ჰამით ალთინთოპი).

**ჰერტა:** ფიდლერი-2, ჯ. ბოატენგი-5, ა. ფრიდრიხი-3.5, ვან ბურიკი-3.5, ფათი-4, დარდაი-3.5, დეიაგა-4.5 (72. ებერტი), მინეირო-4 (67. ედე-4), ჟილბერტო-3.5, პანტელიჩი-4, ხიმენესი-4 (80. კ. მიულერი).

**გოლები:** 1:0 კურანი (64), 2:0 ლოვენკრანდსი (75).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 18-6; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 19-20; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 61 482.

### ლევერკუზენი-აინტრახტი 2:2

**ლევერკუზენი:** ბუტი-5.5, კასტრო-3.5, კალსენ-ბრაკერი-4, მადუნი-5 (87. პაპადოპულოსი), ბაბიჩი-3.5, რამელოვი-4.5 (74. ვორონინი), როლფესი-3, შნაიდერი-4, ბარნეტა-4 (30. ფერნანდესი-4), ბარბარესი-3.5, კისლინგი-3.

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-3, ოხსი-3, კირიაკოსი-3, ვასოსკი-3.5, შპიხერი-4, ჯოუნსი-4, კრისი-3 (76. ვაისენბერგერი), შტრაიტი-3.5, ა. მაიერი-2.5, თურკი-4 (62. ჰელერი-3.5), ტაკაჰარა-3.5 (72. ამანატიდისი).

**გოლები:** 1:0 ჯოუნსი (39-საკ. კარში), 1:1 კირიაკოსი (42), 1:2 ა. მაიერი (84), 2:2 კისლინგი (91).

**გაძევება:** ბუტი (28. ლევერკუზენი), შპიხერი (80. აინტრახტი).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 13-14; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 23-27; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 22 500.

### ბაიერნი-არმინია 1:0

**ბაიერნი:** კანი-3.5, ლუსიო-2.5, სალიჰამიჯიჩი-3.5, ვან ბუიტენი-3.5, ლამი-3.5, ოტლი-3.5 (65. გიორლიცი-3.5), დემიკელისი-3.5, ბარიმი-3, ვან ბომელი-2.5, მაკაი-3 (61. პისარო-4), პოდოლსკი-3 (88. სანტა კრუსი).

**არმინია:** ჰაინი-3.5, კორზინიეტცი-3.5, შულერი-4, ვესტერმანი (12. ბოლმანი-3.5), გაბრიელი-3, მარქსი-4.5 (72. ვატა), კაუფი-4, მასმანიდისი-3.5, კამპერი-4, ზუმა-4.5, აიგლერი-5 (58. ვიშნიარეკი-5).

**გოლი:** 1:0 მაკაი (8)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 69 000

### ბოხუმი-ნიურნბერგი 0:2

**ბოხუმი:** დრობნი-3, შრიოდერი-4.5, ბიონიგი-4, დრშეკი-3.5, იაია-3.5, დაბროვსკი-3.5, მიშიმოვიჩი-4, ჟდებელი-2.5, ილიჩევიჩი-4 (65. ტროიანი-3), ეპალე-4 (65. ბეჩმანი-3), გეკასი-2.5.

**ნიურნბერგი:** შეფერი-2, ვოლფი-2.5 (80. ნიკლი), პინოლა-2.5, რაინჰარდტი-2.5, ბოშამი-3, გალაშეკი-2.5, მნარი-3, გრეშკო-3.5 (74. ბანოვიჩი), შროტი-3 (61. პოლაკი-3.5), საენკო-1.5, სიტეკი-3.

**გოლები:** 0:1 საენკო (88), 0:2 საენკო (90)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 18 100

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 21 | 15 | 3 | 3 | 38-19 | 48 |
| 2. ვერდერი | 21 | 13 | 3 | 5 | 53-28 | 42 |
| 3. შტუტგარტი | 21 | 12 | 5 | 4 | 37-26 | 41 |
| 4. ბაიერნი | 20 | 10 | 4 | 6 | 32-25 | 34 |
| 5. ჰერტა | 21 | 9 | 6 | 6 | 32-33 | 33 |
| 6. ნიურნბერგი | 20 | 6 | 12 | 2 | 28-17 | 30 |
| 7. ლევერკუზენი | 21 | 8 | 5 | 8 | 35-33 | 29 |
| 8. ჰანოვერი | 21 | 7 | 6 | 8 | 27-32 | 27 |
| 9. ბორუსია (დ) | 21 | 6 | 7 | 8 | 24-28 | 25 |
| 10. ვოლფსბურგი | 21 | 5 | 9 | 7 | 20-24 | 24 |
| 11. არმინია | 20 | 5 | 8 | 7 | 26-25 | 23 |
| 12. აინტრახტი | 21 | 4 | 11 | 6 | 27-35 | 23 |
| 13. კოტბუსი | 21 | 5 | 7 | 9 | 23-30 | 22 |
| 14. მაინცი | 21 | 4 | 9 | 8 | 17-31 | 21 |
| 15. ბოხუმი | 20 | 5 | 5 | 10 | 22-31 | 20 |
| 16. ბორუსია (მ) | 21 | 5 | 5 | 11 | 16-26 | 20 |
| 17. ალემანია | 21 | 5 | 5 | 11 | 32-42 | 20 |
| 18. ჰამბურგი | 21 | 2 | 12 | 7 | 22-26 | 18 |

**ბომბარდირები:** 12 - გომესი (შტუტგარტი); 11 - კლოზე (ვერდერი), პანტელიჩი (ჰერტა), მაკაი (ბაიერნი); 9 - კურანი (შალკე), დიეგო (ვერდერი); 8 - ჰანკე (ვოლფსბურგი), ფრაი (ბორუსია დ), რადუ (კოტბუსი), საენკო (ნიურნბერგი); 7 - მუნტეანუ (კოტბუსი), ტაკაჰარა (აინტრახტი), გეკასი (ბოხუმი), კაკაუ (შტუტგარტი).

### II ბუნდესლიგა

XXI ტური

**კაიზერსლაუტერნი-ჰანზა 1:1**

**გოლები:** 0:1 კერნი (45-პენ), 1:1 ვინალი (51)

**აუგსბურგი-უნტერჰახინგი 2:1**

**გოლები:** 1:0 ლოური (27), 1:1 ლეხლაიტერი (29), 2:1 ჰდიუადი (35)

**ბრაუნშვაიგი-კიოლნი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბანეცკი (27-საკ. კარში)

**ბურგჰაუზენი-კობლენცი 0:0**

**კარლ ცაისი-ესენი 2:0**

**გოლები:** 1:0 აშვეთია (38), 2:0 სიკორა (87)

**ოფენბახი-პადერბორნი 0:2**

**გოლები:** 0:1 მიულერი (39), 0:2 მიულერი (45)

**ფრაიბურგი-მიუნხენი 3:0**

**გოლები:** 1:0 ბენჩიკი (64), 2:0 ანტარი (68), 3:0 ანტარი (85)

**ფიურტი-აუე 2:1**

**გოლები:** 1:0 ტიმი (31), 2:0 ტიმი (54), 2:1 კარი (89)

**დუისბურგი-კარლსრუე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 20 | 13 | 6 | 1 | 46-20 | 45 |
| 2. ჰანზა | 21 | 11 | 8 | 2 | 32-16 | 41 |
| 3. დუისბურგი | 20 | 10 | 9 | 1 | 38-20 | 39 |
| 4. კაიზერი | 21 | 9 | 9 | 3 | 28-18 | 36 |
| 5. აუე | 21 | 10 | 3 | 8 | 30-28 | 33 |
| 6. ფრაიბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 26-25 | 31 |
| 7. მიუნხენი | 21 | 9 | 4 | 8 | 29-29 | 31 |
| 8. კიოლნი | 21 | 8 | 6 | 7 | 30-26 | 30 |
| 9. ფიურტი | 21 | 8 | 5 | 8 | 31-25 | 29 |
| 10. აუგსბურგი | 21 | 7 | 8 | 6 | 20-18 | 29 |
| 11. ოფენბახი | 21 | 8 | 4 | 9 | 27-31 | 28 |
| 12. პადერბორნი | 21 | 6 | 8 | 7 | 17-19 | 26 |
| 13. კობლენცი | 21 | 6 | 6 | 9 | 21-28 | 24 |
| 14. უნტერჰახინგი | 21 | 4 | 7 | 10 | 19-25 | 19 |
| 15. კარლ ცაისი | 21 | 4 | 7 | 10 | 22-38 | 19 |
| 16. ბურგჰაუზენი | 21 | 4 | 6 | 11 | 20-40 | 18 |
| 17. ესენი | 21 | 3 | 6 | 12 | 16-27 | 15 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 21 | 2 | 7 | 12 | 11-30 | 13 |

**ბომბარდირები:** 13 - ფედერიკო (კარლსრუე); 10 - კაპლანი (კარლსრუე), კერნი (ჰანზა), ტურკერი (ოფენბახი); 9 - შერცი (კიოლნი); 8 - ლოური (აუგსბურგი), ლავრიჩი (დუისბურგი); 7 - დაჰამი (კაიზერი), ჰელმესი (კიოლნი), ზიგერი (ოფენბახი), იდრისუ (დუისბურგი), ვუჩიჩევიჩი (მიუნხენი), ანტარი (ფრაიბურგი), ტიმი (ფიურტი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXI ტური

**ვუპერტალი-ჰამბურგი II 0:3; ფორტუნა-ოსნაბრიუკი 2:0; ჰერტა II-ვილჰელმშავენი გადაიდო; ლიუბეკი-ემდენი 4:1; მაგდებურგი-კილი 0:0; ერფურტი-ალენი 1:1; დორტმუნდი II-სტ.პაული გადაიდო; დინამო (დ)-გლადბახი II 1:0; ვერდერი II-ლევერკუზენი II გადაიდო.**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVII ტური

# დიდი სტუმრის მოლოდინში...

"ჩელსისა" არ იყოს, "ჩარლტონმა" "მანჩესტერ იუნაიტედსაც" დიდი წინააღმდეგობა გაუწია. "ეშმაკებმა" გამარჯვება მხოლოდ თამაშის მიწურულს გაინაღდეს. იქამდე, სტუმრებს ორი საუცხოო მომენტი ჰქონდათ. მათი ვნებები მხოლოდ 82-ე წუთზე დააცხრეს. მეორე გოლი **უეინ რუნიმ** გამოაცხო. **სკოტ კარსონმა** მისი იერიში მოიგერია, მაგრამ ბურთი ისევ "მენიუს" თავდამსხმელს მიუგორდა და მანაც ცარიელი კარის წინ მდგომ **დარენ ფლეტჩერს** გაუკეთა პასი. **სერ ალექს ფერგიუსონი** ვერ დაიჩემებს, ჩემმა შეგირდებმა ყველა დავალება პირნათლად შეასრულესო, მაგრამ ეს აღარაა მთავარი. მთავარია მორიგი სამი ქულა, მთავარია ისიც, რომ მდევართან სხვაობა არ მცირდება და ჩემპიონატის დასრულებამდე კი მხოლოდ 11 ტურია დარჩენილი. "ჩარლტონთან" ვერ ითამაშა **კრისტიანო რონალდომ**, რომელიც გაციებული იყო და მაღალი ტემპერატურა ჰქონდა.

"ჩელსისთან" და "მენიუსთან" მატჩებმა ცხადყო, რომ "ჩარლტონი" პრემიერლიგიდან გავარდნას არ აპირებს - ყოველ შემთხვევაში, ბოლო წამამდე ეცდება უმაღლეს დივიზიონში დარჩენას. სტუმრებს ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. **დენის რომედალის** დარტყმული კარს გვერდიდან მოხვდა, ხოლო **დარენ ემბროუზის** თავური **ტომაშ კუშჩაკმა** (ის ცხვირგატეხილი **ედვინ ვან დერ სარის** ნაცვლად თამაშობდა) კუთხურზე მოიგერია. ეს საუცხოო სეივი იყო. ტაიმის მიწურულს კუშჩაკმა ემბროუზი მეორედაც გაანბილა, თუმცა იმ მომენტისთვის "მანჩესტერს" გოლი უკვე გატანილი ჰქონდა: **ბენ ტეტჩერი** პრემიერლიგის ერთ-ერთ ყველაზე ხისტ მცველად ითვლება. ის მეორე სართულზეც საიმედოდ თამაშობს, მაგრამ ტანმორჩილ **ჟი სუნ პარკთან** ვერაფერს გახდა. კორეელმა თავით დაუბრკოლებლად შეაგდო.

პირველ ტაიმში კიდევ ერთი ღირშესანიშნავი ეპიზოდი იყო. **უეინ რუნიმ რაიან გიგზის** გრძელი გადაცემა აკრობატული ილეთით მიიღო, თითქმის ორი მეტრის სიმაღლიდან ბურთი ფეხით ჩამოილო და მეორე მოძრაობით გაშეშებულ კარსონს დაურტყა. ის ძელს გარედან მოხვდა და პირით ხაზს იქით გავიდა.

მეორე ტაიმში თამაშის სცენარი არ შეცვლილა. "იუნაიტედი" ისევ ვერ ახერხებდა უპირატესობის მოპოვებას. მოედნის ცენტრში ჩარლტონელი **ალექსანდრ სონგი** ბატონობდა. მე-60 წუთზე ფერგიმ გიგზის ნაცვლად **ჰენრიკ ლარსონი** გამოიყვანა, მაგრამ უშედეგოდ. "ჩარლტონმა" კიდევ ერთი მომენტი შექმნა. **გარი ნევილი** რომედალის ჩაწოდებულს ვერ შესწვდა, მაგრამ მისი შეცდომით ვერც მარკუს ბენტმა ისარგებლა. სტუმრებმა აქცენტი შეტევაზე გააკეთეს, "იუნაიტედმა" კი კონტრიერიშებზეააწყო თამაში. რუნიმ **ლუის საას** საუცხოო გადაცემა გაუკეთა, მაგრამ ფრანგმა ბურთი პირდაპირ კარსონს გაარტყა. მომდევნო ეპიზოდში ისევ რუნიმ იაქტიურა და ფლეტჩერმა მეორე გოლი შეაგდო...

"ჩელსიმ" "ლივერპულთან" წაგების შემდეგ ზედიზედ მეხუთედ მოიგო. ამ ხუთ თამაშში "არისტოკრატებმა" 14-ჯერ გაიტანეს და არცერთხელ არ გაუშვიათ. უკვე მერამდენე კვირაა, ლიდერებს შორის ექვსქულიანი სხვაობა არ იცვლება. ლონდონელები "იუნაიტედთან" საშინაო მატჩს (აპრილში) ელიან, მატჩს, რომელმაც ჩემპიონის ვინაობა უნდა განსაზღვროს. იქამდე კი **დიდიე დროგბამ** "მიდლსბროს" დუბლი უძღვნა (25 გოლი მიმდინარე სეზონში), ხოლო რივერსაიდელებმა 2007 წელს პირველად წააგეს.

ლონდონელებს ანგარიშის გახსნა მეექვსე წუთზე შეეძლოთ, როცა **ფრენკ ლემპარდმა** დროგბა ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. მე-12 წუთზე **სტიუარტ დაუნინგის** პასს **მარკ ვიდუკა** გამოეხმაურა. ავსტრალიელის თავური კარს ოდნავ ასცდა. "ჩელსი" თანდათან დაეუფლა უპირატესობას. მასპინძლების ყველა იერიშს ლემპარდი უძღვებოდა. 31-ე წუთზე დროგბამ იერიშში ჩართო **სალომონ კალუ**. მან საჯარიმოს ხაზიდან შორ მაღალ კუთხეში დასცხო, მაგრამ ააცილა.

34-ე წუთზე მეოთხე მსაჯი **ჟოზე მოურინიოსა** და **გარეთ საუთგეიტს** შორის ჩადგა. დაპირისპირება ერთ სათამაშო ეპიზოდს მოჰყვა. მიდლსბროელმა **ემანუელ პოგატეცმა** იუხეშა. არბიტრმა **კრის ფოიმ** ის დაუყოვნებლივ დააჯარიმა. საუთგეიტმა არბიტრის გადაწყვეტილება გააპროტესტა. მოურინიომ კი თითი ტუჩებთან მიიტანა და კოლეგას გაჩუმება ურჩია. გარეთმა ეს ჟესტი, რა თქმა უნდა, შეურაცხყოფად მიიღო. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და მოურინიომ საუთგეიტს სკამისკენ მიუთითა - სტუმართა თავკაცი მინდვრის კიდეზე იდგა და ყოზეს თამაშის ცქერაში უშლიდა ხელს.

ანგარიში ტაიმის ბოლო წუთზე გაიხსნა. "მიდლსბროს" მცველები საჯარიმოს ხაზთან დაჯარიმდნენ. **მარკ შვარცერმა** კედელი აღმართა. ბურთთან ლემპარდი და დროგბა მივიდნენ. საჯარიმოს შესრულება დროგბამ ითავა. მან იმ კუთხეს დაუმიზნა, რომელსაც შვარცერი იცავდა. საშუალო ძალით დარტყმული ბურთი კედელში გაძვრა და კარში შეგორდა.

მეორე ტაიმი "არისტოკრატების" იერიშებით დაიწყო. 48-ე წუთზე ლემპარდის კუთხურს **ანდრეი შევჩენკო** გამოეხმაურა. შევამ თავით მაღალ კუთხეში დასცხო. **ხულიო არკამ** ბურთი ხაზიდან გამოიტანა. სამ წუთში ენდრიუ ტეილორმა "ჩელსის" ხარიხა შეაზანზარა. 65-ე წუთზე მოურინიომ **არიენ რობენი** გამოიყვანა. ჰოლანდიელი ბურთს ოთხჯერ შეეხო და შავიერს საკუთარ კარში გაატანინა. 82-ე წუთზე დროგბამ თამაშს წერტილი დაუსვა. საჯარიმო დარტყმისას ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და შორ კუთხეში ჩაეშვა...

"ლივერპული" "ნიუკასლთან" ვერაფერს გახდა. მერსისაიდელები მეექვსე წუთზე დაწინაურდნენ. **კრეიგ ბელამიმ** (ის ჯორდების ყოფილი თავდამსხმელია) მეკარე **სტივ ჰარპერის** შეცდომით ისარგებლა. 26-ე წუთზე **პეპე რეინაც** შეცდა და **ობა მარტინსმა** სეზონის მე-12 გოლი შეაგდო. შეხვედრას ვეტერანმა პერუელმა **ნოლბერტო სოლანომ** დაუსვა წერტილი.

თამაშის გამართვა საეჭვო იყო. კოკისპირულმა წვიმამ "სენტ ჯეიმსის" მინდორი დატბორა. არბიტრმა **მარკ ჰელსიმ** მოედანი საგულდაგულოდ შეამოწმა და მატჩის დაწყების ნიშანი მისცა. უამინდობის მიუხედავად ტრიბუნებზე 52 305 ადამიანი იყო შეკრებილი (სეზონის ყველაზე დიდი დასწრება).

ფანები ბელამის სტვენით შეხვდნენ, მან კი უმალ ანგარიში გახსნა. ჰარპერის მიერ მოგერიებული ბურთი **ჯერმეინ პენანტს** მიუვიდა. პენანტმა **სელესტინ ბაბაიარო** ჩამოიტოვა და საჯარიმოში ჩააწოდა. ბელამიმ ბურთს ფეხი დაუხვედრა და ცარიელ კარში შეაგორა. შვიდ წუთში "ლივერპულს" მეორეც უნდა გაეტანა. ნიუკასლელმა მცველებმა ისევ მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს. **სტივ ტეილორმა** ბურთი ჰარპერს დაუბრუნა, მაგრამ პასი **ბოლო ზენდენმა** ჩაჭრა და კარისკენ დაიძრა. ჰოლანდიელმა მასპინძელთა მეკარის მოტყუება ვერ შეძლო. ამასობაში, 26-ე წუთიც დადგა. **კირონ დაიერმა** მარტინსს **დანიელ აგერის** ზურგს უკან გაუკეთა პასი. რეინამ ნიგერიელის დარტყმა მოიგერია, მაგრამ ბურთი წინ დაიგდო. მარტინსმა დაამატა და ცარიელ კარში შეაგდო.

ბელამის პირველ ტაიმში კიდევ ორი გოლი უნდა გაეტანა. ერთ ეპიზოდში მან ჰარპერიც მოატყუა, მაგრამ **ტიტუს ბრემბლმა** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. მეორე კი მეკარე აკრობატულ ნახტომში შეხვდა მის დარტყმულს და სანამ ბურთი კუთხურზე გადავიდოდა, ხარიხას დაეძგერა. "ნიუკასლის" განაპირა მცველმა **ოგუჩი ონიევუმ**, რომელიც "სენტ ჯეიმსზე" სადებიუტო მატჩს მართავდა, ბელამისთან უკლებლივ ყველა დუელი პირწმინდად წააგო. შესვენებამ მასპინძლებს სულზე მოუსწრო.

მეორე ნახევარი იდენტური სცენარით წარიმართა, მაგრამ 69-ე წუთზე **ჯონ არნე რიისემ** ტეილორი საჯარიმოში მოცელა, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. სოლანომ "ნიუკასლი" დააწინაურა. **რაფა ბენიტესმა** ზენდენისა და პენანტის ნაცვლად **დენი გუტრი** და ახალწვეული **ალვარო არბელოა** გამოიყვანა, მაგრამ ცვლილებებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია...

"რედინგმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო. პრემიერლიგის დებიუტანტებმა ექვსეულში პოზიციები გაიმყარეს. **სტივ კოპელის** გუნდს 2007 წელს წაგება არ აქვს. "ასტონ ვილის" თავკაცი მარტინ ონილი ახალი გუნდის მშენებლობის პროცესშია. ამიტომ მაქსიმუმი, რასაც ამ სეზონში შეიძლება მიაღწიოს, ცხრილის შუაგულში დამკვიდრება იქნება. "პორტსმუთმა" ბოლო შვიდ შეხვედრაში პირველად გაიმარჯვა. პედრო მენდესმა გოლიც შეაგდო და მძიმე ტრავმაც მიიღო. მანჩესტერელმა **ჯოი ბარტონმა** მას მუხლზე დააბიჯა, რის გამოც მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს. "ევერტონმა" "ბლექბერნს" **ენდრიუ ჯონსონის** გოლით (მისი მე-10 გოლი ამ სეზონში) მოუგო. "შეფილდმა" კი "ტოტენჰემი" დაამარცხა და გასავარდნ ზონას მთელი 10 ქულით დაშორდა.

"ვესტ ჰემის" უმწვავეს კრიზისს კი დასასრული არ უჩანს. ფანების მოთმინების ფიალა მაჩანჩალა "უოტფორდთან" წაგებამ აავსო. "უოტფორდმა" "ვესტ ჰემს" "აპტონ პარკზე" ერთი თვის წინაც მოუგო და ასოციაციის თასიდან მიაბრძანა. ქომაგებმა თავიანთი გუნდი გამაყრუებელი სტვენით გააცილეს მინდვრიდან.

"არსენალმა" ქომაგები გვარიანად ანერვიულა. 81-ე წუთამდე "ემირიტს სთედიუმზე" აუტსაიდერი "ვიგანი" იმარჯვებდა. **არსენ ვენგერის** შეგირდთა საშინაო დაუმარცხებელ სერიას საფრთხე დაემუქრა, მაგრამ "არსენალი" ხომ ბოლო წუთების გუნდია. ეს წუხანდელ შეხვედრაში კიდევ ერთხელ დადასტურდა. "ვიგანმა" მეტოქეს გაუთავებელ იერიშებს ველარ გაუძლო და ოთხ წუთში ორი ბურთი გაუშვა.

მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. მეათე წუთისთვის **იენს ლემანმა დენი ლანდზაატის** ძლიერი დარტყმა მოიგერია. ჰოლანდიელი ნახევარმცველი მიზანს ისწორებდა, რათა მოგვიანებით მასპინძლებისთვის შესანიშნავი გოლი ეძღვნა. გოლზე მოგვიანებით. იქამდე კი "არსენალს" რამდენიმე მომენტი ჰქონდა. მე-15 წუთზე **ჟულიო ბაპტიშტამ თეო უოლკოტს** მარჯვენა ფლანგზე გაუგორა ბურთი. თეოს ჩაწოდებულმა ფაბრეგასს თავზე გადაუფრინა, მაგრამ შორ ძელთან **ტიერი ანრის** დააჯდა ფეხზე. კარამდე ათი იარდი იყო. ფრანგმა უხეიროდ დასცხო და ბურთი ტრიბუნაზე გაგზავნა.

ამასობაში, 35-ე წუთი დადგა და მატჩმა ალოგიკური შინაარსი შეიძინა. მარჯვენა ფლანგზე **ჯულიუს აგაჰოვამ** იაქტიურა და ბურთი ცენტრისაკენ, ლანდზაატს გაუგორა. ამ უკანასკნელმა ის ერთი შეხებით გაისწორა და 25 იარდიდან ყუმბარასავით დასცხო. ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა და ლემანისგან მარჯვენა ცხრიანში შეფრინდა. ტაიმის მიწურულს **ემილ ჰესკის** მეორე გოლის გატანა შეეძლო. ლემანი მის თავურს გაჭირვებით შესწვდა. შემდეგ კი ბურთი ძელს მოხვდა.

მეორე ნახევარი "არსენალისთვის" უიღბლოდ დაიწყო. **იოჰან ჯურუ** ჰესკის შეეჯახა და ცხვირი გაიტეხა. მან თამაშის გაგრძელება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. 51-ე წუთზე მის ნაცვლად თავდამსხმელი **ემანუელ ადებაიორი** გამოვიდა. ჟილბერტომ დაცვის ცენტრში დაიხია. "არსენალმა" ტემპს მოუმატა. "ვიგანის" კართან ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე კუთხური დაინიშნა. თამაშის დასრულებამდე 24 წუთით ადრე ვენგერმა ორმაგი ცვლილება გააკეთა: **ჯასტინ ჰოიტისა** და უოლკოტის ნაცვლად **მატიო ფლამინი** და **ჟერემი ალიადიერი** შემოვიდნენ. ადებაიორმა გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს. "ვიგანი" გულხელდაკრეფილი არ მჯდარა. ჰესკი ფლამინის გაექცა და მეტოქის საჯარიმოში წაიქცა, მაგრამ არბიტრმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა.

81-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. ფლამინიმ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა. იქ კი ყველას **ფრიც ჰოლმა** დაასწრო და ავტოგოლი გაიფორმა. ოთხ წუთში "არსენალმა" უსწრაფესი კომბინაცია გაითამაშა, ბაპტიშტამ პირით ხაზთან მისული ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. იქ კი როსიცკიმ ივაჟკაცა და თავით გამარჯვების გოლი შეაგდო...

"ბოლტონმა" "ფულჰემს" მოუგო და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. 24 წლის კაპიტანმა **კევინ ნოლანმა** კი ბოლო ხუთ დღეში მესამე გოლი შეაგდო. **სემ ელერდაისი** ამბობს, რომ მისი შეგირდი ინგლისის ნაკრებში გამოძახებას იმსახურებს. ამ აზრს მიმომხილველებიც ეთანხმებიან. ბოლტონელებმა ადვილად მოიპოვეს ორბურთიანი უპირატესობა, რის შემდეგაც პასიურნი გახდნენ და კინაღამ დაისაჯნენ. თამაშის მიწურულს "ფულჰემმა" შტურმი მოაწყო, მაგრამ გამაყაიმებელი გოლი ვერ გაიტანა. "ბოლტონის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა სომხური წარმომავლობის ირანელ ნახევარმცველს, **ანდრანიკ თეიმურიანს**, რომელმაც ახალწვეულის კვალობაზე საკმაოდ კარგად ითამაშა.

### გადმოტანილი მატჩები

21 თებერვალი. უოტფორდი-ვიგანი, ევერტონი-ტოტენჰემი.

### მომდევნო ტური

24 თებერვალი. **ფულჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი, ჩარლტონი-ვესტ ჰემი, ლივერპული-შეფილდი, მიდლსბრო-რიდინგი, უოტფორდი-ევერტონი.** 25 თებერვალი. **ვიგანი-ნიუკასლი, ბლექბერნი-პორტსმუთი, ტოტენჰემი-ბოლტონი.**

### მანჩესტერ იუნ-ჩარლტონი 2:0

**იუნაიტედი**: კუშჩაკი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ფლეტჩერი, სქოულზი, გიგზი (63. ლარსონი), პარკი, რუნი, საა (81. რიჩარდსონი).

**ჩარლტონი**: კარსონი, სანკოფა, ბუგერა, დიავარა, ტეტჩერი, რომედალი, სონგი, ჰოლანდი (73. ჰიუზი), ფაიე (40. ჟენგი), ემბროუზი (73. ლისბი), მარკუს ბენტი.

**გოლები**: 1:0 პარკი (24), 2:0 ფლეტჩერი (82)

**გაფრთხილება**: 0-1; **დარტყმა**: 18(11)-8(2); **ჯარიმა**: 11-8; **კუთხური**: 5-3.

**მაყურებელი**: 75 883

### ჩელსი-მიდლსბრო 3:0

**ჩელსი**: ჩეხი, დიარა (65. რობენი), ფერეირა, ტერი, ბრიჯი, ესიენი, მაკელელე, ლემპარდი, კალუ (85. რაიტ-ფილიპსი), დროგბა, შევჩენკო (88. ჯერემი).

**მიდლსბრო**: შვარცერი, დევისი, აბელ შავიერი, პოგატეცი, ტეილორი, მორისონი (73. იუელი), ბოატენგი, არკა (84. როშემბაკი), დაუნინგი, ვიდუკა (84. კრისტი), იაკუბუ.

**გოლები**: 1:0 დროგბა (45), 2:0 აბელ შავიერი (66-საკ. კარში), 3:0 დროგბა (83)

**გაფრთხილება**: 0-1; **დარტყმა**: 15(5)-3(0); **ჯარიმა**: 6-11; **კუთხური**: 5-1.

**მაყურებელი**: 41 699

### ნიუკასლი-ლივერპული 2:1

**ნიუკასლი**: ჰარპერი, ტეილორი, ონიევუ, ბრემბლი, ბაბაიარო, სოლანო (86. დაფი), პარკერი, ბატი, მილნერი, დაიერი (81. სიბირსკი), მარტინსი.

**ლივერპული**: რეინა, ფინენი (84. კრაუჩი), კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი (76. არბელოა), სისოკო, ჯერარდი, ზენდენი (75. გუტრი), ბელამი, კუიტი.

**გოლები**: 0:1 ბელამი (6), 1:1 მარტინსი (26), 2:1 სოლანო (70-პენ)

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 7(3)-13(9); **ჯარიმა**: 9-14; **კუთხური**: 3-4.

**მაყურებელი**: 52 305

### რედინგი-ასტონ ვილა 2:0

**რედინგი**: ჰანემანი, მერტი, ბიკი, ინგიმარსონი, შორი, ლიტლი (77. ოსტერი), ჰარპერი, სიდველი, ჰანტი, ლიტა, ლონგი (62. კიტსონი).

**ვილა**: სორენსენი, ბერდსლი, მელბერგი, კაჰილი, ბერი, აგბონლაორი (75. ბერგერი), მაკენი, პეტროვი, მელონი, კარუ, იანგი (88. დევისი).

**გოლები**: 1:0 სიდველი (16), 2:0 სიდველი (90)

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 16(3)-21(10); **ჯარიმა**: 13-11; **კუთხური**: 12-8.

**მაყურებელი**: 24 122

### პორტსმუთი-მანჩ. სიტი 2:1

**პორტსმუთი**: ჯეიმსი, ჯონსონი, პამარო, კემპბელი, ტრაორე (71. კრანჩარი), ონილი, დევისი, პედრო მენდესი (44. ლორენი), ტეილორი, კოული (71. კანუ), ლუალუა.

**სიტი**: ისაკსონი, რიჩარდსი, დანი, დესტენი, სუნი (87. სამარასი), ბარტონი, ირლანდი (61. ბისლი), დაბო, ბოლი, კორადი, ვასელი (79. მილერი).

**გოლები**: 1:0 პედრო მენდესი (5), 1:1 კორადი (62), 2:1 კანუ (81)

**გაფრთხილება**: 3-3; **დარტყმა**: 17(10)-6(3); **ჯარიმა**: 12-12; **კუთხური**: 13-8.

**მაყურებელი**: 19 344

### ევერტონი-ბლექბერნი 1:0

**ევერტონი**: ჰოვარდი, ნევილი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ვან დერ მეიდე (55. ბიტი), კარსლი, ფერნანდესი, არტეტა, კაჰილი, ჯონსონი.

**ბლექბერნი**: ფრიდელი, **ხიზანიშვილი** (83. ტოდი), სამბა, ნელსენი, ბერნერი, ემერტონი, დანი (15. რობერტსი), ქერიმოღლუ, ბენტლი, გალაგერი (66. ჯეფერსი), მაკარტი.

**გოლი**: 1:0 ჯონსონი (10)

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 15(8)-8(4); **ჯარიმა**: 15-13; **კუთხური**: 3-10.

**მაყურებელი**: 35 593

### შეფილდ იუნ.-ტოტენჰემი 2:1

**შეფილდი**: კენი, გირი, ჟაგიელკა, ლუკეტი, არმსტრონგი, კაზიმ რიჩარდსი (72. ფათი), ტონგე, მონტგომერი, სტივ ქუინი, ჰალსი (90. ბრომბი), სტიდი.

**ტოტენჰემი**: რობინსონი, შიმბონდა, დოსონი, როჩა, ასუ ეკოტო, ჯენასი, ზოკორა, ტაინიო (63. დეფო), მალბრანკი (73. მიდო), კინი, ბერბატოვი.

**გოლები**: 0:1 ჯენასი (2), 1:1 ჰალსი (27), 2:1 ჟაგიელკა (62-პენ)

**გაფრთხილება**: 3-5; **დარტყმა**: 16(5)-6(1); **ჯარიმა**: 14-11; **კუთხური**: 13-3.

**მაყურებელი**: 32 144

### ვესტ ჰემი-უოტფორდი 0:1

**ვესტ ჰემი**: გრინი, ნილი (32. სპექტორი), ფერდინანდი, დევენპორტი, მაკარტნი, ბენაიუნი, რეოკოკერი, კვოში (80. ბოა მორტე), ეთერინგტონი, ჰერვუდი, ზამორა (46. ტევესი).

**უოტფორდი**: ფოსტერი, მარიაპა, დემერიტი, მაკეი, სტიუარტი, სმიტი, მაჰონი, ფრენსისი, კავალი (75. ბანგურა), ჰენდერსონი (90. შიტუ), კაბა (79. აშიკოდი).

**გოლი**: 0:1 ჰენდერსონი (12-პენ)

**გაფრთხილება**: 4-2; **დარტყმა**: 23(10)-8(5); **ჯარიმა**: 17-23; **კუთხური**: 10-4.

**მაყურებელი**: 34 625

### ბოლტონი-ფულჰემი 2:1

**ბოლტონი**: იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ბენ ჰაიმი, გარდნერი, ნოლანი, სპიდი (68. ტომპსონი), თეიმურიანი (81. ტალი), იანაკოპულოსი, ანელკა, დიუფი (86. პედერსენი).

**ფულჰემი**: ლაშტუვკა, ვოლცი (63. რაძინსკი), კუოდრო, ნაიტი, კრისტანველი, როსენორი, ბრაუნი (62. სმერტინი), დიოპი, დევისი, მაკბრაიდი, ჰელგუსონი (67. მონტელა).

**გოლები**: 1:0 სპიდი (23-პენ), 2:0 ნოლანი (51), 2:1 ნაიტი (66)

**გაფრთხილება**: 1-4; **დარტყმა**: 7(4)-7(6); **ჯარიმა**: 14-11; **კუთხური**: 9-8.

**მაყურებელი**: 34 500

### არსენალი-ვიგანი 2:1

**არსენალი**: ლემანი, ჰოიტი (67. ალიადიერი), ტურე, ჯურუ (51. ადებაიორი), კლიში, უოლკოტი (67. ფლამინი), ფაბრეგასი, ჟილბერტო, როსიცკი, ბაპტიშტა, ანრი.

**ვიგანი**: კერკლანდი, ჰოლი (90. ჰესტადი), ბოისი, ჯექსონი, ბაინესი, ტეილორი (87. ვალენსია), ლანდზაატი, სკოკო, მაკალოხი, ჰესკი, აგაჰოვა (87. კილბეინი).

**გოლები**: 0:1 ლანდზაატი (35), 1:1 ჰოლი (81-საკ.კარში), 2:1 როსიცკი (85)

**გაფრთხილება**: 6-3; **დარტყმა**: 10(3)-8(2); **ჯარიმა**: 9-15; **კუთხური**: 10-1.

**მაყურებელი**: 60 049

### თ მ ფ წ ბ ქ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 27 | 21 | 3 | 3 | 63-18 | 66 |
| 2. ჩელსი | 27 | 18 | 6 | 3 | 48-19 | 60 |
| 3. ლივერპული | 27 | 15 | 5 | 7 | 40-19 | 50 |
| 4. არსენალი | 26 | 14 | 7 | 5 | 48-22 | 49 |
| 5. ბოლტონი | 27 | 14 | 5 | 8 | 32-21 | 47 |
| 6. რედინგი | 27 | 13 | 4 | 10 | 41-34 | 43 |
| 7. პორტსმუთი | 27 | 11 | 8 | 8 | 36-26 | 41 |
| 8. ევერტონი | 26 | 10 | 9 | 7 | 32-23 | 39 |
| 9. ნიუკასლი | 27 | 10 | 6 | 11 | 34-36 | 36 |
| 10. ბლექბერნი | 27 | 10 | 4 | 13 | 30-38 | 34 |
| 11. ტოტენჰემი | 26 | 9 | 6 | 11 | 30-38 | 33 |
| 12. მიდლსბრო | 27 | 8 | 8 | 11 | 30-33 | 32 |
| 13. ასტონ ვილა | 27 | 7 | 11 | 9 | 28-33 | 32 |
| 14. ფულჰემი | 27 | 7 | 11 | 9 | 29-41 | 32 |
| 15. მანჩ. სიტი | 26 | 8 | 6 | 12 | 20-32 | 30 |
| 16. შეფილდი | 27 | 8 | 6 | 13 | 24-36 | 30 |
| 17. ვიგანი | 26 | 7 | 4 | 15 | 27-43 | 25 |
| 18. ვესტ ჰემი | 27 | 5 | 5 | 17 | 18-42 | 20 |
| 19. ჩარლტონი | 27 | 5 | 5 | 17 | 20-47 | 20 |
| 20. უოტფორდი | 26 | 3 | 9 | 14 | 15-37 | 18 |

**ბომბარდირები**: 17 - დროგბა (ჩელსი); 15 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 11 - აიეგბენი (მიდლსბრო), ვან პერსი (არსენალი); 10 - ლემპარდი (ჩელსი), დოილი (რიდინგი), მაკარტი (ბლექბერნი), რუნი (მანჩესტერ იუნ), ანრი (არსენალი), კანუ (პორტსმუტი), მარტინსი (ნიუკასლი).

### ჩემპიონატი

XXXII ტური

**საუთენდი-ქუინზ პარკი 5:0**

გოლები: 1:0 ბრედბერი (9), 2:0 გოუერი (70), 3:0 სოჯე (79), 4:0 მაჰერი (90), 5:0 მაჰერი (90)

**ბარნსლი-კოლჩესტერი 0:3**

გოლები: 0:1 დუგიდი (3), 0:2 კარეტონი (10), 0:3 ეფრაიმი (83)

**ბარნლი-უენსდი 1:1**

გოლები: 1:0 ელიოტი (55), 1:1 ბარტონი (58)

**ქოვენთრი-კარდიფი 2:2**

გოლები: 1:0 მაკენზი (8), 1:1 ჩოპრა (45-პენ), 1:2 უიტინგემი (58), 2:2 ადებოლა (71)

**დერბი-ჰალი 2:2**

გოლები: 1:0 ტილი (29), 1:1 დოუსონი (33), 2:1 მური (45), 2:2 ლაივმორი (88)

**იფსვიჩი-ლესტერი 0:2**

გოლები: 0:1 მაკოლეი (28), 0:2 მაკოლეი (56)

**ლიდსი-კრ.პალასი 2:1**

გოლები: 1:0 ჰიტი (27), 2:0 ბლეიკი (72), 2:1 კორტი (83)

**პლიმუტი-სანდერლენდი 0:2**

გოლები: 0:1 სტოუკსი (69), 0:2 ქონოლი (71)

**პრესტონი-ვულვზი 0:1**

გოლი: 0:1 ოლოფინიანა (8)

**ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი 1:1**

გოლები: 0:1 ჯონსი (18), 1:1 ფილიპსი (45)

**ბირმინგემი-სტოკი 1:0**

გოლი: 1:0 მაკშიფრი (71)

**ლუტონი-ნორვიჩი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დერბი | 32 | 19 | 6 | 7 | 42-30 | 63 |
| 2. ბირმინგემი | 30 | 17 | 6 | 7 | 49-30 | 57 |
| 3. ვესტ ბრომვიჩი | 32 | 16 | 8 | 8 | 58-37 | 56 |
| 4. პრესტონი | 32 | 16 | 8 | 8 | 47-33 | 56 |
| 5. სანდერლენდი | 32 | 16 | 5 | 11 | 45-34 | 53 |
| 6. საუთჰემპტონი | 32 | 14 | 11 | 7 | 49-35 | 53 |
| 7. კარდიფი | 32 | 14 | 11 | 7 | 45-34 | 53 |
| 8. კოლჩესტერი | 32 | 15 | 6 | 11 | 53-35 | 51 |
| 9. ვულვზი | 32 | 14 | 8 | 10 | 34-34 | 50 |
| 10. სტოკი | 32 | 13 | 10 | 9 | 40-27 | 49 |
| 11. პლიმუტი | 32 | 10 | 13 | 9 | 42-43 | 43 |
| 12. კრ. პალასი | 32 | 11 | 9 | 12 | 39-37 | 42 |
| 13. უენსდი | 32 | 11 | 8 | 13 | 44-48 | 41 |
| 14. იფსვიჩი | 32 | 11 | 6 | 15 | 40-44 | 39 |
| 15. ბარნლი | 31 | 10 | 9 | 12 | 34-34 | 39 |
| 16. ქოვენთრი | 32 | 11 | 5 | 16 | 32-42 | 38 |
| 17. ნორვიჩი | 30 | 10 | 7 | 13 | 37-47 | 37 |
| 18. ლესტერი | 31 | 9 | 10 | 12 | 32-39 | 37 |
| 19. ქუინზ პარკი | 32 | 9 | 6 | 17 | 38-53 | 33 |
| 20. ბარნსლი | 32 | 9 | 5 | 18 | 33-53 | 32 |
| 21. ჰალი | 32 | 8 | 8 | 16 | 33-45 | 32 |
| 22. ლუტონი | 31 | 8 | 8 | 15 | 38-52 | 32 |
| 23. საუთენდი | 32 | 7 | 10 | 15 | 32-48 | 31 |
| 24. ლიდსი | 31 | 9 | 3 | 19 | 34-56 | 30 |

**ბომბარდირები**: 17 - რასიაკი (საუთჰემპტონი), ირნშოუ (ნორვიჩი); 15 - იველუმო (კოლჩესტერი); 14 - კამარა (ვესტ ბრომვიჩი); 13 - კარეტონი (კოლჩესტერი), ჩოპრა (კარდიფი), მაკშიფრი (ბირმინგემი); 12 - ვაინი (ლუტონი); 10 - ჰოვარდი (დერბი), ლი (იფსვიჩი).

### I ლიგა

XXXII ტური

**ბორნმუთი-ლეიტონი 5:0; ბრენტფორდი-ბრაიტონი 1:0; ბრისტოლი-ჰადერსფილდი 1:1; კარლაილი-იეოვილი 1:4; ქრიუ-სკანთორფი გადაიდო; ჯილინგემი-ბრედფორდი 1:0; მილუოლი-ჩესტერფილდი 2:1; ნოტინგემი-ნორთჰემპტონი 1:0; პორტ ვეილი-ჩელტენემი გადაიდო; როტერჰემი-ბლეკპული გადაიდო; სუონსი-ოლდჰემი 0:1; ტრანმერი-დონკასტერი 1:0.**

### II ლიგა

XXXII ტური

**ჩესტერი-ჰერეფორდი გადაიდო; ბარნეტი-აკრინგტონი 1:2; დარლინგტონი-ბოსტონი 2:0; გრიმსბი-როვერსი 4:3; ჰარტლპული-უოლსოლი 3:1; ლინკოლნი-ტორკი 1:0; მილტონი-მაკლსფილდი გადაიდო; პიტერბრო-რექსჰემი 3:0; როჩდეილი-სუინდონი გადაიდო; შრიუსბერი-ბერი გადაიდო; სტოკპორტი-მენსფილდი 1:0; უიკომბი-ნოტსი 0:0.**

### კონფერენსი

XXVIII ტური

**ალდერშოტი-ოქსფორდი 1:1; ალტრინჩემი-იორკი 0:4; კემბრიჯი-გრეისი 2:0; დაგენჰემი-რაშდენი 1:2; ექსეტერი-უოკინგი 1:0; ფორესტ გრინი-კიდერმინსტერი 2:1; გრავესენდი-მორეკამბი 2:1; ჰალიფაქსი-ნორთვიჩი გადაიდო; სტ. ალბანსი-ქროული 2:2; სტევენეიჯი-ბარტონი 2:1; ტამუორტი-საუთპორტი 1:1; უეიმაუთი-სტეფორდი 1:2.**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXII ტური

# კაპელომ ძველი გვარდია აღადგინა

## ბექჰემმა გუნდში დაბრუნება გოლით აღნიშნა. მთავარი მწვრთნელი მას წარსულის დავიწყებას სთხოვს




ბექჰემის ამ საჯარიმო დარტყმას გოლი მოჰყვა

ესპანეთის ჩემპიონატის წინა ტურში, “ლევანტესთან” განცდილი მარცხის შემდეგ **ფაბიო კაპელომ** განაცხადა, ფიასკოს მიუხედავად, ალებულ გეზს არავითარ შემთხვევაში არ გადავუხვევთ და აქცენტს მომავალშიც ახალგაზრდებზე გავაკეთებთო. იტალიელმა სპეციალისტმა ეს ყოველივე იმდენად სერიოზულად თქვა, რომ შეუძლებელი იყო, ვინმეს ეჭვი შეპარვოდა...

მაგრამ რეალობა განსხვავებული გამოდგა. კაპელომ **რობინიო, იგუაინი, დიარა** და **რეიესი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ძირითადში კი დევიდ ბექჰემი დააბრუნა. მოგეხსენებათ, აპენინელ სპეციალისტს ინგლისელი ვარსკვლავი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ძირითადი გუნდიდან მოკვეთილი ჰყავდა. ბექსის გამოჩენა უდიდესი სიურპრიზი გახლდათ. მთლიანობაში ბატონმა ფაბიომ 30 წელს გადაცილებული ექვსი ფეხბურთელი ათამაშა. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ გუნდის საშუალო ასაკი 24 წელს არ აღემატებოდა, შაბათს ამ მაჩვენებელმა 27 წელს მიაღწია. ესპანელი მიმომხილველები ამ ტრანსფორმაციით გაოცებულები დარჩნენ. “დიარიო ასმა” ისიც კი თქვა, კაპელო სიტყვის კაცი არ არისო. მათ იტალიელი სპეციალისტის სწორედ ის სიტყვები გაიხსენეს, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით.

მაშ ასე, დევიდ ბექჰემის დაბრუნება ყველაზე დიდი მოულოდნელობა გახლდათ. დაბრუნებაც ასეთი უნდა. ინგლისელმა საფირმო საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა და ამით გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამეფო კლუბმა კარის ჩარჩოში მთელი თამაშის განმავლობაში სულ ორჯერ დაარტყა და ორივე იერიში გოლით დაასრულა.

ყველაფერი კი **არანბურუს** მიერ შეგდებული ბურთით დაიწყო. მე-7 წუთზე ბასკთა ფორვარდმა **იკერ კასილიასის** მიუტევებელი შეცდომით ისარგებლა. ამის შემდეგ მადრიდელებმა შეტევა გააძლიერეს, თუმცა მათ იერიშებს სიმწვავე აკლდა. პირველი ზუსტი დარტმა ბექჰემმა შეასრულა. 36-ე წუთზე მის ეფექტურ საჯარიმოს “სოსიედადის” მეკარემ ვერაფერი მოუხერხა.

შესვენების შემდეგ სიტუაცია ფაქტობრივად, უცვლელი დარჩა. სანსებასტიანელები უხეიროდ ირჯებოდნენ. თავის მხრივ, “რეალიც” არაფრით გამოირჩეოდა. რომ არა, მეორე ტაიმის დებიუტში გატანილი გოლი, გულშემატკივრები ღირებულს ვერაფერს ნახავდნენ. ამ შეხვედრაში ყველაზე სამართლიანი შედეგი ფრე იქნებოდა, მაგრამ **რუუდ ვან ნისტელროიმ** სამეფო კლუბს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე გამარჯვება მოუტანა. 47-ე წუთზე ჰოლანდიელმა ფორვარდმა **ტორესის** კარგი გადაცემა მიიღო და **ბრავოს** შანსი არ დაუტოვა. ამრიგად, დედაქალაქურმა გრანდმა ზედიზედ განცდილი ორი მარცხის შემდეგ პირველად მოიგო და საჩემპიონო მარათონში გამარჯვების შანსი შეინარჩუნა.

კაპელომ ბექჰემი კომპლიმენტებით აავსო: *“მისი გოლი უმნიშვნელოვანესი იყო. ინგლისელი გუნდთან ჩინებულადაა ინტეგრირებული. მართალია, თვეზე მეტი დროის განმავლობაში არ უთამაშია, მაგრამ მინიმალური პრობლამაც არ შექმნია. გასულ დღეებში ორჯერ ვისაუბრეთ, ამ საუბრის შინაარსი მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით. დღეს დევიდმა საუცხოო მართჩი ჩაატარა. მინდა ვისურვო, რომ წარსულს დაივიწყებს და მხოლოდ აწმყოსა და მომავალზე იფიქრებს. უშუალოდ თამაშს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ჩვენ კარგი სამუშაო შევასრულეთ და აქტივს სამი ქულა შევმატეთ. წინა წარუმატებლობების შემდეგ გუნდში ბევრი რამ მოხდა. იმედია, მომავალში უფრო წარმატებულები ვიქნებით.”*

“ბეტისისა” და “სევილიის” გზები ამ მცირე მონაკვეთში მეორედ გადაიკვეთა. ანდალუსიური კოლექტივები რამდენიმე დღის წინ “სანჩეს პისხუანზე” ესპანეთის სამეფო თასის შეხვედრაშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გუშინდელის მსგავსად, ის შეხვედრაც ნულოვანი ფრით დასრულდა. ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ფეხბურთში უგოლო თამაშები უმეტეს შემთხვევაში ძალიან მოსაწყენი და ცუდი საყურებელია. უნდა ითქვას, რომ საკვირაო სევილიური დერბი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. მასპინძლები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ და გამარჯვების შესანიშნავი შანსიც ჰქონდათ, თუმცა **რობერტმა** პენალტივერ გაიტანა. **სობისს** კი გოლი არ ჩაუთვალეს.

დაკარგული ორი ქულის მიუხედავად, **ლუის ფერნანდესი** უკმაყოფილო არ დარჩენილა. აი, რა განაცხადა “ბეტისის” ფრანგმა დამრიგებელმა: *“ჩემმა ბიჭებმა ჩინებულად ითამაშეს. მე მათით უზომოდ კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, გული მწყდება, რომ პენალტი ვერ გავიტანეთ, საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ არ მავიწყდება, რომ დღეს მსოფლიოში საუკეთესო რეიტინგის მქონე გუნდს დავუპირისპირდით. ფაქტია, რომ პლანეტის საუკეთესო კლუბმა ვერც დღეს და ვერც თასზე ვერ მოგვიგო. ვფიქრობ, ეს ძალიან სასიხარულო ამბავია. სწორ გზას ვადგავართ. ამას გულშემატკივრები, ხელმძღვანელები და ჟურნალისტები კარგად ხედავენ. მჯერა, სეზონს ღირსეულად დავასრულებთ.”*

**ხუანდე რამოსმა** “სევილიაში” მომრავლებულ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება: *“აშკარაა, რომ გუნდი გადაიღალა. ფეხბურთელების არასახარბიელო ფიზიკური მდგომარეობა შედეგებზე პირდაპირ აისახება. ბოლო ტურებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა დავკარგეთ. მიუხედავად ყველაფრისა, უფლება არ გვაქვს, ყურები ჩამოვყაროთ და მომავალში უპასუხისმგებლოდ ვითამაშოთ. ბიჭებს ამოსუნთქვა სჭირდებათ. სამწუხაროდ, გადატვირთული კალენდარი დასვენების საშუალებას არ გვაძლევს. ასე რომ, რეალობას უნდა შევეგუოთ და ჩემპიონობისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ.”*

“მალიორკამ” სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. “სარაგოსა” შიგადაშიგ უმწვავეს კონტრშეტევებს აწყობდა, მაგრამ ბალეარელები მთლიანობაში აშკარა უპირატესობას ფლობდნენ და სამ ქულასაც იმახურებდნენ. უგოლო და შედარებით უსახური პირველი ნახევრის შემდეგ გულშემატკივრებმა საკმაოდ დაძაბული მეორე ტაიმი იხილეს. შესვენების შემდეგ არაგონელებმა ზედიზედ რამდენიმე სახიფათო კონტრიეიში შემოგვთავაზეს. ერთ-ერთი მათგანი **დიეგო მილიტოს** გოლით დასრულდა. არგენტინელმა ფორვარდმა 54-ე წუთზე თანამემამულე **ანდრეს დალესანდროს** დახმარებით შეაგდო. სტუმართა სიხარული დიდ ხანს არ გაგრძელებულა. სულ რაღაც ოთხ წუთში **ნუნიესმა იბაგასასა** და **მაქსის** მიერ წამოწყებული შეტევა დააგვირგვინა. კუნძულელებს მალე მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ არ გაუმართლათ. თითქოს საქმე ყაიმისკენ მიდიოდა. **გრეგორიო მანსანოს** შეგირდები სახიფათო მომენტებს ერთმანეთის მიყოლებით აფუჭებდნენ. გულშემატკივრები ის ის იყო ორი ქულის დაკარგვას შეეგუენ, რომ **იანკოვიჩმა** იბაგასას გადაცემა მიიღო და ზუსტად დაარტყა. **სესარმა** ვერაფერი გააწყო.

“ხეტაფესა” და “ვალენსიის” დაპირისპირებას **ლუის არაგონესი** დაესწრო. მისი სტუმრობა სულაც არ იყო გასაკვირი. ორივე გუნდის შემადგენლობაში ესპანეთის ნაკრების 18-მა ფეხბურთელმა იასპარეზა. “ხეტაფე” შინ ყოველთვის ძალიან ძლიერად თამაშობს, თუმცა მადრიდელთა ამდენად შთამბეჭდავი გამარჯვება ყველასთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. მათ შორის, სენიორ არაგონესისთვისაც. “სელექსიონის” დამრიგებელმა აღიარა, რომ ფრეს ელოდა.

**ბერნდ შუსტერის** შეგირდებმა მართლაც საუცხოოდ იასპარეზეს. “ხეტაფემ” “ვალენსიას” თუნდაც ერთი ქულის მოპოვების მინიმალური შანსიც არ დაუტოვა. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქელებმა “ღამურებს” ესპანეთის სამეფო თასზეც აჯობეს და ისინი გათამაშებას გამოთიშეს. ამის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **კიკე სანჩეს ფლორესისთვის** ბერნდ შუსტერი ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მოწინაალმდეგედ ჩამოყალიბდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ვალენსიელებმა პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთში სამი 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი შექმნეს. **სილვამ, ხოაკინმა** და **ანგულომ** გენიალური მომენტები ვერ გამოიყენეს. ამით გახარებულმა მასპინძლებმა შესვენების შემდეგ რიტმი გაზარდეს და ფანტასტიკურ შედეგსაც მიაღწიეს. თამაში რამდენიმე წამის განახლებული იყო, როცა საჯარიმო მოედანში შეჭრილმა **კოტელომ** აუღებელი დაარტყა. დაახლოებით 12 წუთში **გუისამ** მეკარესთან პირისპირ გასვლით ისარგებლა. ბოლოს კი **ნაჩომ** სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობა კარგად გამოიყენა და მატჩს წერტილი დაუსვა.

“ვილიარეალი” **ხუან რომან რიკელმეს** ოფიციალურად დაემშვიდობა. არგენტინელი ნახევარმცველი მშობლიურ “ბოკა ხუნიორსში” დაბრუნდა. **მანუელ პელეგრინიმ** პირობა დადო, რომის არყოფნა გუნდს არაფერში დაეტყობაო. ჩილელ სპეციალისტს მიცემული სიტყვის შესრულება ძალიან გაუჭირდება. რიკელმე მანამდეც დიდ ხანს არ თამაშობდა, გუნდი კი ძალიან არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. ინჩასები მას შემდეგ, რაც “ყვითლებმა” “ელ მადრიგალზე” “რეალს” ძლიეს ოდნავ დაშოშმინდნენ, თუმცა სავარაუდოა, რომ “დეპორტივოსთან” განცდილი მარცხი პროტესტის ახალ ტალღას ააგორებს. გალისიელებმა მიმდინარე სეზონში პირველი საგარეო გამარჯვება იზეიმეს. ამ საქმეში მათ **მარკოს სენას** ავტოგოლმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. დაბნეულმა “ვილიარეალმა” შეცდომებს უმატა და ბოლოს **ვერდუსაც** გაატანინა.

“ბარსელონა” ჩვეულ სახეს იბრუნებს. ყოველ შემთხვევაში, “რასინგთან” მატჩში კატალონიურმა გრანდმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. **ფრანკ რიიკაარდის** ბიჭები **ვიქტორ ვალდესის** მიერ პენალტის მოგერიების შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდნენ. რამდენიმე წუთში კი უპირატესობას სრულად დაეუფლნენ. პირველ ტაიმში “ბარსას” სამი კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მთავარი მოვლენები მეორე ნახევარში გველოდა. **რონალდინიომ** აიწყვიტა. დიახ, აიწყვიტა. სხვა სიტყვას უბრალოდ ვერ მოვნახავთ. გენიალურმა ბრაზილიელმა ჯერ ულამაზესი საჯარიმო შეაგდო, შემდეგ კი თავური დარტყმითაც გაიტანა. გარდა ამისა, გაუჩომ ეფექტური დრიბლინგებითა და ფანტასტიკური პასებით დაგვამახსოვრა თავი. რიიკაარდმა ტრავმამოშუშებულ **ლიონელ მესის** 25 წუთი მისცა იმისთვის, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ “კამპ ნოუზე” ბურთი გაეგორებინა. არგენტინელი საყვარელ საქმეს ოთხთვიანი იძულებითი შვებულების შემდეგ დაუბრუნდა. ლეოსა და რონალდინიოს ტანდემის შემხედვარე ადამიანს შარშანდელი გენიალური “ბარსა” გაახსენდებოდა...

### მომდევნო ტური

17 თებერვალი. რეალი-ბეტისი, სარაგოსა-ვილიარეალი. 18 თებერვალი. **ბილბაო-ხეტაფე, დეპორტივო-ლევანტე, ესპანიოლი-მალიორკა, რასინგი-ხიმნასტიკი, ოსასუნა-სელტა, რეკრეატივო-სოსიედადი, ვალენსია-ბარსელონა, სევილია-ატლეტიკო.**

### სოსიედადი-რეალი 1:2

**სოსიედადი:** ბრავო, ხერარდო, ხუანიტო, მიკელ გონსალესი, გარიდო, რივასი, ელუსტონდო (85. ესტრადა), არანბურუ (60. ერერა), ჩაბი პრიეტო, სავიო, კოვაჩევიჩი (60. სკოუბო).

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ივან ელგერა, ფერნანდო ტორესი, გაგო, ემერსონი (65. დიარა), გუტი (80. რეიესი), ბექჰემი, რაული (75. იგუაინი), ვან ნისტელროი.

**გოლები:** 1:0 არანბურუ (7), 1:1 ბექჰემი (36), 1:2 ვან ნისტელროი (47)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 13(4)-7(3); **კუთხური:** 7-2; **თამაშგარე:** 0-6; **ჯარიმა:** 16-30; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 23 408

### ბეტისი-სევილია 0:0

**ბეტისი:** დობლასი, ილიჩი, მელი, რივასი, ფერნანდო ვეგა, არსუ (35. რივერა), ასუნსაო, ფოგელი (75. კაფა), სობისი (68. პანკრატი), ფერნანდო, რობერტი.

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვესი, ხავი ნავარო, დრაგუტინოვიჩი, დავიდი, ხესუს ნავასი, პოულსენი, მარესკა (65. მარტი), ადრიანო (79. პუერტა), კანუტე, ლუის ფაბიანო (58. ალფარო).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14(8)-18(4); **კუთხური:** 3-5; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 22-9; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 45 000

### სელტა-ესპანიოლი 0:2

**სელტა:** პინტო, კონტრერასი, არეიასი, ტამაში, ანხელი, უბინია, კანობიო, ბამოგო, ირინეი (63. ჯონათანი), გაირე (46. გუსტავო ლოპესი), ხორხე (55. ნენე).

**ესპანიოლი:** კამენი, ჩიკა, ლაკრუსი, ტორეხონი, დავიდ გარსია (73. იტო), დე ლა პენია, რუფეტე, მოა, მოისესი (73. ველასკო), პანდიანი, ლუის გარსია (83. რიერა).

**გოლები:** 0:1 ლუის გარსია (22), 0:2 პანდიანი (56)

**გაძევება:** ტამაში (72. სელტა)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 25(9)-11(5); **კუთხური:** 10-5; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 11-17; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 21 000

### ხეტაფე-ვალენსია 3:0

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კორტესი, ტენა, ბელენგერი, პარედესი, სელესტინი, მარიო კოტელო, კასკერო, ნაჩო (88. ლიხტი), მანუ დელ მორალი (76. ალბერტო), გუისა (83. პაჩონი).

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ნავარო, მორეტი, მარჩენა, ალბიოლი, ხოაკინი, ალბელდა (64. უგო ვიანა), სილვა (81. ხორხე ლოპესი), ანგულო (84. ხავი გერა), მორიენტესი.

**გოლები:** 1:0 მარიო კოტელო (45), 2:0 გუისა (57), 3:0 ნაჩო (78)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 17(5)-13(4); **კუთხური:** 8-6; **თამაშგარე:** 6-1; **ჯარიმა:** 9-14; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 18 000

### ლევანტე-რეკრეატივო 2:1

**ლევანტე:** მოლინა, მანოლო, ალექსისი, რუბიალესი, კამაჩო, ბერსონი, ეტიენი (74. რეჯი), დეუ, რიგა, რობერი (67. კურტუა), სალვა (57. ხოსე სერანო).

**რეკრეატივო:** ლოპეს ვალიეხო, ედუ მოია, პაბლო ამო, ბეტო, პოლი, კასორლა, ბარბერი, ხესუს ვასკესი (46. ვიკეირა), აიტორი (58. როსუ), სინამა პონგოლე (73. ჩელი).

**გოლები:** 1:0 სალვა (16), 2:0 სალვა (41), 2:1 სინამა პონგოლე (54-პენ)

**გაძევება:** დეუ (51. ლევანტე)

**გაფრთხილება:** 5-0; **დარტყმა:** 6(3)-12(2); **კუთხური:** 2-5; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 24-9; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 13 000

### მალიორკა-სარაგოსა 2:1

**მალიორკა:** ტონი პრატსი, ექტორი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, იონასი, ბასინასი (46. იანკოვიჩი), ხორდი ლოპესი, არანგო (76. ვიქტორი), იბაგასა, მაქსი ლოპესი (87. პერეირა).

**სარაგოსა:** სესარ სანჩესი, დიოგო, სერხიო ფერნანდესი, გაბრიელ მილიტო, ჩუს ერერო (89. ლაფიტა), დ'ალესანდრო, მოვილია, საპატერი, ოსკარი (80. ნერი), დიეგო მილიტო, სერხიო გარსია (80. ესერტონი).

**გოლები:** 0:1 დიეგო მილიტო (54), 1:1 ნუნიესი (58), 2:1 იანკოვიჩი (82)

**გაფრთხილება:** 5-5; **დარტყმა:** 15(4)-13(4); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 18-19; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 15 000

### ვილიარეალი-დეპორტივო 0:2

**ვილიარეალი:** ბარბოსა, ხოსემი, ფუენტესი, სიგანი, ხოსე ენრიკე, ხოსიკო (46. ტომასონი), მარკოს სენა, კანი, მატიას ფერნანდესი (68. ფრანკო), მარკოსი (75. ხოსე მარი), ფორლანი.

**დეპორტივო:** ავატე, მანუელ პაბლო (84. ბარაგონი), ლოპო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ესტოიანოფი (61. ვერდუ), სერხიო, დე გუსმანი, კრისტიანი, არისმენდი, რიკი (50. ტაბორდა).

**გოლები:** 0:1 სენა (19-საკ. კარში), 0:2 ვერდუ (78)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 19(5)-9(3); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 0-5; **ჯარიმა:** 15-19; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 20 000

### ხიმნასტიკი-ოსასუნა 2:3

**ხიმნასტიკი:** ბისარი, კალვო, ნავასი, მატელიანი, მინგო, კამპანიო, მორალესი, ხენერელო, ხუან დიასი (75. ხილი), მერინო (69. მაკუკულა), პორტილიო.

**ოსასუნა:** რიკარდო, ისკიერდო, კუელარი, მიგელ ფლანიო, კორალესი, ნექუნამი, დავიდ ლოპესი, რაულ გარსია, ექტორ ფონტი (69. მილოშევიჩი), ხუანლუ (62. ხუანფრანი), სოლდადო (80. მუნიოსი).

**გოლები:** 0:1 კუელარი (12), 1:1 პორტილიო (33), 2:1 სესარ ნავასი (58), 2:2 სოლდადო (70), 2:3 სოლდადო (75)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 13(8)-11(4); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 18-18; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 12 000

### ბარსელონა-რასინგი 2:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ედმილსონი, პუიოლი, მარკესი, ბელეტი (87. ოლეგერი), ძამბროტა, ჩავი, დეკუ, ინიესტა (61. ჟიული), რონალდინიო, სავიოლა (68. მესი).

**რასინგი:** კალატაიუდი, პინილიოსი, რუბენი, გარაი, ორიოლი, ბალბოა, ვიტოლო, სკალონი (72. კრისტიან ალვარესი), კოლსა (78. ა. ტომასი), ხუანხო, ოსკარ სერანო (66. მომო).

**გოლები:** 1:0 რონალდინიო (50), 2:0 რონალდინიო (66)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 17(7)-6(2); **კუთხური:** 2-3; **თამაშგარე:** 4-4; **ჯარიმა:** 13-20; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 79 000

### ატლეტიკო-ბილბაო 1:0

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პერეა, პაბლო, პერნია, მანიშე, ლუქსენი (74. კოშტინია), ხურადო (65. გალეტი), მისტა, ფერნანდო ტორესი, აგუერო.

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოზიტო, სარიეგი, კასასი, მურილიო, ხავი გონსალესი (46. ეჩებერია), ირაოლა, ხავი მარტინესი, იესტე, გაბილონდო (58. სუბიაურე), ადურისი (72. ურსაისი).

**გოლი:** 1:0 აგუერო (64)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 17(3)-9(2); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 6-5; **ჯარიმა:** 23-14; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 41 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 22 | 13 | 7 | 2 | 45-18 | 46 |
| 2. სევილია | 22 | 13 | 4 | 5 | 41-21 | 43 |
| 3. რეალი | 22 | 13 | 2 | 7 | 30-19 | 41 |
| 4. ატლეტიკო | 22 | 11 | 6 | 5 | 28-17 | 39 |
| 5. ვალენსია | 22 | 12 | 3 | 7 | 32-21 | 39 |
| 6. სარაგოსა | 22 | 10 | 5 | 7 | 34-24 | 35 |
| 7. ხეტაფე | 22 | 10 | 5 | 7 | 21-14 | 35 |
| 8. რეკრეატივო | 22 | 10 | 3 | 9 | 32-30 | 33 |
| 9. ოსასუნა | 22 | 9 | 3 | 10 | 30-28 | 30 |
| 10. ესპანიოლი | 22 | 7 | 8 | 7 | 21-24 | 29 |
| 11. რასინგი | 22 | 7 | 8 | 7 | 20-26 | 29 |
| 12. დეპორტივო | 22 | 7 | 8 | 7 | 18-25 | 29 |
| 13. ვილიარეალი | 22 | 8 | 5 | 9 | 20-28 | 29 |
| 14. მალიორკა | 22 | 7 | 5 | 10 | 20-30 | 26 |
| 15. ბეტისი | 22 | 6 | 7 | 9 | 23-28 | 25 |
| 16. ლევანტე | 22 | 6 | 7 | 9 | 21-31 | 25 |
| 17. ბილბაო | 22 | 5 | 7 | 10 | 24-31 | 22 |
| 18. სელტა | 22 | 5 | 7 | 10 | 23-32 | 22 |
| 19. სოსიედადი | 22 | 2 | 8 | 12 | 13-29 | 14 |
| 20. ხიმნასტიკი | 22 | 3 | 4 | 15 | 23-43 | 13 |

**ბომბარდირები:** 16 - კანუტე (სევილია); 15 - რონალდინიო (ბარსელონა); 14 - დიეგო მილიტო (სარაგოსა); 11 - ვან ნისტელროი (რეალი); 10 - ვილია (ვალენსია); 9 - მორიენტესი (ვალენსია); 8 - ბაიანო (სელტა), ტამუდო (ესპანიოლი); 7 - ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), ლუიშ ფაბიანო (სევილია).

## II დივიზიონი

XXIV ტური

**რეალი B-ალავესი 1:1**

გოლები: 0:1 დე ლუკასი (24), 1:1 გრანერო (55-პენ)

**პონფერადინა-სპორტინგი 0:3**

გოლები: 0:1 ბარალი (25), 0:2 ომარი (63), 0:3 კასტრო (74)

**მურსია-კადისი 1:0**

გოლი: 1:0 ალონსო (27)

**ალმერია-სალამანკა 3:1**

გოლები: 1:0 ორტისი (45), 2:0 ლარეა (66), 3:0 უჩე (89), 3:1 ბრუნო (90)

**ელჩე-ნუმანსია 1:2**

გოლები: 0:1 პალასიოსი (27), 1:1 პერაგონი (46), 1:2 პინო (50)

**ლორკა-ლას პალმასი 0:1**

გოლი: 0:1 ვიუელა (73)

**მალაგა-ალბასეტე 0:3**

გოლები: 0:1 კარლოსი (11), 0:2 კალე (39), 0:3 კალე (43)

**ხერესი-ეხიდო 2:1**

გოლები: 1:0 კიკო (49-საკ. კარში), 2:0 აგილარი (63), 2:1 ვეგა (74-პენ)

**ვალიადოლიდი-სიუდადი 1:0**

გოლი: 1:0 მანჩევი (30)

**ტენერიფე-კასტელონი 2:0**

გოლები: 1:0 ფრანკოვსკი (10), 2:0 აიოსე (78)

**ვესინდარიო-ერკულესი 1:1**

გოლები: 0:1 ტოტე (73), 1:1 მიროსავლიევიჩი (87-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალიადოლიდი | 24 | 15 | 6 | 3 | 38-17 | 51 |
| 2. მურსია | 24 | 12 | 8 | 4 | 36-26 | 44 |
| 3. ალმერია | 24 | 13 | 4 | 7 | 38-25 | 43 |
| 4. კადისი | 24 | 10 | 8 | 6 | 27-23 | 38 |
| 5. ნუმანსია | 24 | 10 | 7 | 7 | 27-24 | 37 |
| 6. ხერესი | 24 | 10 | 6 | 8 | 29-21 | 36 |
| 7. სიუდადი | 24 | 11 | 3 | 10 | 26-24 | 36 |
| 8. ეხიდო | 24 | 9 | 8 | 7 | 27-23 | 35 |
| 9. სპორტინგი | 24 | 11 | 1 | 12 | 30-26 | 34 |
| 10. სალამანკა | 24 | 9 | 6 | 9 | 32-28 | 33 |
| 11. ერკულესი | 24 | 9 | 6 | 9 | 26-24 | 33 |
| 12. ტენერიფე | 24 | 9 | 5 | 10 | 22-26 | 32 |
| 13. მალაგა | 24 | 8 | 7 | 9 | 26-28 | 31 |
| 14. ალავესი | 24 | 8 | 7 | 9 | 23-29 | 31 |
| 15. ალბასეტე | 24 | 8 | 6 | 10 | 29-32 | 30 |
| 16. რეალი B | 24 | 8 | 6 | 10 | 29-36 | 30 |
| 17. ელჩე | 24 | 7 | 8 | 9 | 26-29 | 29 |
| 18. ლას პალმასი | 24 | 6 | 10 | 8 | 27-30 | 28 |
| 19. კასტელონი | 24 | 7 | 7 | 10 | 21-26 | 28 |
| 20. ლორკა | 24 | 6 | 7 | 11 | 21-30 | 25 |
| 21. პონფერადინა | 24 | 6 | 6 | 12 | 21-32 | 24 |
| 22. ვესინდარიო | 24 | 4 | 4 | 16 | 22-44 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

XXIV ტური

**ოსერი-სტ.ეტიენი 1:1**

**ოსერი:** სორენი, მინო, გრიშტინგი, კაბული, სანია, პედრეტი, ფ. ტომასი, ბე. შეირუ, კალენბერგი (78. ის. ბა), აკალე, იელენი (84. მუ. ნ'დიაიე).

**სტ.ეტიენი:** ჟანო, მ. დაბო, ონონი, ზ. კამარა, დიატა (73. გარენი), საბლე, ლანდრენი, დერნისი, ჰაინცი (57. მუსილუ), პ. ფეინდუნო, გომისი.

**გოლები:** 1:0 აკალე (19), 1:1 მუსილუ (76)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 15 000

**ლე მანი-სედანი 3:2**

**ლე მანი:** ი. პელე, ბასა, ფიშერი (46. სედრანი), იბ. კამარა, კალვე, კუტადორი, რომარიკი, ფანშონი, გრაფიტე, სამასა (76. მაცუი), ბანგურა (79. დე მელო).

**სედანი:** ტრევისანი, დუკურტიუ, სარტრი, ლაშორი, ბადიანი, ამალფიტანო (76. ა. სისე), აბდუ, მარენი (81. უადა), ჟობი, ბუტაბუ, მორის-ბელეი (71. პუჟოლი).

**გოლები:** 1:0 სამასა (13), 1:1 ჟობი (38), 2:1 რომარიკი (66), 3:1 გრაფიტე (72), 3:2 უადა (90+2)

**გაძევება:** ბუტაბუ (61. სედანი)

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 9 143

**ლიონი-ლორიანი 1:0**

**ლიონი:** კუპე, რევეიერი, სკილაჩი, კასაპა, ბერტო (87. აბიდალი), ფაბიო სანტოსი, კალსტრიომი, ჟუნინიო, გოვუ (68. კლერკი), მალუდა, ფრედი.

**ლორიანი:** რიუ, ჟალე, გენტონი, სიანი, მორელი, ევოლო, აბრიელი, მანსური, ლე პენი (65. მარლე), გინიაკი (82. ბურჰანი), საიფი (65. ტაედერი).

**გოლი:** 1:0 ფრედი (8)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 37 976

**ნანტი-ვალანსი 2:5**

**ნანტი:** ბარტეზი, ნორბერი, სეტო, პიერი, სინიორინო (46. გიიონი), დიმიტრიევიჩი, საედუ, ზაირი (78. და როშა), დიალო, პეიე, პიერონი (64. კესერუ).

**ვალანსი:** პენეტო, მატერი (46. მო. ტრაორე), ფლაშე, შელი, რიპერი (68. ბეზაზი), დუმენგი (80. დოსევი), პააუვე, ჟეოვანიო, რუშე, დუფრესნი, სავიდანი.

**გოლები:** 0:1 სავიდანი (18), 0:2 სავიდანი (49), 0:3 სავიდანი (71), 0:4 დუფრესნი (75), 1:4 კესერუ (78), 2:4 გიიონი (86), 2:5 სავიდანი (87)

**გაძევება:** პეიე (62. ნანტი).

**გაფრთხილება:** 1-4

**მაყურებელი:** 25 000

**ნიცა-ტრუა 3:0**

**ნიცა:** ლორისი, აპამი, ფანი, კანტე, ვარო, ბალმონი, დიაკიტე, ეშუაფნი, ედერსონი, ბ. კონე, ლასლანდი.

**ტრუა:** ლე კრომი, ი. ფეიე, ფერეირა, გიიომი, მატუიდი (38. ლაშორი), ამზენი, ბარბოსა, ენზა იამისი, ლაკური (64. ბანგურა), ნივე, გილიოტი (82. გ. ბა).

**გოლები:** 1:0 ლასლანდი (45+3), 2:0 ლასლანდი (57), 3:0 ედერსონი (77)

**გაფრთხილება:** 0-3

**მაყურებელი:** 11 711

**პსჟ-მონაკო 4:2**

**პსჟ:** ლანდრო, ბ. მენდი, როზენალი, არმანი, დრამე, როტენი, ე. სისე, ა. დიანე, გალიარდო (87. შანტემი), ლუინდულა (83. კ. როდრიგესი), პაულეტა (71. სა. ტრაორე).

**მონაკო:** რომა, კუფრე, ჟივე (46. დოს სანტოსი), მონსორო, ბოლივარი, ი. ლეკო, მერიემი, პლაშილი, მენეზი (73. პინო), გაკპე (46. კოლერი), პიკიონი.

**გოლები:** 1:0 ა. დიანე (4), 2:0 რომა (34-საკ. კარში), 2:1 პიკიონი (49), 3:1 გალიარდო (82), 4:1 კ. როდრიგესი (84), 4:2 კოლერი (86)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 34 171

**რენი-ნანსი 1:1**

**რენი:** პუპლენი, მელხიოტი, მენსა (61. დანზე), ბორნი, ედმანი, ე. დიდო, ბრ. შეირუ, სორლენი (58. უტაკა), ტომერი (48. მარვო), ბრიანი, მორეირა.

**ნანსი:** გრეგორინი, შრეტიენი, მაკალუსო, ლეკლუზი, ანდრე ლუის სილვა, ბ. გავანონი, ბიანკალანი, ბერენგერი, სოგე (57. ბრისონი), კიმი (75. კურბელო), ფორტუნე (84. ნ'გემო).

**გოლები:** 0:1 კიმი (55), 1:1 უტაკა (85)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 22 893

**ტულუზა-ლილი 1:0**

**ტულუზა:** დუშე, ებონდო, არიბაჟე, კონგრე, მატიო, დიოზი, ფაბიანიო, პაულო სეზარი, ბატლი (77. ბერგუნუ), მანსარე, ელმანდერი.

**ლილი:** სილვა, ლიხტშტაინერი, პლესტანი, შმიტცი, ტაფორო, კაბეიე, მაკუნი, შალმე (68. ა. კეიტა), ობრანიაკი, ფოვერგი, იულა (58. ოდემვინგი/90+1. მირალა).

**გოლი:** 1:0 ტაფორო (90+2. საკ კარში)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 16 252

**ლანსი-სოშო 3:1**

**ლანსი:** იტანჯე, ად. კულიბალი, ბისევაკი, ტისიე, ჰილტონი, კარიერი (80. ჟემაა), მონტერუბიო, დემონი, სე. კეიტა, კოვაჩევიჩი (80. ბარული), დინდანე (80. კუზენი).

**სოშო:** რიშერი, ბრეშე, პიშო, ნ'დავინ ტოშიჩი, აფოლაბი, ისაბეი (63. დაგანო), ლერუა (63. ზიანი), პიტო, ბირსა, ლე ტალეკი (77. გრაქსი).

**გოლები:** 1:0 ჰილტონი (28), 2:0 სე. კეიტა (30), 3:0 დინდანე (58), 3:1 ტოშიჩი (85)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 31 133

**ბორდო-მარსელი 1:0**

**ბორდო:** რამე, ჟემალი, ფობერი (85. ალონსო), პლანუსი, სიდი, მიკუ, ფერნანდო, მავუბა, ვენდელი, შამახი (78. პერეა), იუსი.

**მარსელი:** კარასო, ბეიე, როდრიგესი, ზუბარი, ტაივო (79. პაჟისი), ნასრი, მ'ბამი, რიბერი, მაულიდა (63. ოლემბე), ჯ. სისე, ნიანგი.

**გოლი:** 1:0 ფობერი (75)

**გაფრთხილება:** 1:3

**მაყურებელი:** 32 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 24 | 17 | 3 | 4 | 42-17 | 54 |
| 2. ლანსი | 24 | 12 | 7 | 5 | 38-27 | 43 |
| 3. ლილი | 24 | 10 | 9 | 5 | 30-21 | 39 |
| 4. მარსელი | 24 | 11 | 4 | 9 | 31-24 | 37 |
| 5. სტ. ეტიენი | 24 | 10 | 6 | 8 | 38-30 | 36 |
| 6. სოშო | 24 | 9 | 9 | 6 | 25-25 | 36 |
| 7. ბორდო | 24 | 11 | 3 | 10 | 26-27 | 36 |
| 8. ტულუზა | 24 | 10 | 5 | 9 | 26-28 | 35 |
| 9. ლორიანი | 24 | 9 | 7 | 8 | 25-25 | 34 |
| 10. ნანსი | 24 | 9 | 7 | 8 | 22-23 | 34 |
| 11. ლე მანი | 24 | 8 | 10 | 6 | 30-27 | 34 |
| 12. რენი | 24 | 8 | 9 | 7 | 20-19 | 33 |
| 13. ოსერი | 24 | 7 | 9 | 8 | 26-30 | 30 |
| 14. მონაკო | 24 | 8 | 5 | 11 | 29-28 | 29 |
| 15. ვალანსი | 24 | 8 | 4 | 12 | 25-36 | 28 |
| 16. პსჟ | 24 | 5 | 10 | 9 | 24-30 | 25 |
| 17. ტრუა | 24 | 5 | 9 | 10 | 23-34 | 24 |
| 18. ნიცა | 24 | 5 | 8 | 11 | 21-25 | 23 |
| 19. ნანტი | 24 | 4 | 9 | 11 | 19-31 | 21 |
| 20. სედანი | 24 | 3 | 9 | 12 | 29-42 | 18 |

**ბომბარდირები:** 9 - სავიდანი (ვალანსი); 8 - ის.ბანგურა (ლე მანი), დინდანე (ლანსი), პაულეტა (პსჟ), პაჟისი (მარსელი), ბოდმერი (ლილი), ილანი (სტ. ეტიენი); 7 - ჟუნინიო (ლიონი), მალუდა (ლიონი), ზიანი (სოშო), გინიაკი (ლორიანი), ფეინდუნო (სტ. ეტიენი), პიკიონი (სტ. ეტიენი), აკალე (ოსერი).

II დივიზიონი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| აიაჩო-კრეტეი | 5:0 |
| ბრესტი-დიჟონი | 0:0 |
| კაენი-ჰავრი | 1:1 |
| გრენობლი-ამიენი | 0:1 |
| გენიონი-გინგამი | 2:0 |
| ისტრი-შატორუ | 3:1 |
| ლიბურნი-მონპელიე | 2:2 |
| რეიმსი-ნიორი | 2:3 |
| სტრასბური-ტური | 2:1 |
| ბასტია-მეცი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეცი | 22 | 14 | 7 | 1 | 32-11 | 49 |
| 2. კაენი | 24 | 13 | 9 | 2 | 42-22 | 48 |
| 3. სტრასბური | 24 | 12 | 9 | 3 | 30-19 | 45 |
| 4. ჰავრი | 24 | 11 | 10 | 3 | 35-18 | 43 |
| 5. შატორუ | 24 | 11 | 5 | 8 | 29-27 | 38 |
| 6. ამიენი | 24 | 11 | 4 | 9 | 30-29 | 37 |
| 7. დიჟონი | 24 | 10 | 7 | 7 | 26-25 | 37 |
| 8. გრენობლი | 24 | 8 | 10 | 6 | 34-27 | 34 |
| 9. რეიმსი | 24 | 9 | 7 | 8 | 29-27 | 34 |
| 10. გენიონი | 24 | 9 | 5 | 10 | 27-32 | 32 |
| 11. ბასტია | 23 | 8 | 7 | 8 | 31-29 | 31 |
| 12. აიაჩო | 24 | 8 | 7 | 9 | 27-25 | 31 |
| 13. ლიბურნი | 23 | 7 | 6 | 10 | 30-33 | 27 |
| 14. მონპელიე | 24 | 7 | 6 | 11 | 27-31 | 27 |
| 15. ბრესტი | 24 | 4 | 12 | 8 | 25-29 | 24 |
| 16. კრეტეი | 24 | 5 | 8 | 11 | 18-33 | 23 |
| 17. ისტრი | 24 | 5 | 7 | 12 | 19-35 | 22 |
| 18. ნიორი | 24 | 4 | 9 | 11 | 21-33 | 21 |
| 19. გინგამი | 24 | 3 | 10 | 11 | 21-30 | 19 |
| 20. ტური | 24 | 4 | 5 | 15 | 19-37 | 17 |

## ჰოლანდია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ექსელსიორი-გრონინგენი | 0:2 |
| ჰერენვენი-ვიტესი | 0:0 |
| როდა-ნიიმეგენი | 1:0 |
| ალკმაარი-ვილემი | 2:0 |
| ვაალვიკი-ჰერაკლესი | 2:0 |
| დენ ჰააგი-აიაქსი | 1:2 |
| ტვენტე-ფეიენოორდი | 3:0 |
| სპარტა-ეინდჰოვენი | 1:1 |
| უტრეხტი-ბრედა | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 24 | 18 | 3 | 3 | 59-15 | 57 |
| 2. აიაქსი | 24 | 17 | 3 | 4 | 58-25 | 54 |
| 3. ალკმაარი | 24 | 16 | 5 | 3 | 65-24 | 53 |
| 4. ტვენტე | 24 | 15 | 5 | 4 | 53-26 | 50 |
| 5. ფეიენოორდი | 24 | 13 | 3 | 8 | 46-48 | 42 |
| 6. ჰერენვენი | 24 | 11 | 5 | 8 | 41-30 | 38 |
| 7. როდა | 24 | 10 | 6 | 8 | 30-31 | 36 |
| 8. ბრედა | 24 | 10 | 5 | 9 | 31-34 | 35 |
| 9. გრონინგენი | 24 | 10 | 4 | 10 | 37-43 | 34 |
| 10. უტრეხტი | 24 | 9 | 6 | 9 | 29-33 | 33 |
| 11. ნიიმეგენი | 24 | 8 | 7 | 9 | 24-28 | 31 |
| 12. ვიტესი | 23 | 8 | 5 | 10 | 37-37 | 29 |
| 13. სპარტა | 24 | 8 | 3 | 13 | 29-46 | 27 |
| 14. ჰერაკლესი | 24 | 4 | 7 | 13 | 20-46 | 19 |
| 15. ვილემი | 24 | 5 | 3 | 16 | 23-54 | 18 |
| 16. ექსელსიორ | 24 | 4 | 4 | 16 | 29-48 | 16 |
| 17. ვაალვიკი | 24 | 3 | 7 | 14 | 21-47 | 16 |
| 18. დენ ჰააგი | 23 | 3 | 5 | 15 | 26-43 | 14 |

## პორტუგალიის თასი

1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-აკადემიკა | 0:1 |
| ოლივეირაში-ბელენენსეში | 0:1 |
| პინალნოვენსე-სპორტინგი | 0:6 |
| მაია-ბეირა მარი | 0:2 |
| ბოავიშტა-ნასიონალი | 2:0 |
| ნავალი-ბრაგანსა | 0:1 |
| ვარზიმი-ბენფიკა | 2:1 |

## ბელგია

XXI ტური

| | |
|---|---|
| ვარეგემი-სტანდარდი | 3:1 |
| ბრიუსელი-ლიერსი | 2:1 |
| გენკი-სერკლი | 3:0 |
| ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი | 3:2 |
| ლოკერენი-რუზელარე | 1:1 |
| მუსკრონი-ბევერენი | 4:2 |
| ვესტერლო-მონსი | 2:1 |
| ბრიუგე-ანდერლეხტი | 2:2 |
| შარლერუა-გენტი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 21 | 14 | 5 | 2 | 47-20 | 47 |
| 2. ანდერლეხტი | 21 | 14 | 5 | 2 | 41-20 | 47 |
| 3. სტანდარდი | 21 | 12 | 4 | 5 | 43-27 | 40 |
| 4. გენტი | 21 | 12 | 4 | 5 | 35-24 | 40 |
| 5. ბრიუგე | 21 | 10 | 6 | 5 | 39-22 | 36 |
| 6. შარლერუა | 21 | 9 | 6 | 6 | 27-24 | 33 |
| 7. ვესტერლო | 21 | 9 | 4 | 8 | 26-26 | 31 |
| 8. რუზელარე | 21 | 8 | 7 | 6 | 33-31 | 31 |
| 9. ბეერსხოტი | 21 | 7 | 6 | 8 | 26-32 | 27 |
| 10. ვარეგემი | 21 | 6 | 7 | 8 | 25-29 | 25 |
| 11. სტ. ტრუიდენი | 21 | 7 | 3 | 11 | 28-33 | 24 |
| 12. ბრიუსელი | 21 | 5 | 9 | 7 | 23-26 | 24 |
| 13. სერკლი | 21 | 6 | 4 | 11 | 16-24 | 22 |
| 14. მუსკრონი | 21 | 5 | 7 | 9 | 29-38 | 22 |
| 15. მონსი | 21 | 5 | 5 | 11 | 18-29 | 20 |
| 16. ლოკერენი | 21 | 4 | 8 | 9 | 17-27 | 20 |
| 17. ბევერენი | 21 | 4 | 5 | 12 | 18-34 | 17 |
| 18. ლიერსი | 21 | 3 | 3 | 15 | 14-39 | 12 |

II დივიზიონი

XXI ტური

დესელი-ტინენი 1:2; დაინცე-ვირტონი 3:0; ეუპენი-ოსტენდე 1:1; ვაასლანდი-კორტრიიკი 1:3; ტუბეკე-ანტვერპენი 1:0; დენდერი-მეხელენი 1:2; ჰევერლე-ლომელი 3:1; სტ.ჟილი-რონსე 2:1; ჰამე-რასინგი 0:0.

## როიალლიგა

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჰამარბიუ-კოპენჰაგენი | 0:1 |

## შოტლანდია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ჰარტსი-ინვერნესი | 1:0 |
| სტ.მირენი-დანდი იუნ | 0:1 |
| აბერდინი-დანფერმლაინი | 3:0 |
| სელტიკი-ჰიბერნიანი | 1:0 |
| ფალკირკი-მოზერველი | 1:2 |
| კილმარნოკი-რეინჯერსი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 27 | 21 | 5 | 1 | 53-20 | 68 |
| 2. რეინჯერსი | 27 | 14 | 7 | 6 | 44-23 | 49 |
| 3. აბერდინი | 26 | 13 | 6 | 7 | 36-22 | 45 |
| 4. ჰარტსი | 27 | 12 | 8 | 7 | 35-24 | 44 |
| 5. ჰიბერნიანი | 27 | 11 | 6 | 10 | 46-32 | 39 |
| 6. კილმარნოკი | 27 | 10 | 6 | 11 | 35-43 | 36 |
| 7. ფალკირკი | 27 | 10 | 3 | 14 | 34-35 | 33 |
| 8. დანდი იუნ | 27 | 8 | 7 | 12 | 29-48 | 31 |
| 9. ინვერნესი | 27 | 7 | 10 | 10 | 30-36 | 31 |
| 10. მოზერველი | 25 | 8 | 4 | 13 | 31-42 | 28 |
| 11. სტ. მირენი | 26 | 5 | 8 | 13 | 22-40 | 23 |
| 12. დანფერმლ | 27 | 3 | 6 | 18 | 13-43 | 15 |

I დივიზიონი

XXV ტური

კლაიდი-ლივინგსტონი 0:1; დანდი-სტ.ჯონსტონი 2:1; გრეტნა-ეირდრი 0:0; ჰამილტონი-ქუინი 2:2; პარტიკი-როსი 1:1.

II დივიზიონი

XXV ტური

ალოა-სტრანრარი 1:0; ეირი-რეითი გადაიდო; კოუდენბითი-სტირლინგი გადაიდო; მორტონი-ბრეჩინი 0:2; პიტერჰედი-ფორფარი 2:2.

III დივიზიონი

XXV ტური

ალბიონი-სტენჰაუზმური გადაიდო; არბროა-ელჯინი გადაიდო; ბირუიკი-მონროუზი 1:0; ისტ ფაიფი-დამბარტონი გადაიდო; ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი 0:2.

## შვეიცარია

XIX ტური

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-ციურიხი | 0:0 |
| სტ. გალენი-არაუ | 1:0 |
| შაფჰაუზენი-ტუნი | 1:2 |
| იანგ ბოიზი-ბაზელი | 0:3 |
| ლუცერნი-სიონი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 19 | 13 | 2 | 4 | 38-17 | 41 |
| 2. სტ. გალენი | 19 | 11 | 2 | 6 | 30-24 | 35 |
| 3. ბაზელი | 19 | 10 | 3 | 6 | 42-31 | 33 |
| 4. გრასჰოპერსი | 19 | 9 | 5 | 5 | 34-19 | 32 |
| 5. სიონი | 19 | 9 | 5 | 5 | 35-28 | 32 |
| 6. იანგ ბოიზი | 19 | 9 | 3 | 7 | 30-26 | 30 |
| 7. ლუცერნი | 19 | 6 | 4 | 9 | 21-26 | 22 |
| 8. ტუნი | 19 | 4 | 5 | 10 | 13-35 | 17 |
| 9. შაფჰაუზენი | 19 | 3 | 6 | 10 | 19-34 | 15 |
| 10. არაუ | 19 | 3 | 1 | 15 | 14-36 | 10 |

## მექსიკა

IV ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-ტეკოსი | 1:1 |
| ატლანტე-მონტერეი | 2:0 |
| კრუს ასული-ჩივასი | 1:2 |
| პაჩუკა-ნეკაქსა | 1:1 |
| ტიგრესი-სან ლუისი | 1:1 |
| ვერაკრუსი-ამერიკა | 2:4 |
| ატლასი-მორელია | 2:0 |
| ტოლუკა-პუმასი | 2:2 |
| ს. ლაგუნა-კერეტარო | გვ. დასრულდა |

## არგენტინა

I ტური

| | |
|---|---|
| ხიმნასია (ლ)-არსენალი | 0:2 |
| ინდეპენდიენტე-კოლონი | 1:3 |
| ველესი-ნიუელსი | 2:0 |
| ბანფილდი-ბოკა | 0:4 |
| ნუევა ჩიკაგო-რასინგი | 1:1 |
| გოდოი-არგ. ხუნიორსი | 2:0 |
| როსარიო-ბელგრანო | 1:0 |
| რივერი-ლანუსი | 1:0 |
| ს. ლორენ-ხიმნასია (ხ) | გვ. დასრულდა |

ინგლისის ნაკრები

# გაიარე, რა!

## მაკლარენს წყალი შეუდგა



სტივ მაკლარენი

**სტივ მაკლარენის** სანაკრებო კარიერას საფრთხე ემუქრება. ამ ინფორმაციას გუშინდელი "სანდი მირორი" ავრცელებს. "მიდლსბროს" ყოფილი ბოსი ეროვნულ გუნდში სულ რაღაც ექვსი თვის წინ დაინიშნა, მაგრამ საფეხბურთო ასოციაციაში უკვე იმედგაცრუებულნი არიან. მწვრთნელის მხარდამჭერთა რიცხვი დღითიდღე მცირდებაო, გვაუწყებს ტაბლოიდი. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ მაკლარენს ნაკრების ფეხბურთელთა ერთი ნაწილიც აღარ ენდობა.

გასულ ოთხშაბათს, ინგლისმა შინ ესპანეთთან წააგო (0:1). ბრიტანელთა მოუგებელი სერია ოთხ მატჩამდე გაიზარდა. ზოგიერთ ექსპერტს უკვე ეჭვი ეპარება, რომ მათი ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გასვლას შეძლებს. ექვს კვირაში მაკლარენსა და კომპანიას ორი პრინციპული საკვალიფიკაციო შეხვედრა ელის - ისრაელსა და ანდორასთან. თუ გუნდი ქულათა მაქსიმუმს ვერ დააგროვებს, მწვრთნელი უმუშევარი დარჩება. მაკლარენის დათხოვნის შემთხვევაში, მისთვის სოლიდური კომპენსაცია იქნება გადასახდელი, და ეს იმ დროს, როცა საფეხბურთო ასოციაციას გასულ ზაფხულს დათხოვნილი **სვენ გორან ერიქსონის** ხელფასიც გასასტუმრებელი აქვს. სწორედ ამიტომ, ასოციაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ამბობს, რომ მწვრთნელს სამსახურიდან მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გაუშვებენ და ეს უკიდურესი შემთხვევა ის იქნება, თუკი ინგლისი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩება.

შეგახსენებთ, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ინგლისელები **ლუიშ ფელიპე სკოლარისთან** აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეული იყო, მაგრამ ბოლო წამს ბრაზილიელმა მწვრთნელმა, რომელმაც ბრიტანელები ორჯერ მუნდიალიდან და ერთხელ ევროპის ჩემპიონატიდან გააგდო, თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. მაკლარენს მხოლოდ ამის შემდეგ შესთავაზეს სამსახური.

როცა ინგლისელთა თავკაცს ეკითხებიან, თუ როგორ წარმოუდგენია საკუთარი მომავალი, ის ერთთავად უკმეხად პასუხობს: "გაიარეთ"! "სანდი მირორი" ვარაუდობს, რომ მას ეს პასუხი ძალიან მალე უკან დაუბრუნდება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მილანი კაკას რეალში ყიდის

## გალიანიმ მადრიდელებს გარიგების პირობები შესთავაზა...

"მილანი" მზადაა, **კაკა** "რეალს" დაუთმოს. **რონალდოს** ტრანსფერისას მადრიდელებმა ამ ფეხბურთელის ამბებიც გამოიკითხეს. "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** ის პირობები წამოაყენა, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფლეიმეიქერს სამეფო კლუბში გაუშვებენ. მილანელები ითხოვენ **მაჰამადუ დიარას**, **რობინიოსა** და **ფაბიო კანავაროს**, პლუს ფულს. თანხის ოდენობა დაზუსტებული არ არის.

ეს ინფორმაცია გუშინდელმა "ასმა" გაავრცელა. გაზეთის მიმომხილველი ვარაუდობს, რომ "მილანი" **რონალდინიოსთვის** ადგილს ათავისუფლებს და კაკა ამიტომაც აღარ სჭირდება. "რეალი" რობინიოსა და კანავაროს გაშვებაზე თანახმაა, მაგრამ დიარა არ ეთმობა. ამ უკანასკნელს **ფაბიო კაპელოსთან** პრობლემები ჰქონდა, მაგრამ უთანხმოება მოგვარდა და ის მადრიდელთა ძირითადის შეუცვლელ ფიგურად იქცა.

იუვენტუსი

# სავიოლა: გაისად იუვეში

"იუვენტუსის" გენერალური მენეჯერი **ალესიო სეკო** ბარსელონაში გაემგზავრა. მან **ხავიერ სავიოლას** აგენტთან გამართა მოლაპარაკებები. არგენტინელ ნახევარმცველს "ბარსელონასთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. 1 იანვრიდან მას აქვს უფლება, ნებისმიერი კლუბის შეთავაზება განიხილოს. შაბათ საღამოს სეკო ფეხბურთელსაც უნდა შეხვედროდა. სავიოლას არა ერთხელ უთქვამს, რომ მისი პრიორიტეტი "კამპ ნოუზე" დარჩენაა, მაგრამ სარაგოსელმა ნახევარმცველმა **ანდრეს დ'ალესანდრომ**, რომელიც ხავიერის უახლოესი მეგობარია, მიმომხილველებს აუწყა, სეზონის დასრულებისთანავე სავიოლა "იუვენტუსს" მიაშურებსო.

სინიორ სეკომ ესპანეთში ყოფნით ისარგებლა და **ფაბიო კანავაროსაც** შეეხმიანა. როგორც წინა ნომერში გაუწყეთ, "ქალბატონმა" მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დაბრუნებაზე დაიწყო ფიქრი. კანავაროს მადრიდული კარიერა უფერულად აეწყო. ის საკუთარი შესაძლებლობების ნახევარსაც კი ვერ ავლენს. მიმომხილველები მის აბარგებას რეალურად მიიჩნევენ. ფაბიო ამბობს, რომ სამომავლო გეგმებს მხოლოდ სეზონის ბოლოს გამოამზეურებს, თუმცა საყურადღებოა მისი ერთი განცხადება: *"ვგრძნობ, რომ ტურინელი ტიფოზების წინაშე ვალში ვარ და ამ ვალის დაბრუნება მმართებს".*

"იუვენტუსის" ხელმძღვანელობას კანავაროსთან დაკავშირებით შორსმიმავალი გეგმები აქვს. როგორც კი ფეხბურთელი კარიერას დაასრულებს, სარეზერვო გუნდის მწვრთნელობას შესთავაზებენ. და კიდევ, "იუვენტუსი" "ვალენსიის" მარჯვენა მცველით, პორტუგალიელი **მიგელითაც** დაინტერესდა. მის აგენტთან მოლაპარაკებებიც სეკოს ჰქონდა დავალებული. უცნობია, შედგა თუ არა საუბარი. არც მიგელის შესაძლო ტრანსფერის სხვა დეტალები გახმაურებულა.

## საბერძნეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ერგოტელისი-აეკ | 0:0 |
| პანიონიოსი-არისი | 0:0 |
| ატრომიტოსი-ეგალეო | 1:1 |
| იონიკოსი-კერკირა | 0:0 |
| აპოლონი-პაოკ | 3:1 |
| ქსანთი-ლარისა | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 2:0 |
| პანათინაიკოსი-ოფი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 21 | 17 | 2 | 2 | 45-14 | 53 |
| 2. აეკ | 20 | 12 | 6 | 2 | 41-15 | 42 |
| 3. პანათინაიკოს | 21 | 13 | 3 | 5 | 34-19 | 42 |
| 4. არისი | 20 | 6 | 11 | 3 | 20-17 | 29 |
| 5. პაოკ | 21 | 8 | 5 | 8 | 22-21 | 29 |
| 6. ატრომიტოს | 21 | 6 | 9 | 6 | 29-31 | 27 |
| 7. ოფი | 21 | 7 | 6 | 8 | 25-29 | 27 |
| 8. ქსანთი | 21 | 6 | 7 | 8 | 13-14 | 25 |
| 9. კერკირა | 21 | 6 | 7 | 8 | 21-23 | 25 |
| 10. აპოლონი | 21 | 6 | 7 | 8 | 18-24 | 25 |
| 11. პანიონიოსი | 20 | 6 | 7 | 7 | 17-23 | 25 |
| 12. ლარისა | 21 | 6 | 7 | 8 | 22-29 | 25 |
| 13. ერგოტელის | 20 | 6 | 5 | 9 | 20-22 | 23 |
| 14. ეგალეო | 21 | 6 | 5 | 10 | 20-28 | 23 |
| 15. ირაკლისი | 21 | 5 | 5 | 11 | 19-29 | 20 |
| 16. იონიკოსი | 21 | 2 | 4 | 15 | 10-38 | 8 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 2 ქულა*

## თურქეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ანკარაგიუჯუ-კაისერი | 0:4 |
| რიზე-ფენერბაჩე | 2:1 |
| ბეშიქთაში-დენიზლი | 2:0 |
| ერჩიესი-ანკარასპორი | 1:0 |
| გენჩლერი-ბურსა | 1:0 |
| ანთალია-კონია | 1:0 |
| საკარია-სივასი | 1:3 |
| ტრაბზონი-გაზიანთეპი | 2:0 |
| გალათასარაი-მანისა | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჩე | 20 | 12 | 5 | 3 | 39-19 | 41 |
| 2. გალათასარაი | 20 | 10 | 7 | 3 | 38-20 | 37 |
| 3. ბეშიქთაში | 20 | 10 | 6 | 4 | 28-17 | 36 |
| 4. სივასი | 20 | 9 | 4 | 7 | 32-23 | 31 |
| 5. კაისერი | 20 | 8 | 7 | 5 | 26-20 | 31 |
| 6. გენჩლერი | 20 | 9 | 3 | 8 | 22-21 | 30 |
| 7. მანისა | 20 | 8 | 5 | 7 | 33-30 | 29 |
| 8. კონია | 20 | 7 | 7 | 6 | 25-23 | 28 |
| 9. ანკარა | 20 | 5 | 11 | 4 | 22-21 | 26 |
| 10. ბურსა | 20 | 7 | 5 | 8 | 22-23 | 26 |
| 11. ტრაბზონი | 20 | 6 | 6 | 8 | 22-21 | 24 |
| 12. რიზე | 20 | 7 | 3 | 10 | 17-22 | 24 |
| 13. გაზიანთეპი | 20 | 6 | 6 | 8 | 20-27 | 24 |
| 14. ანკარაგიუჯ | 20 | 5 | 8 | 7 | 21-22 | 23 |
| 15. ანთალია | 20 | 5 | 8 | 7 | 20-22 | 23 |
| 16. დენიზლი | 20 | 4 | 7 | 9 | 14-24 | 19 |
| 17. საკარია | 20 | 3 | 7 | 10 | 12-26 | 16 |
| 18. ერჩიესი | 20 | 3 | 7 | 10 | 17-39 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. დევისის თასი

# კარგია, რაც კარგად მთავრდება!

*პირველი გვერდიდან*

მაგრამ, პირველივე სეტიდან ბოლომდე გაჩაღდა უკომპრომისო ბრძოლა. საკუთარ მოწოდებას არავინ თმობდა და ასეთი მონაცვლეობით მივიდნენ მონაწილენი პირველი სეტის ტაიბრეიკამდე. აქ კი, ქართველებმა იმარჯვეს 8:6 მოიგეს და 1:0 დაწინაურდნენ.

სურათი არც მეორე სეტში შეცვლილა - კვლავ ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო ბრეიკის მოპოვება და სეტის ბედი ისევ ტაიბრეიკზე გადასაწყვეტი გახდა. ამჯერად სტუმრებმა იმარჯვეს (9:7) იმარჯვეს და ანგარიში 1:1 გახდა.

უკვე ცხადი გახდა, რომ იოლ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდით და კაცმა არ იცის, რომ წყვილთა შეხვედრა რომ წაგვეგო, რა მოხდებოდა კვირას. მესამე სეტში სურათი არ შეცვლილა - მოგებული კვლავ ტაი-ბრეიკზე გადაწყდა და, საბედნიეროდ, ეს ჩვენებმა მოახერხეს - 7:4 და 2:1.

მეოთხე სეტშიც ასე წავიდა საქმე და 5:5-ზე, მეთერთმეტე გეიმში, პორტუგალიელებმა პირველად მოახერხეს ჩვენი მოწოდების მოგება - 6:5. **ლაბაძესა** და **ჩიხლაძეს** სულ ერთი გეიმი ჰქონდათ პარტიის ტაიბრეიკში გადასაყვანად და ახლოსაც იყვნენ მიზანთან - **ელიაშის** მოწოდებაზე ორი ბრეიკ პოინტი მიიღეთ, მაგრამ 40:15-ზე ლაბაძემ ბადესთან ისეთი ბურთი ვერ ჩააგდო, დამწყებს რომ არ ეპატიებოდა. მეორე შანსიც ვერ გამოვიყენეთ და საბოლოოდ **ჟილმა** და ელიაშმა გაათანაბრეს ანგარიში - 7:5 და 2:2.

მეხუთე, უტაიბრეიკო სეტში მეტოქის მოწოდების მოგება აუცილებელი იყო. ლაბაძე და ჩიხლაძე თავიდანვე მთელი ძალების მოკრებით შეუდგნენ თამაშს და შედეგიც უმალ გამოჩნდა - მესამე გეიმში შეასრულეს ბრეიკი, შემდეგ თავისი მიწოდებაც მოაყოლეს 3:1 და მეტოქისთვის შანსი აღარ მიუციათ. მეცხრე გეიმში მატჩს წერტილი ლადო ჩიხლაძის ეისით დაესვა - 6:3, 3:2 და საერთო ანგარიში - 3:0! კვირადღეს გასამართ ორ შეხვედრას აზრი დაეკარგა.

როგორც გითხარით, ამ მოგებით პირველ ლიგაში ადგილი შევინარჩუნეთ, თუმცა, შეგვიძლია მსოფლიო ჯგუფში გადასასვლელ ფლეი ოფში მოსახვედრადაც გავიბრძოლოთ. ამისათვის 6-8 აპრილს სტუმრად სერბეთის ძალიან ძლიერი ნაკრების დამარცხებაა საჭირო. როგორც სპეციალისტები ამბობენ, გამარჯვების შანსი ძალიან ცოტაა, მაგრამ ცდად მაინც ღირს.

ასე ფიქრობს **ირაკლი ლაბაძეც**:

- სერბეთი ძალიან ძლიერი გუნდია. მათ ჰყავთ ნოვაკ ჯოკოვიჩი (მსოფლიოს მე-14 ჩოგანი) და იანკო ტიპსარევიჩი (75). ალბათ შანსი არა გვაქვს, თუმცა წინასწარ დანებებას არ ვაპირებთ.

**- ალბათ, თქვენი ხელის ტრავმა რომ არა, უფრო ოპტიმისტურად იქნებოდით განწყობილი...**

- შესაძლოა, თუმცა თავს ვერ დავდებ.

**- მატჩის შემდეგ ოპერაციის გაკეთებას ფიქრობდით. როდის უნდა მიკითხოთ ქირურგს?**

- ოპერაციას ნამდვილად ვგეგმავდი, მაგრამ კიდევ გამოჩნდა რაღაც ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა ოპერაციას ავცდე - ერთ-ერთ კლინიკაში, საქართველოში, უნდა გავესინჯო და ამის შემდეგ გადავწყვეტ...

**- ოპერაციის გაკეთებას ვენაში აპირებდით...**

- ოპერაციის აუცილებლობის წინაშე თუ დავდექი, აუცილებლად ავსტრიაში გავიკეთებ.

**- თუ ასე მოხდა, სერბეთთან თამაში გამოირიცხება?**

- ალბათ კი - დაახლოებით სამი თვე ხელში ჩოგანს ვერ დავიკავებ.

**- და ბოლოს, დღევანდელ თამაშზე რას იტყვით - კმაყოფილი ხართ თქვენი გარჯით?**

- პორტუგალიელები ნამდვილად არ იყვნენ სუსტები და მათი ჯობნა იოლი არ იყო. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგად ვითამაშეთ, ჩემი გარჯითაც კმაყოფილი ვარ და ჩიხლაძესაც არაფერი დაენუნებოდა - მისი ძლიერი ჩაწოდებები ბევრ პრობლემას უქმნიდა მეტოქეს.



გიორგი ხრიკაძე

შეთანხმების მიხედვით, მესამე სათამაშო დღეს "მოკლე" მატჩები იმართება - ორი სეტის მოგებამდე. ამ დროს კი, როგორც წესი, ნაკრების კაპიტნები შანს სათადარიგოებს აძლევენ. ცხადია, **გელა ელერდაშვილიც** ასე მოიქცა. **გიორგი ჭანტურიასა** და **გიორგი ხრიკაძის** შესაძლებლობების ხილვა ნამდვილად ძალიან გვეწადა და ჩვენზე მეტად, ალბათ, თავადაც სურდათ ძალების მოსინჯვა.

კვირას პირველ კორტზე გიორგი ჭანტურია გავიდა. პორტუგალიელებმა მას **პედრო სოუზა** დაუპირისპირეს. აშკარად ჩანდა, რომ ქართველი ჩოგბურთელი ზედმეტად ნერვიულობდა, ამიტომ დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს და ორ სეტში 2:6, 4:6 დამარცხდა.

ბევრად უფრო საინტერესო გამოდგა გასტაო ელიაშისა და გიორგი ხრიკაძის დაპირისპირება. ელიაშმა წინა დღით ძალიან კარგად ითამაშა და ამის გამო მის გამოკვეთილ უპირატესობას ველოდით, მაგრამ ხრიკაძემ ტოლი თითქმის არაფერში დაუდო. ნერვიულობამ მასაც დაასვა დაღი, პირველი სეტი შედარებით იოლად - 3:6 წააგო, მეორეში კი, ბრწყინვალე სტარტი ჰქონდა - პირველივე მოწოდება მოიგო, შემდეგ მეორეში ბრეიკი გაახერხა, მესამეშიც იმარჯვა და 3:0 დაწინაურდა. ასეთ დროს არ უნდა მოეშვა და ვერც ვიტყვით, რომ გიორგიმ თავი დაიარხეინა - უფრო მეტოქემ უმატა აგრესიას და მეექვსე გეიმიდან ინიციატივა იგდო. ელიაშმა მალე მოწოდება აართვა ქართველს და ანგარიში გაათანაბრა - 4:4. ამის შემდეგ საკუთარი მოწოდება არცერთს დაუკარგავს და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა. აქ კი, სამწუხაროდ, პორტუგალიელმა იმარჯვა - 7:5.

**ლეილა მესხი, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი**

- ჭანტურიაც და ხრიკაძეც ნიჭიერი ჩოგბურთელები არიან. პირველს ზედმეტმა ნერვიულობამ შეუშალა ხელი, ხრიკაძემ კი ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მათი გარჯით კმაყოფილი ვარ და მომავალში შეიძლება მეტადაც ვენდოთ. მთავარია, პირველ ჯგუფში ადგილი შევინარჩუნეთ. შევძლებთ თუ არა უფრო დიდი შედეგის მიღწევას, დრო გვიჩვენებს. აპრილში სერბეთში ვთამაშობთ და თუ ლაბაძე გამოჯანმრთელდა, მჯერა, თავს არ შევირცხვენთ.




## ჩახნაშვილმა ვერ გაალწია

ბელგიურ ანტვერპენში იწყება WTA ტურის მორიგი შეჯიბრება, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარია. საკვალიფიკაციო ტურნირიდან ძირითად ბადეში გაღწევას მსოფლიოს 144-ე ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** შეეცადა. პირველ წრეში ჩახნაშვილი 19 წლის რუს **ეკატერინა ივანოვას (179)** შეხვდა. მაკამ დაძაბულ ბრძოლაში მოიგო - 6:4, 7:6, მაგრამ მეორე წრეში ფრანგ **ვირჟინი რაზანოსთან** (79) დამარცხდა - 6:4, 2:6, 5:7.

ძიუდო. პარიზის სუპერთასი



პარიზში აზერბაიჯანელებმა გვაჯობეს. 60 კილოში გამარჯვებული ნიჯატ შიხალიზადე

# მხოლოდ მეშვიდეები

**წარმოუდგენლად წარუმატებელი გამოდგა ქართველი ძიუდოისტების პირველი საზღვარგარეთული გასვლა. ამ უქმეებზე მათ პარიზში, მსოფლიოს სუპერთასზე იჭიდავეს და ვერცერთ წონაში მეშვიდე ადგილს ვერ გასცდნენ.**

მეშვიდე ადგილი ერთბაშად ოთხმა მოიპოვა - **ნესტორ ხერგიანმა** (60), **მინდია ხომიზურმა** (66), **გიორგი ბაინდურაშვილმა** (81) და **ზვიად ხანჯალიაშვილმა** (მძიმე). კიდევ კარგი, ჯერ სეზონის დასაწყისია და შეცდომების გამოსასწორებლად საკმარისი დროა. ამ ტურნირმა ვერც კონკურენციის საკითხი გადაწყვიტა. არადა, ამ ტურნირის შემდეგ მწვრთნელი ევროპის პირველობაზე წასაყვანი ბირთვის გამოკვეთას იმედოვნებდა.

60 კგ. **ნესტორ ხერგიანს** წილისყრამ უჩვეულოდ გაუღიმა, რადგან ერთბაშად ორი წრე დაასვენა. იგი ბრძოლაში მერვედფინალიდან ჩაება, მაგრამ სომეხ **ჰოვანეს დავთიანთან** ვაზარით წააგო. სანუგეშოში ნესტორმა ჯერ ბერძენ **ალექსანდროს გორტეევს** (სინამდვილეში, **აკაკი ხანიშვილს**) მოუგო წმინდად, მერე ბრაზილიელ **დენილსონ ლოურენსოს** იუკოთი აჯობა, მაგრამ მესამე შეხვედრაში მასპინძელ **დმიტრი დრაგინთან** წმინდად დამარცხდა.

კიდევ უფრო სუსტად იჭიდავა ნაკრებში ხერგიანის მთავარმა კონკურენტმა, საქართველოს ჩემპიონმა **დავით ასუმბანმა**. არადა, თავიდან კარგად დაიწყო - გამოცდილი არგენტინელი **მიგელ ალბარასინი** იპონზე დასცა. სამწუხაროდ, ბერსის საჭიდაო ცენტრში ეს მისი ბოლო წარმატება გამოდგა - მეორე წრეში ასევე წმინდად წააგო მომავალ ჩემპიონთან, აზერბაიჯანელ **ნიჯატ შიხალიზადესთან** და დამამშვიდებელის პირველივე შეხვედრაში დამარცხდა ფრანგ **ჟერემი კადუ-დიუკთან**.

**66 კგ.** ურიგოდ არ უჭიდავია **მინდია ხომიზურს** - მეშვიდეზე გავიდა ანუ მედლამდე ცოტა დააკლდა, მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი კი ჭიდაობის ხარისხი და მეტოქეთა ვინაობაა. მინდია მომავალ ჩემპიონთან, იაპონელ **ჰიროიუკი აკიმოტოსთან** დამარცხდა, დამამშვიდებელში - წონის ერთ-ერთ უძლიერეს ფალავანთან, კუბელ **იორდანის არენსიბიასთან**. მოგებით კი ხომიზურმა უკრაინელი **ვოლოდიმირ როგალსკი** დასცა იპონზე, სომეხ **ჰამბარცუმ ტონოიანსაც** ასე მოექცა, მესამე წრეში მასპინძელთა ფავორიტ **ბენჟამენ დარბელეს** მოუგო და წარმატებული სვლაც დაასრულა - აკიმოტოსთან წმინდად წააგო. ხომიზურმა ორი ვაზარით დამამშვიდებელში რუმინელი **ჯორჯე ფასიე** დაამარცხა, თუმცა მერე არენსიბიასთან წააგო, როგორც შარშან, თბილისში.

**73, 90 კგ**. მოლოდინისამებრ, ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა ზაზა კედელაშვილი** და **ირაკლი ცირეკიძე** არ აჭიდავა. ორივემ თითქმის გაინაღდა ბელგრადში წასვლა და ხაბარელმა ისინი პარიზში უფრო ერთობლივი ვარჯიშებისთვის წაიყვანა.

**81 კგ**. ამ წონაში დიდი კონკურენციაა და თუმცა **გიორგი ბაინდურაშვილმა** ცოტათი აჯობა კონკურენტ **გრიგოლ მამრიკიშვილს**, არა გვგონია, ხაბარელმა ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება იჩქაროს.

ძირითად ბადეში ორივე მერვედფინალიდან გავარდა. პირველ წრეში ორივე ისვენებდა, მეორეში მამრიკიშვილმა გაბერძნებული ქართველი **ვაჟა ზიდირიდისი** დაამარცხა იპონით, ბაინდურაშვილმა - აზერბაიჯანელი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ელხან რაჯაბლი**. ამის შემდეგ ორივე ტიტულოვან მეტოქეს გადაეყარა და წყვილადაც წააგეს - მამრიკიშვილმა ალჟირელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **აბდელრაჰმან ბენადამისთან**, ბაინდურაშვილმა - ბრაზილიელ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ (ქვედა წონაში) **ტიაგო კამილოსთან**. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ორივე იპონით დამარცხდა.

სანუგეშოში მამრიკიშვილი პირველივე წრეში დამარცხდა იაპონელ **შინია იოშინაგასთან**, ბაინდურაშვილმა ჯერ ბელგიელი **ქრისტოფ ვან დიიკი** დააიპონა, მონღოლ **დამდინსურენ ნიამჰუუს** მოუგო ვაზარ-იპონით, მერე კი თვითონაც წმინდად წააგო გერმანელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ოლე ბიშოფთან**.

**100 კგ.** კონკურენცია აქაც შენარჩუნებულია. მართალია, ახალგაზრდა **ლომერ ყორყოლიანმა** მეტოქეზე ერთი წრით მეტი გაიარა, მაგრამ არა გვგონია, ხაბარელმა ამას არსებითი მნიშვნელობა მიანიჭოს. ყორყოლიანმა ჯერ ავსტრიელი **რუპერტ რისი** დააიპონა, მერე - ფრანგი **სირილ მარეტი**, მესამეში მონღოლი **ნაიდან ტოვშინ ბაიარი** კი გააფრთხილებინა და კოკათი დაწინაურდა, მაგრამ საბოლოოდ სუფთად წააგო.

**გიორგი ყიზილაშვილმა** ძირითადში ერთი ბრძოლა მოიგო, მაგრამ საკმაოდ ხმაურიანად - გერმანელ ოლიმპიურ პრიზიორ **მიხაელ იურაკს** ვაზარით სძლია. ამის შემდეგ მომავალ ფინალისტთან, ბელარუს **სიარჰეი კუხარენკასთან** იუკოთი წააგო და სანუგეშოში გადაინაცვლა. იქ პორტუგალიელ **ჟოაო ტავეირას** აჯობა, მასპინძელ **მაქსიმ კლემანს** - ვერა და გავარდა. სანუგეშოში პირველივე შეხვედრა წააგო ყორყოლიანმაც - რუს **დმიტრი ბელინთან**.

**მძიმე**. აქ ადამ ოქრუაშვილისგან განსაკუთრებულ წარმატებას არც ველოდით და პირველივე წრეში იტალიელ **პაოლო ბიანკესისთან** წაგება ტურნირიდან გავარდნად დაუჯდა. სხვა საქმეა ხანჯალიაშვილი. მიგვაჩნია, რომ ქართველ გოლიათს ახალგაზრდა უნგრელის **ბარნა ბორის** დამარცხება მართებდა. ზვიადმა თავიდან ბელარუსი **იაუჰენი კავალეუსკი** იპონზე დასცა, ესპანელ **ანგელ პარას** კი ორი ვაზარი აართვა და სუფთად მოუგო. აი, მერე დაძაბულ ბრძოლაში უნგრელთან იუკოთი წააგო, თუმცა აქ ერთიც უნდა შევნიშნოთ - ბორმა მას კოკაც აართვა ანუ ორი გდება გაუკეთა. სანუგეშოში ხანჯალიაშვილმა ჰოლანდიელ **გრიმ ვუისტერს** აჯობა, მერე სამგზის მსოფლიო ჩემპიონ რუს **ალექსანდრ მიხაილინთან** წააგო.

**ევროპის ჩემპიონატამდე კიდევ ორი ტურნირია - ჰამბურგსა და ვარშავაში. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა, ალბათ, მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდება.**

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს XVI ჩემპიონატი. სუპერლიგა. XII ტური

# შერმადინი მსოფლიო ნაკრებში მიიწვიეს



გიორგი შერმადინი

**9 თებერვალი. რუსთავი**

| აზოტი-დინამო | 81:58 |
|---|---|

22:19, 23:13, 18:10, 19:16

აზოტი: გამყრელიძე (12 ქ. 3 პ. 4 ჩ), ბეჟანიშვილი, ბოისა (2 ქ), მინაშვილი (2 ქ), ცეკვავა (3 ქ), ტულუში (24 ქ. 5 პ. 3 ჩ), მარკოიშვილი (9 ქ), უგრეხელიძე (12 ქ), გოგობერიშვილი (2 ქ), ტუჯანი (8 ქ), ჭოჭუა (6 ქ)

დინამო: გულისაშვილი (9 ქ. 4 პ. 3 ჩ), ნ. ნოზაძე (10 ქ. 5 პ. 3 ჩ), წერეთელი (3 ქ), ბოლქვაძე, მურჯიკნელი (8 ქ), კოლუაშვილი (21 ქ. 8 მ. 3 ჩ), გაბაშვილი, ფაიქრიძე (7 ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

**10 თებერვალი. ვერის პარკი**

| ავიამშენი-მაკაბი | 87:80 |
|---|---|

22:15, 14:19, 29:18, 22:28

ავიამშენი: ბაბიაშვილი (23 ქ. 8 მ. 4 პ), მოსეშვილი (4 ქ. 4 პ), ნიკოლაძე (37 ქ. 8 მ. 6 პ. 3 ჩ), ლოსაბერიძე (2 ქ), კეიდია (10 ქ. 3 პ. 3 ჩ), როდუმტა (3 ჩ. 5 ფ), სუხიშვილი (11 ქ. 9 მ)

მაკაბი: დოლიძე (8 ქ. 9 პ), ნინუა, გ. შერმადინი (42 ქ. 10 მ. 6 პ. 9 შ), ჯგერენაია (9 ქ. 9 მ), კორკოტაძე (7 ქ), ს. შერმადინი (10 ქ), პირველაშვილი (4 ქ. 5 პ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

| თსუ-სტუ | 104:88 |
|---|---|

17:22, 34:21, 25:23, 28:22

თსუ: არნივიძე (6 ქ. 3 ჩ. 5 შ), ბ. ბერიშვილი (7 ქ), ფანჩულიძე (15 ქ. 3 ჩ), ლეჟავა (12 ქ), მარხვაშვილი (5 ქ), ვეფხვაძე (6 ქ. 3 პ), შანიძე (17 ქ. 6 მ. 5 შ. 3 ჩ), მათიაშვილი (13 ქ. 9 მ), ხეცურიანი (14 ქ. 6 პ. 3 ჩ), მ. ბერიშვილი (9 ქ. 3 პ), ტყეშელაშვილი.

სტუ: ბაბუნაშვილი (8 ქ. 3 პ. 3 ჩ), ეძგვერაძე (13 ქ), სეფისკვერაძე (2 ქ), კოხრეიძე (11 ქ. 4 პ. 4 ჩ), ძიძიგური (2 ქ), მაისურაძე (16 ქ. 7 მ. 5 პ. 6 შ), დევიძე, ახალკაცი (10 ქ. 6 მ. 3 პ), გ. ბარბაქაძე (17 ქ. 5 შ), ლ. ნოზაძე (9 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, მ. ანდღულაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 12 | 12 | 0 | 24 |
| 2. ავიამშენი | 12 | 10 | 2 | 22 |
| 3. თსუ | 12 | 7 | 5 | 19 |
| 4. დინამო | 12 | 3 | 9 | 15 |
| 5. სტუ | 12 | 3 | 9 | 15 |
| 6. მაკაბი | 12 | 2 | 10 | 14 |

მომდევნო ტური: 17 თებერვალი, სტუ-ავიამშენი, მაკაბი-აზოტი, დინამო-თსუ

მესამე წლიდან ძველი ტრადიცია აღვადგინეთ და ტურის მოვლენაზე, ფრაზასა და საუკეთესო კალათბურთელზე ვსაუბრობთ. მე-12 ტურში ერთმანეთს ძლიერი და სუსტი გუნდები შეხვდნენ. შესაბამისად, სანახაობრივი მატჩები ნაკლებად იყო და ბევრი ვიფიქრე, რა შეიძლება დასახელებულიყო ტურის მთავარ მოვლენად.

"მაკაბი"-"ავიამშენის" მატჩის შემდეგ მაკაბელთა მწვრთნელი **ჯამლეტ ხუხაშვილი** მომიახლოვდა და მკითხა, ნუთუ არ იცი ერთი ახალი და მნიშვნელოვანი ამბავიო?

სჯობს თავად მწვრთნელს მოვუსმინოთ: *"გიორგი შერმადინი მსოფლიოს ახალგაზრდულ ნაკრებშია მიწვეული. ყოველწლიურად სადრაფტო მზადებაში მყოფი ამერიკელი კალათბურთელები დანარჩენ მსოფლიოს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს მართავს. წელს ამ ღონისძიებაზე სულ ოთხი ევროპელი მიიწვიეს, რომელთა შორისაა გიორგიც. ამ შეხვედრას უმასპინძლებს ამერიკის ქალაქი მემფისი, სადაც 1 აპრილს უნდა ჩავიდეთ. სხვათა შორის, შერმადინი მიწვეულთა შორის ასაკით ყველაზე უმცროსია, თუმცა, ყველაზე მაღალია - 216.5 სმ.*

*ეს მიწვევა ცხადყოფს, რომ თურმე სათანადო ხელშეწყობის პირობებში კალათბურთელის აღზრდა საქართველოშიც შესაძლებელია. ამ სეზონში გიორგიმ მიაღწია იმას, რისი იმედიც მქონდა - 40 წუთს დაუღლელად თამაშობს და მისი შეჩერება გამოცდილ ცენტრებსაც უჭირთ. შერმადინი საქართველოში სეზონის ბოლომდე ითამაშებს."*

სად გააგრძელებს კარიერას, ჯერ უცნობია, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ჯერ NBA-ს „ოლ სტარზე" სპეციალური მიწვევით გაემგზავრება, შემდეგ მსოფლიო ნაკრებში ითამაშებს და ახალგაზრდულ და ეროვნულ გუნდებშიც ცდის ძალებს...

ჯამლეტ ხუხაშვილის სიტყვებში "ავიამშენი"-"მაკაბის" მატჩმაც დაგვარწმუნა - შერმადინის წინააღმდეგ თამაში ყველაზე ძლიერ ტანმაღალ მცველ **პლასიდე როდუმტასაც** გაუჭირდა. მან 15 წუთში 5 პერსონალური შენიშვნა მიიღო. ოთხი და სამი ფოლით დაასრულეს მატჩი შერმადინის ორმა მეურვემ **ლადო სუხიშვილმა** და **ზვიად ბაბიაშვილმა**. თუკი, გიორგის კარგი გარჯის მიუხედავად "მაკაბი" აქამდე "ავიამშენთან" დიდი სხვაობით აგებდა, შაბათს თამაში თანაბრად წარიმართა და საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე სხვაობა სამ ქულას შეადგენდა - 77:74 "ავიამშენის" სასარგებლოდ. სწორედ ამის შემდეგ ორი სამქულიანით მატჩის ბედი გიორგი ნიკოლაძემ გადაწყვიტა, რომელზეც საბოლოოდ 37 ქულასა და ტურის საუკეთესოობას მოუყარა თავი. ნიკოლაძემ შეუცვლელად ითამაშა, 13-დან 9 ორქულიანი, 12-დან 5 სამიანი (2 გადამწყვეტ მომენტში) და 4-დან 4 საჯარიმო გამოიყენა. 37 ქულის გვერდით მის მონაგარში 8 მოხსნა, 6 პასი და 3 ჩაჭრა ჩაიწერა.

...ხოლო გიორგი შერმადინი მეორე წრეში 40 ქულას არ ჩამოსცილებია. წინა ტურში ჩაგდებულ 46 ქულას შაბათს 42 მიამატა.

ტურის ფრაზა თსუ-სტუ-ს მატჩში მოვისმინეთ. ტექნიკოსები, მაისურაძე და ეძგვერაძე ანეკდოტურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ: **ბაჯომ** (დათო მაისურაძის მეტსახელია) საკუთარი კალათიდან ბურთი გაჭირვებით მოხსნა, მასთან მდგომმა თანაგუნდელმა, **ლაშა ეძგვერაძემ** ბურთს ძლიერად დაჰკრა და დათოს ხელიდან გააგდებინა. მაისურაძის ნაცვლად საყვედური ლაშას წამოსცდა: ...მერე, ბურთი ვერ უნდა შეიმაგროო?

სტუდენტურ დერბიში ყველაფერი ლოგიკის ჯაჭვს მიჰყვა - ახალგაზრდულმა სტუ-მ იბრძოლა და ეპიზოდებში ეფექტური თამაშით ქომაგთა აპლოდისმენტები დაიმსახურა. მაგრამ შედარებით გამოცდილმა თსუ-მ დამაჯერებლად გაიმარჯვა - 104:88.

ტურის ფრაზობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ენამოსწრებულად გამოუვიდა ერთ-ერთ ჩემს კოლეგას: ამიერიდან ნახეთ წუთშესვენებების სიმრავლე. გუნდებს გამოუყენებელი ერთიც არ დარჩებათო. ამ სიტყვებში ჩაქსოვილ იდეას ვერის ბაღში მისული ქომაგი უმალ მიხვდებოდა - წუთშესვენებებზე ხომ მოცეკვავე გოგონათა გუნდი ისევე კარგად ართობს ქომაგს, როგორც ეს ევროპაში ხდება...

**ვაჟა სიმონიშვილი**



ზაზამ შეტევაში მეტი მოხსნა დააგროვა, ვიდრე მთელმა ფინიქსმა

# სუპერატლანტა!

"ფინიქსს" "ჰოქსთან" დაპირისპირებაში არ ჰყოლია **სტივ ნეში**, მაგრამ სტუმართა გამარჯვებას ეს სრულიადაც არ აკნინებს. **ზაზა ფაჩულიამ** მიმდინარე სეზონში და ალბათ, მთელ თავის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრების წევრს ამაზე მეტი ქულაც დაუგროვებია და მოხსნაც, ჩვენმა თანამემამულემ თავის გუნდს ფარზე ბრძოლა მოაგებინა: ქართველის აქტიურობით "ჰოქსმა" შეტევაში 14 მოხსნა აილო. ზაზას ანგარიშზე თავდასხმაში გაკეთებული 8 მოხსნა იყო, რაც ამ სეზონში მისი პირადი რეკორდია, კარიერის საუკეთესო მაჩვენებლამდე კი 4 მოხსნა დააკლდა. ამას დაუმატეთ, რომ ზაზას ოპონენტი თვით **ამარე სტაუდმაიერი** იყო.

ზაზამ შეტევაში უფრო მეტი მოხსნა გააკეთა, ვიდრე მთლიანად "ფინიქსმა" (8:7), ხოლო **ჯო ჯონსონმა** კი ერთხელაც დაამტკიცა, რომ "ყველა ვარსკვლავის" მატჩში მისი არშეყვანა ძალიან დიდი უსამართლობა იყო. ჯონსონმა, რომელმაც 2 წლის წინ, "ფინიქსში" სტივ ნეშის გვერდიგვერდ გაიბრწყინა და გუნდს დასავლეთის ფინალში გასვლაში შეეშველა, მეოთხე მეოთხედში 17 ქულა დააგროვა და 10 საჯარიმოდან 7 ზუსტად შეასრულა.

"ატლანტამ" სტუმრად ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა, რაც 1999 წლის მერე ამ გუნდისთვის საუკეთესო შედეგია. ისე, "ჰოქსის" მომდევნო 5 მატჩსაც გადახედეთ: **11 თებერვალი - "გოლდენ სტეიტი"** (გასვლა), **12 - თებერვალი "იუტა"** (გასვლა), **14 თებერვალი - "კლიპერსი"** (გასვლა), **20 თებერვალი - "ჩიკაგო"** (გასვლა), **21 თებერვალი - "სან ანტონიო"** (შინ).

**ზურაბ თალაკვაძე**

| ფინიქსი-ატლანტა | 111:120 |
|---|---|

20:22, 25:27, 36:31, 30:40

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (38 წთ. 29 ქ. 13 მ. 5 პ. 1 დ), რ. ბელი (45 წთ. 23 ქ. 7 მ. 3 პ. 1 ჩ), ბარბოსა (41 წთ. 19 ქ. 5 პ. 1 მ), მერიონი (43 წთ. 11 ქ. 11 მ. 4 ჩ. 2 პ. 1 დ), დიაო (2 წთ. 4 ქ. 3 მ. 3 პ. 2 დ) - ბენქსი (20 წთ. 20 ქ), ჯ. ჯოუნსი (19 წთ. 5 ქ. 4 მ. 1 პ. 1 დ), ბერკი.

ატლანტა: ჯო ჯონსონი (48 წთ. 32 ქ. 8 მ. 5 პ), ჯოშ სმითი (33 წთ. 25 ქ. 6 მ. 5 დ. 1 პ. 1 ჩ), მერვინ უილიამსი (35 წთ. 16 ქ. 7 მ. 2 ჩ. 1 პ), ლ. რაითი (19 წთ. 4 ქ. 4 მ. 1 პ), აივი (5 წთ. 2 ქ) - ჩილდრესი (36 წთ. 19 ქ. 5 მ. 3 პ. 1 ჩ), **ზაზა ფაჩულია (26 წუთი, 10 ქულა, 11 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი, 1 დაფარება, 2 შეცდომა, 5 ფოლი)**, კლექსტონი (21 წთ. 6 ქ. 2 პ), ს. სტაუდმაიერი (12 წთ. 6 ქ), შ. უილიამსი.

**I მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 04:41 | ფაჩულიამ ლ. რაითი შეცვალა |
| 03:35 | ფოლი: 1 (სტაუდმაიერზე დაჯარიმდა) |
| 01:06 | მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0) |
| 00:50 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 00:48 | მოხსნა: 2 (შეტ: 2, დაც: 1) |
| 00:20 | ორქულიანი: დიაომ დაუფარა |
| 00:19 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (22:20) |
| 00:19 | მოხსნა: 3 (შეტ: 3, დაც: 0) |

**II მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:43 | ფაჩულიაზე ჯ. ჯოუნსი დაჯარიმდა |
| 11:43 | საჯარიმოები: 2/2 (4 ქ. 24:20) |
| 11:11 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:42 | მოხსნა: 4 (შეტ: 4, დაც: 0) |
| 09:57 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (28:25) |
| 09:51 | ჩაჭრა: 1 (ბარბოსას ჩაუჭრა) |
| 09:59 | მოხსნა: 5 (შეტ: 5, დაც: 0) |
| 09:30 | მოხსნა: 6 (შეტ: 5, დაც: 1) |
| 08:13 | მოხსნა: 7 (შეტ: 6, დაც: 1) |
| 05:56 | დაფარება: 1 (სტაუდმაიერს დაუფარა) |
| 05:34 | ფაჩულია ლ. რაითმა შეცვალა |
| 03:07 | ფაჩულიამ ლ. რაითი შეცვალა |
| 00:25 | მოხსნა: 8 (შეტ: 7, დაც: 1) |

**III მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 12:00 | ფაჩულია ლ. რაითმა შეცვალა |
| 10:07 | ფაჩულიამ მერვინ უილიამსი შეცვალა |
| 09:57 | პასი: 1 (ჯო ჯონსონი, 2 ქ. 51:54) |
| 09:12 | ფოლი: 2 (სტაუდმაიერზე დაჯარიმდა) |
| 08:28 | ფოლი: 3 (სტაუდმაიერზე დაჯარიმდა) |
| 07:16 | შეცდომა: 1 (მერიონმა ჩაუჭრა) |
| 05:07 | ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (61:70) |
| 04:48 | მოხსნა: 9 (შეტ: 7, დაც: 2) |
| 04:38 | მოხსნა: 10 (შეტ: 8, დაც: 2) |
| 03:53 | ორქულიანი ტყორცნა: 10 ქ (65:72) |
| 03:38 | ჩაჭრა: 2 (დიაოს ჩაუჭრა) |
| 03:20 | მოხსნა: 11 (შეტ: 8, დაც: 3) |
| 02:36 | შეცდომა: 2 (რ. ბელმა ჩაუჭრა) |

**IV მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 10:25 | ფოლი: 4 (სტაუდმაიერზე დაჯარიმდა) |
| 10:25 | ფაჩულია ლ. რაითმა შეცვალა |
| 01:24 | ფაჩულიამ ლ. რაითი შეცვალა |
| 01:12 | ფოლი: 5 (სტაუდმაიერზე დაჯარიმდა) |
| 01:06 | ფაჩულია კლექსტონმა შეცვალა |
| 00:27 | ფაჩულიამ ჯოშ სმითი შეცვალა |

ზაზა ფაჩულია: 46 მატჩი (31 სასტარტოში), 28.3 წუთი, 11.4 ქულა, 6.7 მოხსნა, 1.5 პასი, 1.1 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.2 შეცდომა, 3.7 ფოლი; **თამაშიდან სროლები:** 375-ში 169 (45.1 პროცენტი); **საჯარიმოები:** 233-ში 185 (79.4 პროცენტი); **სამქულიანები:** 1-ში 0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ლეგიონერები

# პლუს ჩვიდმეტი

საფრანგეთის ჩემპიონატის II დივიზიონში მე-19 ტურს მნიშვნელოვანი ცვლილება არ გამოუწვევია. პირველ ადგილზე ისევ **ილია ზედგინიძის** "ოშია", რომელიც **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიეს" 17 ქულით უსწრებს და ცალი ფეხით ელიტურ პირველ დივიზიონშია. "ოშმა" მე-19 ტურში **მერაბ კვირიკაშვილის** "პოს" უმასპინძლა და 21:6 დაამარცხა. ილია ზედგინიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 46-ე წუთზე შეცვალეს, კვირიკაშვილმა კი თავიდან ბოლომდე ითამაშა და გუნდს სწორედ ის 6 ქულა მოუტანა ორი საჯარიმოთი. საკუთარ მოედანზე გაიმარჯვა "ბეზიემაც". ლანგედოკელებმა "გაიაკს" სძლიეს 22:9. **ირაკლი მაჩხანელს** არ უთამაშია.

**დავით აშვეთიასა** და **მამუკა მაგრაქველიძის** "მეტრო რასინგმა" შინ დაამარცხა **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლი" - 29:23. აშვეთია თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო და 56-ე წუთზე გაასინბინეს, ყვითელი ბარათით გააძევეს 77-ე წუთზე მამუკა მაგრაქველიძეც, რომელიც მოედანზე 65-ე წუთზე გამოჩნდა. ღვაბერიძეს არ უთამაშია.

გაიმარჯვა ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, **გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონმაც". ამ გუნდმა შინ გაჭირვებით დაამარცხა "ბორდო" - 13:9. ლაბაძე 78-ე წუთზე გაასინბინეს. კუთარაშვილი სათადარიგოთა შორის იყო.

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XIX ტური. მეტრო რასინგი-გრენობლი 29:23, ბეზიე-გაიაკი 22:9, ოში-პო 21:6, ტულონი-ბორდო 13:9, ტარბი-ლიმოჟი 21:9, ლა როშელი-იიონაქსი 29:18, ლიონი-მონ დე მარსანი 29:13, დაქსი-კოლომიე 48:8.**

1. **ოში-76 ქულა** / 2. **ბეზიე-59,** 3. ლა როშელი-56, 4. **ტულონი-56,** 5. დაქსი-55 / 6. ლიონი-50, 7. იიონაქსი-46, 8. **მეტრო რასინგი-45,** 9. გაიაკი-39, 10. **გრენობლი-38,** 11. ტარბი-37, 12. ბორდო-34, 13. **პო-32** / 14. მონ დე მარსანი-32, 15. ლიმოჟი-31, 16. კოლომიე-23.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვა თასი

# ესპანეთი შერცხვა

**10 თებერვალი. მადრიდი**

**ესპანეთი-რუსეთი 14:39**

ესპ: (15-9) სემპერე, კანო, მასო, კანოსა, მოტა, ოლივარესი, ფეიხო (1-8) ინსაუსტი, სიდრი, სალასარი, ბარსენა, ს. სოუტო, იხარი, მატა, კრიადო / (16-22) სარსოსა, სერანო, კ. სოუტო, ერნანდესი; მირონესი, გონსალესი, გუტიერესი - ლ (კანო), 3ს (ოლივარესი)

რუს: (15-9) კლუჩნიკოვი, კუზინი, ბაბაევი, გალინოვსკი, გვოზდოვსკი, ი. კუშნარევი, შაკიროვი (1-8) ხროკინი, მარჩენკო, პრიშჩეპენკო, ფატახოვი, კულემინი, კ. კუშნარევი, გარბუზოვი, პანასენკო / (16-22) ნაუმენკო, კობზევი, ნოვოსელოვი, ტემნოვი; მოტორინი, რეჩნევი, ოსტროუშკო - 6ლ (გარბუზოვი, შაკიროვი, გალინოვსკი, გვოზდოვსკი-2, ი. კუშნარევი), 3გ (მოტორინი), ს (ი.კუშნარევი)

რუსეთის მორაგბეთა ნაკრებმა შაბათს მადრიდში ესპანეთი 39:14 გაანადგურა. ასეთი სხვაობა მოულოდნელობაა, მით უფრო, პირველ ტურში ესპანელები მხოლოდ 3 ქულით დამარცხდნენ ლისაბონში 18:21. უფრო საკვირველი ისაა, რომ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში სტუმრები კაცნაკლულნი თამაშობდნენ - პირველხაზელ **ივან პრიშეპენკოს** თამაშის დასაწყისშივე წითელი ბარათი უჩვენეს. მეორე ტაიმის დასაწყისში, რუსები 10 წუთით 13 კაცით დარჩნენ, რადგან შუამარბი **იგორ გალინოვსკი** გაასინბინეს. პირველი ტაიმი რუსებმა 13:6 მოიგეს. მეორე ნახევრის დასაწყისში კი ესპანელებმა დაწინაურება მოახერხეს 14:13. ამის შემდეგ, 53-ე წუთიდან მოყოლებული, ქულები მხოლოდ რუსების ანგარიშზე ირიცხებოდა.

ორივე გუნდი ჩვენი უახლოესი მეტოქეა - საქართველოს ნაკრები 17 მარტს ესპანეთში ჩადის და 24 მარტს რუსეთს მასპინძლობს.

მსოფლიო თასის შესარჩევი

# ტონგამ გადაუარა

**10 თებერვალი. ოკლენდი**

**ტონგა-კორეა 85:3**

მსოფლიო თასზე ერთი საგზური დარჩა გასათამაშებელი. მისი მფლობელი 10 მარტს, ლისაბონსა და 24 მარტს მონტევიდეოში; პორტუგალია-ურუგვაის ორმატჩიანი დაპირისპირების შემდეგ გაირკვევა. მეცხრამეტე ფინალისტი კი ოკლენდში გამოვლინდა. იმის გამო, რომ ტონგასა და კორეას შორის გამარჯვებული წინასწარ იყო ცნობილი, ზედმეტ ხარჯებს მოერიდნენ და ერთი თამაში ნეიტრალურ მოედანზე დანიშნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ტონგამ მეტოქეს გადაუარა და ჯგუფში ინგლისთან, სამხრეთ აფრიკასთან, სამოასთან და აშშ-სთან მოხვდა.



ექვსი ერი. II ტური

# დრამა სულ ბოლო წუთებზე

ირლანდია, რომელიც ტურნირის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, რომელსაც 1985 წლის შემდეგ არ მოუგია ეს ტურნირი, რომელსაც ტრავმის გამო აკლდა **ბრაიან ოდრისკოლი** და **პიტერ სტრინგერი** და რომელიც პირველად თამაშობდა 82-ათასიან "კროუკ პარკზე", დრამატულად, 78-ე წუთზე დამარცხდა!

ფრანგები პირველ 14 წუთში 13:3 დაწინაურდნენ, მაგრამ ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა ჩამორჩენა შეამცირეს (11:13), ხოლო 57-ე წუთისთვის წინაც გავიდნენ - 14:13, ყველა ქულა **რონან ოგარამ დააგროვა**. დასრულებამდე 4 წუთით ადრე მანვე ერთი საჯარიმოც გაიტანა (17:13), მაგრამ ალბათ ჯობდა, საერთოდ არ დაერტყა. თამაშის განახლების შემდეგ ფრანგებმა ბურთი მოიგეს, **დავიდ მარტი** მეტოქის ოცდაორისკენ გაიჭრა, **იანიკ ჟოზიონმა** შეტევა გააგრძელა, **პიერ მინიონიმ** ბურთი სწრაფად გამოიტანა რაკიდან, **ლიონელ ბოსიმ** კი გრძელი პასი მოაწოდა **ვენსან კლერს** - ეს უკანასკნელი კი ხუთ ირლანდიელ მბოჭველს გაუძვრა და ძვირფასი ლელო გაიტანა!

**იტალია-ინგლისი 7:20**

იტა: (15-9) **დემარინი, რობერტსონი, კანალე, მირკო ბერგამასკო, დალანი, სკანავაკა, ტრონკონი** (1-8) **ლოჩიჩერო, ფესტუჩა, კასტროჯოვანი, დელაპე, ბორტოლამი** (სბ 35), **სოული, ძაფირი, პარისე** / (16-22) ონგარო, პერუჯინი, ბერნაბი, მანდელი; გრიფენი, პესი, პრატიკეტი - **ლ (სკანავაკა), გ (პესი)**

ინგ: (15-9) **ბოლშო, ლუსი, თინდოლი, ფარელი, რობინსონი, ვილკინსონი, ელისი** (1-8) **ფრეშუოტერი, ჩატერი, ვიკერი, დიკონი, გრუკოკი, ისტერი, ლუნდი, ქორი** / (16-22) მეირსი, ვაითი, პალმერი, რიისი; პერი, ფლუდი, ტეიტი - **ლ (რობინსონი), 5ს (ვილკინსონი)**

**შოტლანდია-უელსი 22:9**

შოტ: (15-9) **საუსველი, შ. ლემონი, დიროლო, დუი, პატერსონი, გოდმენი, კაზიტერი;** (1-8) **ქერი, ჰოლი, ი. მარი, ჰემილტონი, ს.მარი, ტეილორი, ბრაუნი, კალემი** / (16-22) ფორდი, ჯეკობსენი, ჰაინსი, ჰოგი; ლოუსონი, ვებსტერი, ვოკერი - **7ს (პატერსონი)**

უელ: (15-9) **მორგანი, მ.ჯოუნზი, რობინსონი, ჰუკი, ჩეკაი, ს. ჯოუნზი, პილი** (1-8) **დ.ჯოუნზი, რ. თომასი** (სბ 58), **ა. ჯოუნზი, სიდოლი, ა.ვ. ჯოუნზი, პოპემი, მ. ვილიამსი, რ. ჯოუნზი** / (16-22) რიისი, ჯენკინსი, გაფი, ჯ.თომასი; ფილიპსი, სვინი, შენკლინი - **3ს (ს.ჯოუნზი)**

**ირლანდია-საფრანგეთი 17:20**

ირლ: (15-9) **დემპსი, მერფი, ჰორგანი, დარსი, ჰიკი, ოგარა, ბოსი** (1-8) **ჰორანი, რ.ბესტი, ჰეიესი, ოკალაჰანი, ოკონელი, ისტერბი, დ. ვოლისი, ლიმი** /(16-22) ფლენერი, ს.ბესტი, ნ. ბესტი, მ.ოდრისკოლი; რედანი, პ. ვოლისი, თრიმბლი - **ლ, 4ს (ოგარა)**

საფ: (15-9) **პუატრენო, კლერი, მარტი, ჟოზიონი, დომინისი, სკრელა, მინიონი** (1-8) **მარკონე, იბანესი, დევილიე, პეპე, ნალე, ბეტსენი, შაბალი, არინორდოკი** / (16-22) ბრიუ, მილუ, თიონი, ბონერი; იაშვილი, ბოსი, ემონსი - **2ლ (იბანესი, კლერი), 2გ (სკრელა, ბოსი), 2ს (სკრელა).**

ორი ტურის შემდეგ: **ინგლისი, საფრანგეთი 4; ირლანდია, შოტლანდია - 2; იტალია, უელსი - 0.**

მესამე ტური. **24 თებერვალი:** შოტლანდია-იტალია, ირლანდია-ინგლისი, საფრანგეთი-უელსი; მეოთხე ტური. **10 მარტი:** შოტლანდია-ირლანდია, იტალია-უელსი; **11 მარტი:** ინგლისი-საფრანგეთი; მეხუთე ტური. **17 მარტი:** იტალია-ირლანდია, საფრანგეთი-შოტლანდია, უელსი-ინგლისი

ზე-თოთხმეტი

# შარქსი და ბლუზი ლიდერობენ

ორი ტურის შემდეგ ზე 14-ს ორი ლიდერი ჰყავს, აფრიკული "შარქსი" და ზელანდიური "ბლუზი". მხოლოდ ამ ორმა გუნდმა შეძლო ორივე მატჩში გამარჯვება. პირველ ტურში ოთხი ლელო არავის გაუტანია, მეორეში ეს ერთაბაშად სამმა შეძლო, ზელანდიურმა "ჩიფსმა" კი წაგებულ მატჩში ერთბაშად ორი პრემიალური ქულა გამოიმუშავა - ოთხი ლელოც გაიტანა და არც შვიდ ქულაზე მეტით წააგო. ტურის მთავარი ამბავი კი ჩემპიონის პირველი გამარჯვებაა.

"კრუსეიდერზს" ზელანდიის ნაკრების ოთხი ვარსკვლავი აკლია, ეს მათ თამაშს დაეტყო კიდეც - პირველ ტურში "ბლუზთან" დამარცხდა. მეორეში ექვსგზის ჩემპიონების მეტოქე ქრაისთჩერჩში ავსტრალიური "რედსი" იყო, "კრუსეიდერზმა" გაიმარჯვა, თანაც მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანა - 33:22. "კრუსეიდერზმა" გამარჯვება ბოლოს გამოჰგლიჯა მეტოქეს, მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე "რედსი" იგებდა, მაგრამ **სკოტ ჰამილტონის** და შეცვლაზე შესული **ბრენტ ვორდის** ლელოებმა მატჩის ბედი შემოატრიალეს. "რედსმა" ძალისმიერად უტია, ორჯერ მატჩში მათ 20-ფაზიანი შეტევა გაჩარხეს, თუმცა თითოეულ შემთხვევაში მაქსიმუმ ათი მეტრით წაიწიეს წინ. "კრუსეიდერზი" თავს უშეცდომოდ იცავდა, ახალგაზრდა **სტივენ ბრეტი** კი (**დენ კარტერს** ცვლის) ბრწყინვალედ თამაშობდა კონტრშეტევებზე. სწორედ ბრეტმა გახსნა მე-13 წუთზე ანგარიში და მასპინძლები 7:0 დაწინაურდნენ. მალე ბრეტმა **როს ფილიპოს** მიაწოდა და ლელო თავად გარდასახა, მაგრამ იქვე საჯარიმოც ააცილა - 14:0.

ნახევარი საათის შემდეგ თამაში "აყირავდა", თუ კი იქამდე "რედსის" ბურთის კონტროლს შედეგი არ მოჰქონდა, ახლა "კრუსეიდერზის" დაცვამ შეცდომებს უმატა. 15 წუთში მასპინძლები შვიდჯერ დაჯარიმდნენ, რასაც **კლინტონ შიფკოვსკის** სამი შედეგიანი საჯარიმო მოჰყვა, ერთი საჯარიმოს შემდეგ კი სტუმრებმა მოლით გაიტანეს ლელო, ეს **გრეგ ჰოლმსმა** მოახერხა. მატჩის 50-ე წუთზე **რიკო გიარმა** ფეხით ფლანგზე ყოჩაღად დაკიდა ბურთი, **პიტერ ჰაინსმა** ლელო გაიტანა და სტუმრები დააწინაურა. შემდეგ კი ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან - მეორე, სანამ "კრუსეიდერზმა" ორი გვიანი ლელო არ გაიტანა. მატჩში საუკეთესოდ მასპინძელთა რვა ნომერი **მოსე ტუიალიკი** გაისარჯა, რომელიც ყოველთვის იქ იყო, სადაც თანაგუნდელებს დახმარება სჭირდებოდათ.

ოკლენდურმა "ბლუზმა" სტუმრად "ბრამბიზი" დაამარცხა - 17:15. კანბერაში ნამდვილი დრამა გათამაშდა, ბურჯმა **საიმონე ტაუმოეპეაუმ** მატჩის ბოლო წამებზე გაიტანა ლელო, რომელიც მახვილი კუთხიდან **ისაია ნათევამ** გარდასახა. სწორედ ამ ორმა ზლვისრეთელმა მოაგებინა "ბულზს".

"შარქსი" ლიდერია, მას შემდეგ, რაც შინ "ვორათაზი" დაამარცხა - 21:9, ბოლო 6 წლის განმავლობაში ეს პირველად მოხდა. დურბანში მატჩის ერთადერთი ლელო 10 ნომერმა **ბუჩ ჯეიმსმა** გაიტანა. ზელანდიურ ჰამილტონში ერთბაშად ცხრა ლელო გავიდა, მათგან გადამწყვეტი ჰარიკენსელი **პოლ ტიტოსი** ალმოჩნდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ზე 14. II ტური**

**კრუსეიდერზი-რედსი 33:22**

კრუსეიდერზი (ზელ): 5ლ (ბრეტი, ფილიპო, ჰამილტონი, ტუიალიკი, ვორდი), 4გ (ბრეტი)

რედსი (ავს): 2ლ (ჰოლმსი, ჰაინსი), 4ს (შიფკოვსკი)

**ბრამბიზი-ბლუზი 15:17**

ბრამბიზი (ავს): 5ს. (ჰენდერსონი, ჰაქსლი 4)

ბლუზი (ზელ): 2ლ (ნატევა, ტაუმოეპეაუ), 2გ (ნათევა), ს (ნათევა)

**ბულზი-ჩიტაზი 24:20**

ბულზი (აფრ): 3ლ (ენგელსი, ჰაბანა, რუ), 3გ, ს (შტაინი)

ჩიტაზი (აფრ): 2ლ (ფრედერიკსი, ფანდერლინდე), 2გ, 2ს (ბოსმანი)

**ლაიონზი-ჰაილენდერზი 11:6**

ლაიონზი (აფრ): ლ (ჰიუმენი), 2ს (სტრაიდომი)

ჰაილენდერზი (ზელ): 2ს (ბრიუსი, ორი)

**ჩიფსი-ჰარიკეინზი 32:39**

ჩიფსი (ზელ): 4 ლ (დარსი, ლეონარდი, მესამი, ვილისი), 3გ, 2ს (დონალდი)

ჰარიკეინზი (ზელ): 5ლ (ლილო, მეტიუსონი, ნონუ, ტიტო, უმაგა), 4გ, 2ს (გოპერტი)

**სტორმერზი-უესტერნ ფორსი 3:22**

სტორმერზი (აფრ): ს (ოლივიე)

ფორსი (ავს): ლ (კროსი), გ, 5ს (შეპარდი)

**შარქსი-ვორათაზი 22:9**

შარქსი (აფრ): ლ (ჯეიმსი), გ (მონტგომერი), 4ს (მონტგომერი 3, შტაინი), ა (შტაინი)

ვორათაზი (ავს): 3ს (ჰიუეტი)

| | მ | ფ | წ | სხვ | პრ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| შარქსი | 2 | 0 | 0 | 39-12 | 0 | 8 |
| ბლუზი | 2 | 0 | 0 | 51-40 | 0 | 8 |
| ფორსი | 1 | 0 | 1 | 29-11 | 1 | 5 |
| ჩიტაზი | 1 | 0 | 1 | 47-33 | 1 | 5 |
| ბრამბიზი | 1 | 0 | 1 | 36-32 | 1 | 5 |
| კრუსეიდერზი | 1 | 0 | 1 | 58-56 | 1 | 5 |
| ჰარიკეინზი | 1 | 0 | 1 | 55-57 | 1 | 5 |
| ჰაილენდერზი | 1 | 0 | 1 | 14-18 | 1 | 5 |
| რედსი | 1 | 0 | 1 | 47-49 | 0 | 4 |
| ვორათაზი | 1 | 0 | 1 | 34-38 | 0 | 4 |
| ლაიონზი | 1 | 0 | 1 | 27-31 | 0 | 4 |
| ბულზი | 1 | 0 | 1 | 27-37 | 0 | 4 |
| ჩიფსი | 0 | 0 | 2 | 47-60 | 3 | 3 |
| სტორმერზი | 0 | 0 | 2 | 12-49 | 0 | 0 |

## კრივი

12-15 თებერვალი. საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონატი ახალი მწვრთნელის თვალწინ



ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში დღეს დაიწყება მოკრივეთა ეროვნული ჩემპიონატი. წლეულს, წინასაოლიმპიადო წელია და სხვა სახეობების მსგავსად, პეკინის ოლიმპიადის საგზურები კრივშიც თამაშდება. შესაბამისად, საქართველოს ჩემპიონატი პირველი დიდი ნაბიჯი იქნება იმ გუნდის დაკომპლექტებაში, რომელიც შემოდგომით, პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე წავა.

საქართველოს ჩემპიონატს ყველაზე დიდი გულისყურით ალბათ ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცი, **ავთანდილ შოშიაშვილი** მოეკიდება, მან ხომ ორიოდ კვირის წინ გადაიბარა ეს თანამდებობა **დავით ცერცვაძისაგან**. შოშიაშვილი სწორედ ამ შეჯიბრებაზე თავგამოჩენილებს მიიწვევს სეზონის პირველ შეკრებებზე. მერე კი იქნება საერთაშორისო ტურნირები, საზღვარგარეთული შეკრებები, შემადგენლობაც ნელ-ნელა გაიცხრილება და ბოლოს დარჩება ის გუნდი, რომელიც მოსკოვში წავა.

საქართველოს ჩემპიონატზე 11 წონით კატეგორიაში გათამაშდება მედლები. შეგახსენებთ შარშანდელ ჩემპიონებს: **ზვიად ხადური** (48 კგ), **ვახტანგ წინამძღვრიშვილი** (51), **ნიკოლოზ იზორია** (54), **კობა ფხაკაძე** (57), **ვასილ ყაზიშვილი** (60), **ლევან ღვამიჩავა** (64), **კახა ჟვანია** (69), **რევაზ ქარელიშვილი** (75), **თორნიკე იველაშვილი** (81), **ბექა ლობჟანიძე** (91) და **იუზა გულორდავა** (+91).

ორთაბრძოლები დღეს 13 საათიდან დაიწყება და დღესვე გაიმართება ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. საერთო ჯამში, შეჯიბრებაზე გამოვა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 120-მდე მოკრივე. დღეს საკვალიფიკაციო რაუნდის ორთაბრძოლები შედგება, 13 თებერვალს მეოთხედფინალებია, 14 თებერვალს ნახევარფინალი, ხოლო 15 თებერვალს ჩემპიონები გამოვლინდებიან.

ამ ჩემპიონატზე ვიხილავთ ერთ სიახლეს. როგორც უკვე გაცნობეთ, ჩვენმა კრივის ფედერაციამ, ევროპის კრივის ფედერაციისგან მიიღო საჩუქარი – კომპიუტერები თავისი პლაზმური ეკრანებით. ეს ეკრანები დარბაზში დამონტაჟდება და გულშემატკივარს შეხვედრების მიმდინარეობასა და ქულებს გააცნობს. მაყურებელიც ყველანაირად ინფორმირებული იქნება და მაქსიმალურად გამოირიცხება არბიტრთა შეცდომებიც.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ვარსკვლავის მატჩი 2007

# სამართალმა პური ჭამა

## რეგულარულის საუკეთესო სნაიპერი ოლ სტარზე მიიწვიეს

როგორც მოსალოდნელი იყო, "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე გუნდების შემადგენლობებში ცვლილებები მოხდა. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, ცვლილება დასავლეთის ვარსკვლავთა გუნდს შეეხო, სადაც ამ გუნდის მთავარ მწვრთნელ **მაიკ დ'ენტონის** ("ფინიქსი"), ორი ტრავმირებული მოთამაშის შეცვლა მოუწია.

სამართლიანობა აღდგა და წლევანდელ "ოლ სტარზე" რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - **კარმელო ენტონი** ("დენვერ ნაგეტსი") ითამაშებს. კალათბურთელი, რომელიც საშუალოდ მატჩში 30.8 ქულას აგროვებს, დასავლეთის გუნდში **კარლოს ბუზერის** ("იუტა") ნაცვლად ითამაშებს. ამ უკანასკნელმა თითქმის მოირჩინა ფეხის ტრავმა, მაგრამ "ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის" გამოჯანმრთელებას მაინც ვერ ასწრებს.

22 წლის ენტონისთვის ეს პირველი "ოლ სტარი" იქნება.

ასევე პირველად ითამაშებს "ყველა ვარსკვლავის მატჩში" "დალას მავერიქსის" ფორვარდი **ჯოშ ჰოვარდი**. ის გუნდში ტრავმირებული **იაო მინის** ("ჰიუსტონ როკეტსი") ნაცვლად მიიწვიეს. მისი სტატისტიკური მაჩვენებლები ენტონისაზე გაცილებით მოკრძალებულია (19.6 ქულა, 7.3 მოხსნა), მაგრამ ჰოვარდის დიდი წვლილია იმაში, რომ "დალასი" 40 მოგებითა და 9 დამარცხებით, ჯერჯერობით, რეგულარული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია.

*"ოლ სტარზე" თამაში ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და ბედნიერი ვარ, რომ ეს ნატვრა ავისრულე"*, - განუცხადა ჟურნალისტებს ჰოვარდმა. საინტერესო იქნება დასავლეთის გუნდში ჰოვარდისა და მისი თანაგუნდელის - გერმანელი **დირკ ნოვიცკის** ტანდემის ხილვა.

შეიძლება ისე მოხდეს, რომ დასავლეთის ნაკრებში კიდევ ერთი მოთამაშის შეცვლა გახდეს საჭირო. ჯერჯერობით, ფეხის ტრავმა ვერ მოირჩინა "დენვერ ნაგეტსის" მცველმა **ალენ აივერსონმა**, რომელმაც თებერვალში ოთხი მატჩი გამოტოვა, შემდეგ "ნიუ ორლეანთან" შეხვედრაში დაბრუნდა, მაგრამ ტრავმა გაიმიზეზა და ბოლო ორი ტურის გამოტოვება მოუწია.

როგორც აივერსონი აცხადებს, მისი "ოლ სტარზე" თამაშის შანსი 50 პროცენტია. *"არა მგონია, რომ კვირისთვის გამოჯანმრთელება მოვასწრო"*, - ამბობს "დენვერის" მეორე სნაიპერი, "ყველა ვარსკვლავის მატჩის" 8-გზის მონაწილე ალენ აივერსონი.

ასე რომ, სავარაუდოდ 18 თებერვალს, ლას ვეგასში ენტონისა და აივერსონის დუეტს ვერ ვიხილავთ.



კარმელო ენტონი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 10 თებერვალი

**ფინიქსი-ატლანტა 111:120**

20:22, 25:27, 36:31, 30:40

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (29 ქ. 13 მ. 5 პ), რ. ბელი (23 ქ. 7 მ. 3 პ), ბენქსი (20 ქ), ბარბოსა (19 ქ. 5 პ), მერიონი (11 ქ. 11 მ. 4 ჩ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (32 ქ. 8 მ. 5 პ), ჯოშ სმიტი (25 ქ. 6 მ. 5 დ), ჩილდრესი (19 ქ. 5 მ. 3 პ), მერვინ უილიამსი (16 ქ. 7 მ), **ზაზა ფაჩულია (10 ქ. 11 მ. 2 ჩ. 1 პ. 1 დ).**

**ტორონტო-ლეიკერსი 96:92**

16:17, 23:27, 29:25, 24:27

**ტორონტო:** ბოში (29 ქ. 11 მ. 2 ჩ. 2 დ), ე. პარკერი (18 ქ. 7 მ. 3 ჩ), ბარნიანი (14 ქ. 1 მ. 1 პ. 1 დ), პიტერსონი (10 ქ), გარბახოსა (7 ქ. 10 მ. 3 ჩ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (25 ქ. 9 მ. 5 პ. 3 ჩ), მ. ევანსი (19 ქ), ს. პარკერი (18 ქ), ოდომი (17 ქ. 12 მ).

**ფილადელფია-კლიპერსი 89:90**

22:22, 19:19, 23:16, 25:33

**ფილადელფია:** იგუოდალა (22 ქ. 7 პ. 4 მ), კორვერი (15 ქ. 5 მ), დალემბერი (14 ქ. 15 მ), ჯო სმიტი (12 ქ. 5 მ), ა. მილერი (10 ქ. 6 პ. 5 მ. 2 ჩ), კარნი (10 ქ).

**კლიპერსი:** კასელი (22 ქ. 6 მ. 4 პ), მობლი (17 ქ), კამანი (15 ქ. 9 მ. 2 დ), ბრენდი (12 ქ. 8 მ), ლივინგსტონი (11 ქ. 8 მ. 4 პ. 4 ჩ).

**ორლანდო-ს. ანტონიო 106:104**

20:27, 28:32, 32:21, 26:24

**ორლანდო:** ნელსონი (31 ქ. 7 მ. 5 პ), დ. ჰოვარდი (30 ქ. 8 მ. 4 ჩ. 3 დ. 3 პ), რედიკი (16 ქ), აროიო (12 ქ. 7 პ).

**სან ანტონიო:** დანკანი (24 ქ. 16 მ. 6 პ), ბ. ბერი (21 ქ. 2 ჩ), ფინლი (18 ქ. 2 ჩ. 2 დ), ტ. პარკერი (17 ქ. 7 პ).

**ინდიანა-დენვერი 95:102**

16:20, 24:20, 23:36, 32:26

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (23 ქ. 11 მ), დ. გრეინჯერი (19 ქ), ჯ. ონილი (16 ქ. 4 მ. 2 ჩ. 2 დ), მერფი (14 ქ. 6 მ), ტინსლი (9 ქ. 9 პ).

**დენვერი:** ენტონი (34 ქ. 6 მ. 5 პ), ნახერა (18 ქ. 9 მ. 2 ჩ), კლეიზა (15 ქ. 5 მ), ნენე (14 ქ. 7 მ), ს. ბლეიკი (11 ქ. 8 პ), რ. ევანსი (2 ქ. 10 მ).

**შარლოტი-პორტლ. 100:108 (ო)**

18:21, 30:21, 24:27, 15:18, 13:21

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (30 ქ. 15 მ. 3 ჩ. 2 დ), ოკაფორი (23 ქ. 10 მ), ფელტონი (17 ქ. 8 პ. 6 მ. 4 ჩ), კეროლი (13 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ).

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (40 ქ. 9 მ. 3 პ), ჯეკი (20 ქ. 9 მ. 6 პ. 2 ჩ. 2 დ), როი (15 ქ. 8 მ. 3 პ), უდოკა (14 ქ. 8 მ).

**მემფისი-მინესოტა 105:97 (ო)**

24:23, 22:21, 21:29, 25:20, 13:5

**მემფისი:** გეი (19 ქ. 6 მ), მ. მილერი (17 ქ. 7 პ. 6 მ), ეტკინსი (15 ქ. 6 პ), დ. სტაუდმაიერი (13 ქ), უორიკი (12 ქ. 6 მ. 2 ჩ), გასოლი (10 ქ. 17 მ. 5 პ. 2 დ).

**მინესოტა:** მ. ბლაუნტი (25 ქ. 9 მ. 4 პ. 2 დ), გარნეტი (20 ქ. 17 მ. 6 პ. 3 დ. 2 ჩ), რ. დევისი (16 ქ. 9 პ. 8 მ), ჰასელი (10 ქ. 6 პ. 5 მ).

**დალასი-ჰიუსტონი 95:74**

20:24, 23:15, 29:14, 23:21

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (22 ქ. 7 მ), ტერი (18 ქ), ნოვიცკი (15 ქ. 8 მ. 2 დ), სტექჰაუზი (14 ქ. 5 პ), დიოპი (2 ქ. 14 მ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (20 ქ. 2 ჩ), ალსტონი (14 ქ. 4 პ), ჯუვან ჰოვარდი (11 ქ. 6 მ).

**კლივლენდი-მაიამი 103:79**

23:17, 21:16, 25:24, 34:22

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (29 ქ. 7 მ. 6 პ), ჰიუზი (16 ქ), პავლოვიჩი (15 ქ. 6 პ. 5 მ), გუდენი (10 ქ. 13 მ), ილგაუსკასი (4 ქ. 10 მ).

**მაიამი:** უეიდი (27 ქ. 7 პ. 2 ჩ. 2 დ), შ. ონილი (14 ქ. 7 მ), კაპონო (10 ქ), ჰასლემი (9 ქ. 9 მ).

**ბოსტონი-ნიუ ჯერსი 78:92**

16:19, 23:23, 17:27, 22:23

**ბოსტონი:** დელონტე უესტი (21 ქ. 3 ჩ), ელ ჯეფერსონი (13 ქ. 17 მ. 2 დ), პირსი (9 ქ. 4 მ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (21 ქ. 7 მ. 5 პ. 4 ჩ), მარკუს უილიამსი (17 ქ. 7 მ), კიდი (13 ქ. 9 პ. 8 მ), ე. ჰაუსი (12 ქ), მური (11 ქ. 6 მ).

**გ. სტეიტი-ჩიკაგო 123:121 (ო)**

35:30, 29:31, 15:32, 33:19, 11:9

**გოლდენ სტეიტი:** ელ ჰარინგტონი (24 ქ. 9 მ), ს. ჯექსონი (23 ქ. 8 პ. 4 მ. 2 ჩ. 2 დ), მ. ელისი (16 ქ. 7 პ. 2 ჩ), ბარნსი (13 ქ. 12 მ), მ. პიეტრუსი (11 ქ. 6 მ. 2 ჩ), ბიედრინსი (11 ქ. 10 მ. 5 დ).

**ჩიკაგო:** გორდონი (24 ქ), დენგი (23 ქ. 9 მ. 4 პ), ჰაინრიხი (22 ქ. 10 პ. 4 მ), პი. ჯეი. ბრაუნი (19 ქ. 9 მ), დიუჰონი (13 ქ. 6 პ. 2 ჩ), ბ. უოლასი (9 ქ. 17 მ. 3 დ).

### 11 თებერვალი

**დეტროიტი-ტორონტო 98:92**

18:24, 25:25, 33:24, 22:19

**დეტროიტი:** რ. უოლასი (28 ქ. 7 მ. 2 დ), რ. ჰამილტონი (21 ქ. 8 პ), ბილაპსი (14 ქ. 9 პ. 5 მ), ლ. ჰანტერი (12 ქ. 5 პ. 2 ჩ).

**ტორონტო:** ტი. ჯეი. ფორდი (17 ქ. 11 პ), ბარნიანი (15 ქ. 3 მ. 2 პ. 1 ჩ), ბოში (14 ქ. 11 მ), ე. პარკერი (12 ქ. 9 მ. 3 პ), პიტერსონი (10 ქ).

**ნ. ჯერსი-ორლანდო 93:78**

28:28, 21:15, 17:20, 27:15

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (32 ქ), მარკუს უილიამსი (12 ქ. 7 პ), კიდი (10 ქ. 9 მ. 6 პ. 2 ჩ), ნახბარი (7 ქ. 10 მ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (25 ქ. 12 მ. 4 დ), მილიჩიჩი (16 ქ. 12 მ. 4 დ), ნელსონი (!4 ქ. 4 პ).

**ნ. ორლეანი-მემფისი 114:99**

29:27, 27:20, 35:24, 23:28

**ნიუ ორლეანი:** პოლი (23 ქ. 11 პ), დევიდ უესტი (22 ქ. 8 მ. 4 პ), მეისონი (116 ქ), ჩენდლერი (15 ქ. 16 მ), ბ. ჯექსონი (11 ქ. 3 ჩ), დევინ ბრაუნი (11 ქ).

**მემფისი:** გასოლი (21 ქ. 11 მ. 6 პ), გეი (14 ქ. 5 მ), უორიკი (14 ქ. 2 დ), ეტკინსი (13 ქ), მ. მილერი (11 ქ. 6 პ).

**მილუოკი-დენვერი 102:109**

23:22, 26:27, 25:31, 28:29

**მილუოკი:** ბოიკინსი (26 ქ. 6 პ), მო უილიამსი (16 ქ. 6 პ), ჩ. ბელი (16 ქ. 4 პ), პატერსონი (13 ქ. 6 მ), ბოგუტი (8 ქ. 12 მ).

**დენვერი:** ენტონი (29 ქ. 10 პ. 8 მ. 3 ჩ), ნენე (17 ქ. 11 მ), ჯეი. არ. სმიტი (16 ქ), ნახერა (15 ქ. 8 მ. 4 ჩ), კლეიზა (12 ქ), ბლეიკი (10 ქ. 11 პ), რ. ევანსი (6 ქ. 10 მ. 2 დ).

**ჰიუსტონი-შარლოტი 104:83**

29:28, 31:18, 22:20, 22:17

**ჰიუსტონი:** ჰედი (17 ქ. 6 პ. 5 მ. 3 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (16 ქ. 6 მ. 4 პ), მაკგრეიდი (16 ქ. 2 ჩ), სნიდერი (15 ქ), მუტომბო (14 ქ. 14 მ. 4 ჩ), ალსტონი (!4 ქ. 9 ჩ. 8 პ).

**შარლოტი:** ფელტონი (16 ქ. 5 პ), ოკაფორი (15 ქ. 12 მ. 3 ჩ), კეროლი (12 ქ), ჰერმანი (12 ქ).

**იუტა-ნიუ იორკი 104:102 (ო)**

24:28, 25:17, 17:31, 27:17, 11:9

**იუტა:** ოქური (29 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), მილსეპი (18 ქ. 9 მ. 3 ჩ. 2 დ), დერონ უილიამსი (16 ქ. 10 პ), ფიშერი (14 ქ. 2 ჩ), ჰარპრინგი (13 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (29 ქ. 10 მ. 5 პ. 3 ჩ), კარი (27 ქ. 8 მ), ლი (15 ქ. 11 მ. 2 ჩ), ფრენსისი (13 ქ. 7 მ), კ. რიჩარდსონი (9 ქ. 10 მ. 3 ჩ).

**სიეტლი-საკრამენტო 93:114**

23:27, 23:36, 26:26, 21:25

**სიეტლი:** რ. ალენი (29 ქ. 5 პ. 3 ჩ), კოლისონი (14 ქ. 6 მ), რ. ლიუისი (14 ქ. 7 მ. 5 პ), რიდნური (13 ქ), უილკოქსი (10 ქ. 11 მ).

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (26 ქ. 4 პ), არტესტი (20 ქ. 7 მ), გარსია (17 ქ. 5 მ. 5 ჩ), ბ. მილერი (13 ქ. 5 პ. 2 ჩ), უილიამსონი (10 ქ).

ჩოგბურთი

## კიმ კლაისტერსი როლან გაროსს გამოტოვებს?

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ბელგიელმა ჩოგბურთელმა **კიმ კლაისტერსმა** შესაძლოა საფრანგეთის ღია პირველობა გამოტოვოს. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა აღნიშნა, რომ წლევანდელ სეზონში უნდა შეზღუდოს ტურნირების რაოდენობა, რათა თავისი კარიერის ბოლო სეზონში ტრავმები თავიდან აიცილოს.

მაგალითად, კლაისტერსმა უარი თქვა Open Gaz de France-ზე ასპარეზობაზე, რომელიც გასულ კვირას, პარიზში მიმდინარეობდა. კიმმა ამ ნაბიჯით მოსალოდნელი გართულებები აირიდა თავიდან და ახლა, "საშინაო" Diamond Games-ზე აილებს სტარტს, რომელიც ანტვერპენში გაიმართება.

გარდა ამისა, ბელგიელმა ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ გამოტოვებს პირველი კატეგორიის ტურნირს ინდიან უელსში, მაგრამ ორი კვირის შემდეგ, მაიამიში ამავე კატეგორიის შეჯიბრში მიიღებს მონაწილეობას. სხვათა შორის, 2005 წელს, კლაისტერსმა ეს ორივე ტურნირი მოიგო.

დაბოლოს, კიმმა "როლან გაროსზე" პაუზის აღებაც არ გამორიცხა.

## უილიამსები ჯანმრთელობას უჩივიან

დებ **უილიამსებს** ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. უფროს დას - **ვინუსს** კვლავ გადაედო დიდ ჩოგბურთში დაბრუნება - სააგენტო AP იტყობინება, რომ უილიამსს ისევ აწუხებს იდაყვის ტრავმა და ამის გამო, ანტვერპენში Diamond Games-ზე ვერ ითამაშებს.

სავარაუდოდ, WTA-ს ტურზე ვინუს უილიამსის დაბრუნება ერთი კვირის შემდეგ შედგება. მან მემფისის ტურნირზე შეიტანა განაცხადი.

რაც შეეხება ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულ **სერენას**, მან უარი თქვა ინდოეთში - ბანგალორის ტურნირიში მონაწილეობაზე. უარის მიზეზად ამერიკელმა ავადმყოფობა დაასახელა. *"მაღალი ტემპერატურისა და გაციების გამო, სერენამ უარი განაცხადა მოგზაურობაზე"*, - წერია ოფიციალურ განცხადებაში.

## შარაპოვა გაერთიანებული ერების ელჩი იქნება

რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა** გაერთიანებული ერების კეთილი ნების ელჩი გახდება. სპეციალური ცერემონიალი ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, 14 თებერვალს გაიმართება. იმავე დღეს, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გამოაცხადებს, რომ საქველმოქმედო მიზნით, გარკვეულ თანხას გადარიცხავს ჩერნობილის ავარიის დროს დაზარალებულთა ფონდში.

გაერთიანებული ერები 1950 წლიდან იწვევს თანამშრომლობისთვის ხელოვნებისა და სპორტის ვარსკვლავებს. ამ ორგანიზაციის კეთილი ნების ელჩები არიან კალათბურთელი **მეჯიქ ჯონსონი**, მოკრივე **მუჰამედ ალი** და მრავალი სხვა ცნობილი სპორტსმენი.

ჰოკეი

## ახალი ტრეიდები

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ორი ტრეიდი განხორციელდა. მოთამაშეები გაცვალეს "მინესოტა უაილდმა" და "ნიუ იორკ რეინჯერსმა". 27 წლის თავდამსხმელი **პასკალ დუპუი** "რეინჯერსში" გადავიდა, ხოლო "უაილდის" რიგები **ადამ ჰოლმა** შეავსო.

დუპუის ამ სეზონში, 48 მატჩში 13 ქულა (10 გოლი+3 პასი) აქვს დაგროვილი, ჰოლმა კი, 49 შეხვედრაში 12 ქულა (4 გოლი+8 პასი) მიითვალა.

ოთხკაციანი ტრეიდი განახორციელეს "ბოსტონმა" და "კალგარიმ". ამერიკიდან კანადაში გაემართნენ - მცველი **ბრედ სტიუარტი** და ცენტრფორვარდი **უეინ პრიმო**, მათ ნაცვლად კი, ბოსტონში მცველი **ენდრიუ ფერენსი** და თავდამსხმელი **ჩაკ კობესიუ** გადაბარგდნენ.

## იაგრი: არის 1500 ქულა!

რეგულარული ჩემპიონატის გუშინდელ ტურში ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. "ვაშინგტონთან" მატჩში, კარიერაში 1500-ე ქულა დააგროვა "ნიუ იორკ რეინჯერსის" ჩეხმა ფორვარდმა **იარომირ იაგრმა**. ის მე-12 ჰოკეისტი გახდა ლიგის ისტორიაში, ვინც ამ ზღვარის გადალახვა მოახერხა. სულ 1165 მატჩში, იაგრმა 612 შაიბა გაიტანა და 889 შედეგიანი პასი გაიტანა.

საინტერესოა, რომ თავისი საიუბილეო ქულა ჩეხმა ვაშინგტონში დააგროვა - ქალაქში, სადაც თავის კარიერაში სამი ყველაზე წარუმატებელი სეზონი გაატარა. იარომირთან ერთად, "ვაშინგტონი" ვერცერთხელ ვერ გავიდა ფლეი ოფში და "რეინჯერსში" მისი ტრეიდის შემდეგ, დედაქალაქური კლუბის ფანებმა შვებით ამოისუნთქეს.

კალათბურთი

## მილერი 20 იანვრამდე დაისვენებს

"საკრამენტო კინგზის" ცენტრალური თავდამსხმელი **ბრედ მილერი** ამ კვირას ვერ დაეხმარება თავის გუნდს და მწყობრში მხოლოდ "ყველა ვარსკვლავის მატჩის" შემდეგ ჩადგება.

კალათბურთელს ის ტრავმა გაუმიზეზდა, რომელიც მან სეზონის სტარტზე მიიღო - ნოემბერში მილერმა 8 თამაში გამოტოვა.

"მეფეების" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მილერი 20 თებერვალს შეძლებს მოედანზე გასვლას, როცა" საკრამენტო" საკუთარ მოედანზე "ბოსტონს" უმასპინძლებს.

## ტომასი თანაგუნდელის ცემისთვის დასაჯეს

"ვაშინგტონ უიზარდსის" ცენტრალური თავდამსხმელი **ეტიან ტომასი** კლუბმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ეს სასჯელი იმ ჩხუბმა გამოიწვია, რომელიც ვარჯიშის დროს, ტომასსა და **ბრენდან ჰეივუდს** შორისატყდა. როგორც "ვაშინგტონ პოსტი" წერს, ტომასი და ჰეივუდი ფარის ქვეშ ბურთისთვის იბრძოდნენ, რაც იმით დასრულდა, რომ ჰეივუდმა პარტნიორს მხარი უბიძგა. ტომასმა გადაწყვიტა, რომ თანაგუნდელი შეგნებულად მოიქცა ასე და ბრენდანს მუშტი უთავაზა.

*"ის ყოველთვის ასე ბინძურად იქცევა*, - განაცხადა ინციდენტის შემდეგ ტომასმა. *რა თქმა უნდა, მართალი არ ვარ და საკუთარ დანაშაულს ვაღიარებ, მაგრამ ასეთ საქციელს ვერ ვიტან. არავის მივცემ უფლებას, ასე მომეპყრას"*.

მძლეოსნობა

## ისინბაევას ახალი რეკორდი

დიდხნიანი შესვენების შემდეგ, რუსმა ჭოკით მხტომელმა **ელენა ისინბაევამ** მორიგი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. დონეცკში გამართულ ტურნირზე, ისინბაევამ 493-სანტიმეტრიანი სიმაღლე დაძლია და ორი სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

# ბიატლონი

## მსოფლიო ჩემპიონატი

# გერმანული ტრიუმფი

იტალიის სამთო კურორტ ანტჰოლც-ანტერსელვაში დასრულდა ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის ბოლო ორ დღესაც, ერთი გამონაკლისის გარდა, ოქროს ყველა მედალი გერმანელებმა დაისაკუთრეს. მათი დომინაცია კი განსაკუთრებით თვალში საცემი ქალებში იყო.

ძალიან საინტერესო გამოდგა ქალთა მასსტარტი, რომლის გამარჯვებული ფინიშის სწორზე გამოვლინდა - ტურინის ოლიმპიადის ვერცხლის სამი მედლის მფლობელი **მარტინა გლაგოვი** კარგა ხანს ახერხებდა თანამემამულე **ანდრეა ჰენკელის** ტემპში სრიალს, მაგრამ შემდეგ დაიღალა და კიდევ ერთ ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაო კი **კატი ვილჰელმს** ერგო.

აღსანიშნავია, რომ ცეცხლის ბოლო ხაზი მეორე და მეოთხე ადგილებზე მყოფმა რუსებმა დატოვეს - **ეკატერინა იურიევამ და ნატალია გუსევამ**, მაგრამ მათ გერმანელების ტემპს ვერ გაუძლეს. იურიევამ, ვისაც ერთი სროლაც არ გაუფუჭებია, საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, მისი თანაგუნდელი კი ფინიშთან ცოტა ადრე მივიდა.

ჰენკელმა ოთხ სასროლეთზე ორ სამიზნეს ააცდინა, მაგრამ სისწრაფის ხარჯზე შეძლო გლაგოვთან ჩამორჩენის აღმოფხვრა. გლაგოვმა რბოლის ბოლოს 15-მეტრიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა, მაგრამ შემდეგ დაიღალა და ველარ შეძლო ჰენკელის ტემპის აყოლა. რაც შეეხება ვილჰელმს, მან ორივე რუსს გაასწრო და თუ სპრინტში მედლის გარეშე დარჩა, ახლა მაინც შეასრულა პროგრამა მინიმუმი.

სამწუხაროდ, ამჯერად ხელი მოეცარა კიდევ ერთ გერმანელს, ორი ოქროს მედლის მფლობელ **მაგდალენა ნოინერს**, ვინც საერთო ჯამში 7 სროლა გააფუჭა და საბოლოოდ, მე-14 ადგილს დასჯერდა. ფიასკო განიცადა ფრანგმა **სანდრინ ბაიმ**, ვინც ნოინერივით მიზანს შვიდჯერ ააცდინა და ასპარეზობის 28 მონაწილეს შორის 24-ე ადგილს დასჯერდა.

*"მიხარია, რომ ავადმყოფობის მიუხედავად, მთელი დისტანცია ჩავარდნის გარეშე გავიარე. იყო მომენტები, როცა გავიფიქრე, რომ რბოლას შევწყვეტდი, მაგრამ საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა"*, - განაცხადა ჰენკელმა, ვინც ჩემპიონატის რამდენიმე დღის წინ მოიწამლა და ამის გამო, სისუსტეს უჩიოდა.

კაცების ესტაფეტა რუსების გამარჯვებით დასრულდა. მათმა კვარტეტმა 40 სროლიდან მხოლოდ ერთი გააფუჭა და მიუხედავად იმისა, რომ მათი კვარტეტი თხილამურებაში სისწრაფით არ გამოირჩეოდა, ფინიშთან პირველები მაინც ისინი მივიდნენ. რუსებს წუთზე მეტით ჩამორჩა ნორვეგიული კვარტეტი. ვიკინგებმა 11 სროლა გააფუჭეს და ერთხელაც **ფროდე ანდრესენმა** საჯარიმო წრე შეასრულა.

ნორვეგიელებზე უკეთ ვერც გერმანელებმა ისროლეს, რომლებსაც დაუზიანებელი 13 სამიზნე დარჩათ და ორჯერაც საჯარიმო წრეს შემოურბინეს. ამის მიუხედავად, ბოლო მუხლზე **მიხაელ გრაისმა** ნორვეგიელთა ლიდერ **ოლე ეინარ ბიორნდალენის** გასწრება შეძლო, თუმცა მალე დაიღალა და კვლავ მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ნოინერმა მესამე ინდივიდუალური ოქრო ვერ მოიპოვა, მაგრამ ესტაფეტაში თანაგუნდელებთან ერთად მაინც იპირველა. გერმანელებმა წუთზე მეტით აჯობეს ფრანგებს, ბრინჯაოს მედალი კი ნორვეგიელებს ერგოთ, რომლებიც ამას თავიანთ მელუზე **ლინდა გრუბენს** უნდა უმადლოდნენ, რომელმაც ასპარეზობა მეექვსე ადგილზე დაიწყო და სამი საფეხურით წინ წაიწია.

გერმანელებმა სროლისას სულ 7 შეცდომა დაუშვეს, თუმცა საჯარიმო წრეზე ერთხელაც არ წასულან. ფრანგებისაც შვიდი შეცდომა მოუვიდათ, რომელთაგან ერთის გამო დისტანცია ერთი საჯარიმო წრით დაუგრძელდათ.

დაბოლოს, მედლების ბოლო კომპლექტი კაცების მასსტარტში გათამაშდა. კარგა ხანს, პირველობისთვის მებრძოლთა შორის ბიორნდალენი იყო, რომელსაც მეტოქეობას უწევდნენ გერმანელები - გრაისი და **ანდრეას ბირნბახერი**. მაგრამ ორი ოქროს მომგებმა ნორვეგიელმა ბოლო ორ სასროლეთზე ორ-ორი სროლა გააფუჭა. თუ პირველ შემთხვევაში მან ჩამორჩენაც აღმოფხვრა და ლიდერობაც დაიბრუნა, მეორედ იგივე თავდადება აღარ გამოუვიდა. მთავარი მეტოქე რომ თავისით ჩამოშორდა, გრაისმა აიწყვიტა და ბირნბახერი უშანსოდ დატოვა. ბიორნდალენი კი ამჯერად უმედლოდ დარჩა. სამაგიეროდ, ბრინჯაოს დაეუფლა სახელოვანი ფრანგი **რაფაელ პუარე**, ვინც ანტჰოლციდან შინ მედლების სრული კომპლექტი გაიყოლა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია). ქალები. მასსტარტი (12.5 კმ)

1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) 37:13.18 (1+0+1+0); 2. მარტინა გლაგოვი (გერმანია) +4.6 (1+0+0+0); 3. კატი ვილჰელმი (გერმანია) +10.6 (0+1+1+0); 4. ნატალია გუსევა (რუსეთი) +20.8 (0+1+0+0); 5. ეკატერინა იურიევა (რუსეთი) +28.2 (0+0+0+0); 6. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) +28.7 (0+0+2+0)...

### ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია). ქალები. ესტაფეტა (4X6 კმ)

1. გერმანია (მარტინა გლაგოვი, ანდრეა ჰენკელი, მაგდალენა ნოინერი, კატი ვილჰელმი) 1:14:19.13 (0+7); 2. საფრანგეთი (ფლორენს ბავერელ-რობერი, დელფინ პერეტო, სილვი ბეკარი, სილვი ბაი) +1:07.8 (1+7); 3. ნორვეგია (ტორა ბერგერი, ან კრისტინ ფლატლანდი, იორი მიორკვე, ლინდა გრუბენი) +1:29.7 (1+6); 4. სლოვენია +1:52.7 (0+7); 5. ბელარუსი +1:58.1 (1+10); 6. ჩინეთი +2:01.0 (0+9)...

### ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია). ვაჟები. ესტაფეტა (4X7.5 კმ)

1. რუსეთი (ივან ჩერეზოვი, მაქსიმ ჩუდოვი, დმიტრი იაროშენკო, ნიკოლაი კრუგლოვი) 1:14:36.16 (0+1); 2. ნორვეგია (ჰალვარდ ჰანევოლდი, ლარს ბერგერი, ფროდე ანდრესენი, ოლე ეინარ ბიორნდალენი) +1:00.5 (1+11); 3. გერმანია (რიკო გროსი, მიხაელ რიოში, სვენ ფიშერი, მიხაელ გრაისი) +1:32.5 (2+13); 4. იტალია +2:05.3 (0+7); 5. ჩეხეთი +2:16.7 (1+8); 6. ავსტრია +2:22.0 (0+6)...

### ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია). ვაჟები. მასსტარტი (15 კმ)

1. მიხაელ გრაისი (გერმანია) 37:52.12 (0+0+2+0); 2. ანდრეას ბირნბახერი (გერმანია) +15.4 (0+0+0+0); 3. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) +28.1 (1+0+0+0); 4. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) +36.3 (0+0+2+2); 5. სვენ ფიშერი (გერმანია) +40.3 (0+0+1+1); 6. ფროდე ანდრესენი (ნორვეგია) +41.8 (1+0+1+1)...



მიხაელ გრაისი

# TV სპორტი

### 12 თებერვალი. ორშაბათი

#### SPORT 1 (უკრაინა)

**08:05** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბრაგანტინო.
**09:50** კრივი. რინგ-საიდი.
**10:50** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-რეინჯერსი.
**12:35** სპორტკლუბი.
**12:50** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**13:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ლაციო.
**15:10** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**15:40** მძლეოსნობა. ვალენსიის გრან-პრი. ესპანეთი.
**18:30** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-კორინთიანსი.
**20:20** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბილბაო.
**22:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** სპორტკლუბი.
**00:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:00** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**01:35** პროფესიული კრივის საღამო.
**04:05** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჩელსი-ვერდერი.
**05:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ლაციო.
**07:45** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

#### EUROSPORT

**11:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
**12:00** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
**12:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი.
**13:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი.
**14:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
**15:00** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. მას-სტარტი. ანტოლცი. იტალია.
**15:30** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ესტაფეტა. ანტოლცი. იტალია.
**16:30** მძლეოსნობა. IAAF-გრან-პრი. კარლსრუე. გერმანია .
**18:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
**19:15** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. მას-სტარტი. ანტოლცი. იტალია.
**19:45** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ესტაფეტა. ანტოლცი. იტალია.
**20:45** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:30** მულტისპორტი.
**22:00** სუმო.
**23:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ნიუპორტი (LIVE).
**02:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
**03:30** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. მას-სტარტი. ანტოლცი. იტალია.
**04:00** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლაიპციგი (გერმანია)-ვიბორგი (დანია).
**14:00** სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო (რუსეთი)-ლუბლიანა (სლოვენია).
**18:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლაიპციგი (გერმანია)-ვიბორგი (დანია).
**19:00** ლაკროსი.
**20:30** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. არე. შვედეთი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
**22:00** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** კალათბურთი. ესპანეთის თასი. ფინალი.
**00:30** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**01:00** ნარდი. რივიერას თასი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
**03:15** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| მაიამი-სან ანტონიო | 100:85 |
| ვაშინგტონი-პორტლენდი | 73:94 |
| ინდიანა-კლიპერსი | 94:80 |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპია-პანიონიოსი | 71:63 |
| არისი-მაკედონიკოსი | 65:53 |
| აეკ-მარუსი | 72:44 |
| აეკ-პანათინაიკოსი | 52:82 |
| ოლიმპიაკოსი-აპოლონი | 95:71 |
| პაოკ-აელ | 83:74 |
| **ესპანეთის თასი** | |
| ხუვენტუდი-ბარსელონა | 70:84 |
| ტაუ-რეალი | 72:74 |
| რეალი-ბარსელონა | 53:69 |
| **იტალიის თასი** | |
| მილანი-ვირტუსი | 85:87 (ო) |
| მონტეპასკი-ბენეტონი | 75:76 |
| ვირტუსი-ბენეტონი | 65:67 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| ლე მანი-ნანსი | 78:70 |
| რუანი-ვილერბანი | 85:62 |
| რუანი-ლე მანი | 87:82 |

### ჰოკეი

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| მარტინი-ნიტრა | 4:0 |
| ევროტური | |
| ჩეხეთი-ფინეთი | 5:0 |
| შვედეთი-რუსეთი | 6:2 |
| რუსეთი-ჩეხეთი | 2:2 ო.ტ. 4:3 |
| შვედეთი-ფინეთი | 1:0 |
| **შკოდას თასი** | |
| გერმანია-ავსტრია | 4:6 |
| შვეიცარია-სლოვაკეთი | 3:2 |
| სლოვაკეთი-გერმანია | 2:2 პენ. 2:3 |
| ავსტრია-შვეიცარია | 1:3 |

### ჩოგბურთი

| WTA. პარიზი | |
|---|---|
| პეტროვა-საფაროვა | 4:6, 6:1, 6:4 |

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### 9 თებერვალი

**რეინჯერსი-ტამპა ბეი 5:0**

2:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 ორი-1 (ტიუტინი-11, ბეტსი-2), 2:0 მარსელ ჰოსა-4 (როჟსივალი-21, სტრაკა-35), 3:0 ჰოლვეგი-1 (იაგრი-45), 4:0 ეივერი-11 (ნიულანდერი-41, შენეჰანი-25), 5:0 იაგრი-21 (სტრაკა-36).

**ედმონტონი-ჩიკაგო 2:1**

1:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 ტორესი-11 (მ-ა. ბერჟერონი-17, ჰორკოფი-25), 2:0 ჰორკოფი-12 (რ. სმიტი-19, სიკორა-24), 2:1 ჰავლატი-21 (ბარკერი-3, ტ. რუუტუ-17).

### 10 თებერვალი

**ბოსტონი-აილენდერსი 4:3 (ბ)**

2:1, 0:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ვიქ. კოზლოვი-20 (კამპოლი-7), 1:1 შტურმი-14 (კესელი-6), 2:1 პ. ბერჟერონი-18, 2:2 სილინჯერი-18 (კამპოლი-8, ჰილბერტი-13), 3:2 შატანი-19 (ჯ. ბლეიკი-21, პოტი-20), 3:3 შტურმი-15 (კესელი-7, პ. ბერჟერონი-34).

ბულიტები გაიტანეს: ვიქ. კოზლოვი (აილენდერსი), პ. ბერჟერონი (ბოსტონი), რ. რობიტაილი (აილენდერსი), ტენკრატი (ბოსტონი), ხარა (ბოსტონი).

**მონრეალი-ოტავა 3:5**

0:2, 2:1, 1:2

გოლები: 0:1 კომრი-13 (ვერმეტი-13, პრისინგი-25), 0:2 კელი-10 (კომრი-18, ვერმეტი-14), 1:2 ბიგინი-3 (მ. ჯონსონი-15), 2:2 რაიდერი-16 (სურეი-27, პლეკანეცი-17), 2:3 რედენი-5 (ალფრედსონი-34, ჰიტლი-37), 2:4 ფიშერი-10 (ალფრედსონი-35, შეფერი-21), 2:5 სპეცა-22 (ჰიტლი-38, მაკამონდი-11), 3:5 მარკოვი-4 (ს. კოივუ-28, სურეი-28).

**ვაშინგტონი-რეინჯერსი 2:5**

1:1, 0:1, 1:3

გოლები: 0:1 როჟსივალი-7 (პრუხა-12, იაგრი-46), 1:1 ოვეჩკინი-34 (კ. კლარკი-19, გრინი-8), 1:2 მარსელ ჰოსა-5 (შენეჰანი-26, კულენი-15), 2:2 კ. კლარკი-24 (სიომინი-25), 2:3 როჟსივალი-8 (ნიულანდერი-42, იაგრი-47), 2:4 სტრაკა-25 (იაგრი-48), 2:5 სტრაკა-26 (მარსელ ჰოსა-5, რახუნეკი-17).

**ნეშვილი-ლოს ანჯელესი 1:4**

0:0, 0:3, 1:1

გოლები: 0:1 კოპიტარი-15 (ვიშნოვსკი-29, კამალერი-32), 0:2 უილსი-6 (ლუნდმარკი-5, ო'სალივანი-2), 0:3 კოპიტარი-16 (ჯ. უორდი-7), 0:4 კამალერი-23 (ფროლოვი-28, ვიშნოვსკი-30), 1:4 ჰამჰუისი-5 (ლეგვანდი-28, რადულოვი-13).

**მინესოტა-კაროლინა 5:4**

4:2, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 ჯასტინ უილიამსი-29 (კომოდორი-15, ე. სტაალი-28), 1:1 პერიში-16 (კარნი-10), 2:1 ბუშარი-15 (ჰოლი-9, მ. კოივუ-23), 3:1 გაბორიკი-15 (პერიში-14, დემიტრა-25), 4:1 გაბორიკი-16 (ნუმელინი-16, დემიტრა-26), 4:2 რეი უიტნი-25 (ბრინდამორი-46), 4:3 ე. სტაალი-24 (რეი უიტნი-42, გრემი-2), 5:3 დემიტრა-15 (გაბორიკი-9, კ. იონსონი-13), 5:4 ლედი-5 (ე. სტაალი-29, უოლკერი-21).

**დალასი-ანაჰაიმი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ი. იოკინენი-11 (ზუბოვი-25, ჰაგმანი-9).

**ფილადელფია-სტ. ლუისი 3:4 (ო)**

0:0, 2:2, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 სტემპნიაკი-17 (ვიდემანი-15, უეიტი-30), 1:1 ჯ. კარტერი-9 (პიკარი-12), 2:1 მ. რიჩარდსი-3 (კალდერი-8, სანდერსონი-11), ტკაჩუკი-18 (გერინი-18, უეიტი-31), 2:3 ბეიკსი-2 (დვორაკი-20, ტკაჩუკი-21), 3:3 განიე-27 (დ. ჰეთჩერი-3, ფორსბერგი-28), 4:3 განიე-28 (ნუბლი-18, ჟიტნიკი-17).

**ტორონტო-პიტსბურგი 5:6 (ო)**

0:1, 3:2, 2:2, 0:1

გოლები: 0:1 ჯ. სტაალი-21 (ულეტი-21, მალკინი-34), 0:2 მალკინი-27 (კროსბი-62, გონჩარი-36), 0:3 ჯ. სტაალი-22 (მალკინი-35, ნასრედინი-1), 1:3 ანტროპოვი-9 (პონიკაროვსკი-16, სუნდინი-29), 2:3 სუნდინი-22 (ანტროპოვი-9, პონიკაროვსკი-17), 3:3 ბატალია-9 (კილგერი-11, ტ. კაბერლე-36), 4:3 მაკეიბი-10 (სტინი-12, ო'ნილი-21), 4:4 მელოუნი-9 (რეკი-34, გონჩარი-37) 5:4 დევერო-3 (მაკეიბი-29, ბატალია-15), 5:5 ტელბოტი-7 (რაიან უიტნი-32), 5:6 ჯ. სტაალი-23 (მალკინი-36).

**ბაფალო-კალგარი 3:2 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ჰუსელიუსი-25 (ფანოფი-23, ჰამრლიკი-15), 1:1 ვანეკი-29 (დ. რუა-28, კალინინ-14), 1:2 მოსი-6 (ტანგეი-36, ჰამრლიკი-16), 2:2 ბრიერი-24 (ჰეხტი-18, ტალინდერი-4).

ბულიტები გაიტანეს: კოტალიკი (ბაფალო).

**ფლორიდა-ფინიქსი 5:2**

2:0, 1:0, 2:2

გოლები: 1:0 ჰორტონი-18 (გელინასი-17, ალენი-11), 2:0 ო. იოკინენი-24 (ჰორტონი-25, ვან რინი-16), 3:0 რობერტსი-13 (გრეტონი-11, ლოიეკი-1), 4:0 გელინასი-10 (კოლნიკი-9), 4:1 სიოსტრომი-7 (რიონიკი-11), 5:1 გრეტონი-9 (ო. იოკინენი-33), 5:2 ბალარდი-3 (ზ. მიხალეკი-22, ნადი-33).

**ვანკუვერი-ატლანტა 3:2**

1:0, 2:1, 0:1

გოლები: 1:0 ბ. მორისონი-13 (ლინდენი-7, კუკი-8), 2:0 ნესლუნდი-18 (მორანი-1, ოლუნდი-17), 3:0 ბ. მორისონი-14 (ს. სალო-16, ლინდენი-8), 3:1 სიმი-15 (ბულტონი-2, ჰნიდი-7), 3:2 კოვალჩუკი-32 (ვიაჩ. კოზლოვი-40, მარიან ჰოსა-39).

## დევისის თასი. 1/8 ფინალი

| ჩეხეთი-აშშ | 1:4 |
|---|---|
| 0:1 | მინარი-**როდიკი** 4:6, 6:4, 2:6, 3:6 |
| 1:1 | **ბერდიჩი**-ბლეიკი 6:1, 2:6, 7:5, 7:5 |
| 1:2 | დლუჰი/ვიზნერი-**ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი** 4:6, 4:6, 4:6 |
| 1:3 | ბერდიჩი-**როდიკი** 6:4, 3:6, 2:6, 6:7 |
| 1:4 | დლუჰი-**ბ. ბრაიანი** 6:7, 4:6 |

| შვეიცარია-ესპანეთი | 2:3 |
|---|---|
| 1:0 | **ჩიუდინელი**-ვერდასკო 6:3, 6:4, 3:6, 7:6(2) |
| 1:1 | ბოლი-**ფერერი** 3:6, 2:6, 2:6 |
| 1:2 | ალეგრო/ჩიუდინელი-**ლოპესი/ვერდასკო** 6:7(5), 7:6(3), 7:6(2), 1:6, 10:12 |
| 1:3 | ბოლი-**ვერდასკო** 3:6, 3:6, 2:6 |
| 2:3 | **ჩიუდინელი**-ფერერი 3:6, 6:3, 6:3 |

| ჩილე-რუსეთი | 2:3 |
|---|---|
| 0:1 | მასუ-**საფინი** 3:6, 2:6, 2:6 |
| 0:2 | გონსალესი-**ანდრეევი** 6:4, 4:6, 3:6, 2:6 |
| 1:2 | **გონსალესი/მასუ**-ანდრეევი/საფინი 7:6(3), 6:3, 6:4 |
| 2:2 | **გონსალესი**-საფინი 6:3, 7:5, 6:4 |
| 2:3 | მასუ-**ანდრეევი** 2:6, 1:6, 7:6, 4:6 |

| გერმანია-ხორვატია | 3:2 |
|---|---|
| 1:0 | **ჰაასი**-ანჩიჩი 2:6, 6:4, 6:4, 6:4 |
| 1:1 | ბეკერი-**ლუბიჩიჩი** 7:6 (4), 4:6, 2:6, 3:6 |
| 2:1 | **კოლმანი/ვასკე**-ანჩიჩი/ლუბიჩიჩი 6:4, 6:2, 7:6(5) |
| 3:1 | **ჰაასი**-ლუბიჩიჩი 6:2, 7:6, 6:4 |
| 3:2 | ბეკერი-**ჩილიჩი** 4:6, 6:1, 1:6 |

| ბელგია-ავსტრალია | 3:2 |
|---|---|
| 1:0 | **ვლიეგენი**-ჰიუიტი 4:6, 6:4, 3:6, 6:3, 6:4 |
| 2:0 | **ო. როხუსი**-გუჩიონე 3:6, 7:5, 6:2, 6:3 |
| 2:1 | ო. როხუსი/ვლიეგენი-**ჰანლი/ჰიუიტი** 2:6, 4:6, 2:6 |
| 2:2 | ო. როხუსი-**ჰიუიტი** 2:6, 3:6, 7:6, 6:3, 1:6 |
| 3:2 | **ვლიეგენი**-გუჩიონე 6:4, 6:4, 6:4 |

| ბელარუსი-შვედეთი | 2:3 |
|---|---|
| 0:1 | ვოლტჩკოვი-**სიოდერლინგი** 3:6, 6:7(1), 1:6 |
| 0:2 | მირნი-**ტ. იოჰანსონი** 4:6, 4:6, 4:6 |
| 1:2 | **მირნი/ვოლტჩკოვი**-ასპელინი/ბიორკმანი 7:5, 4:6, 7:5, 6:3 |
| 1:3 | მირნი-**სიოდერლინგი** 7:6, 5:7, 7:6, 6:7, 3:6 |
| 2:3 | **ვოლტჩკოვი**-ტ. იოჰანსონი 6:4, 7:5 |

| ავსტრია-არგენტინა | 1:4 |
|---|---|
| 0:1 | კუბეკი-**აკასუსო** 6:7(6), 1:6, 4:6 |
| 0:2 | მელცერი-**კანიასი** 6:7(6), 2:6, 4:6 |
| 1:2 | **ნოული/მელცერი**-აკასუსო/პრიეტო 6:3, 6:7(2), 6:1, 7:5 |
| 1:3 | მელცერი-**დელ პოტრო** 6:7, 6:3, 4:6, 6:4, 2:6 |
| 1:4 | პეია-**კანიასი** 6:4, 1:6, 1:6 |

| საფრანგეთი-რუმინეთი | 4:1 |
|---|---|
| 1:0 | **გასკე**-ჰანესკუ 7:5, 6:2, 6:2 |
| 2:0 | **გროსჟანი**-პაველი 4:6, 5:7, 6:3, 6:1, 6:2 |
| 2:1 | კლემანი/ლოდრა-**მერგეა/ტეკაუ** 6:3, 5:7, 5:7, 7:6(3), 9:11 |
| 3:1 | **გასკე**-პაველი 6:3, 6:2, 7:5 |
| 4:1 | **კლემანი**-მერგეა 7:5, 7:6 |

### მეოთხედფინალი

რუსეთი-საფრანგეთი
გერმანია-ბელგია
აშშ-ესპანეთი
შვედეთი-არგენტინა

მეოთხედფინალები 6-8 აპრილს გაიმართება პირველად დასახელებული ქვეყნის მოედანზე

■■■

გერმანიასთან დამარცხების შემდეგ, ხორვატმა **ივან ლუბიჩიჩმა** გამოაცხადა, რომ ასრულებს სანაკრებო კარიერას და ამიერიდან, მხოლოდ ATP-ის ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას.

*"ერთხელ უკვე მოვიგე დევისის თასი და არანაირი სურვილი არ მაქვს, მისი დაუფლებისთვის ხელმეორედ ვიბრძოლო"*, - ასეთი სიტყვები განუცხადა მან სააგენტო "როიტერს".

## სიჩქარებით სრბოლა

მსოფლიო ჩემპიონატი. მრავალჭიდი. ჰერენვეენი. ჰოლანდია

### მამაკაცები

**500 მ.** 1. ვენემარსი (ჰოლ) - 35.79; 2. მორისონი (კან) - 35.81; 3. დევისი (აშშ) - 35.84; 4. ფაბრისი (იტა) - 36.27; 5. კრამერი (ჰოლ) - 36.41; 6. სკობრევი (რუს) - 36.43.

**5000 მ.** 1. კრამერი - 6:12.97; 2. ვერჰეიენი (ჰოლ) - 6:16.16; 3. ფაბრისი - 6:19.10; 4. ბოკო (ნორ) - 6:20.94; 5. ოლდე ჰოიველი (ჰოლ) - 6:20.37; 6. დანკერსი (კან) - 6:24.29.

**1500 მ.** 1. ვენემარსი - 1:45.19; 2. მორისონი - 1:45.70; 3. ფაბრისი - 1:45.97; 4. დევისი - 1:46.10; 5. ვერჰეიენი - 1:47.18; 6. კრამერი - 1:47.20.

**10000 მ.** 1. კრამერი - 12:49.88 (მსოფლიო რეკორდი); 2. ვერჰეიენი - 12:55.30; 3. ერვიკი (ნორ) - 13:08.92; 4. ფაბრისი - 13:10.80; 5. ბოკო - 13:14.03; 6. ოლდე ჰოიველი - 13:18.38.

**საერთო ჩათვლა**: 1. კრამერი (მსოფლიო ჩემპიონი) - 147.934; 2. ფაბრისი - 149.043; 3. ვერჰეიენი - 149.237; 4. ბოკო - 150.325; 5. ვენემარსი - 150.601; 6. დევისი - 150.712.

### ქალები

**500 მ.** 1. ფრიზინგერი (გერ) - 38.38; 2. ვიუსტი (ჰოლ) - 38.44; 3. კლასენი (კან) - 38.68; 4. ლობიშევა (რუს) - 38.88; 5. ვანგი (ჩინ) - 39.05; 6. ნესბიტი (კან) - 39.18.

**3000 მ.** 1. ვიუსტი - 4:00.28; 2. ფრიზინგერი - 4:04.00; 3. კლასენი - 4:05.24; 4. ვან დოიტეკომი (ჰოლ) - 4:05.35; 5. საბლიკოვა (ჩეხ) - 4:05.87; 6. პეხშტაინი (გერ) - 4:06.83.

**1500 მ.** 1. ვიუსტი - 1:54.05; 2. ფრიზინგერი - 1:55.90; 3. ნესბიტი - 1:56.08; 4. კლასენი - 1:56.37; 5. ვან დოიტეკომი - 1:56.97; 6. გროვსი (კან) - 1:57.33.

**5000 მ.** 1. საბლიკოვა - 6:49.31; 2. პეხშტაინი - 6:59.98; 3. ვიუსტი - 7:01.60; 4. ჰაუგლი (ნორ) - 7:03.19; 5. გროვსი - 7:03.71; 6. კლასენი - 7:04.11.

**საერთო ჩათვლა**: 1. ვიუსტი (მსოფლიო ჩემპიონი) - 158.662; 2. ფრიზინგერი - 160.515; 3. კლასენი - 160.754; 4. პეხშტაინი - 162.302; 5. საბლიკოვა - 162.405; 6. ვან დოიტეკომი - 162.442.

## რალი

მსოფლიო ჩემპიონატი
შვედეთის რალი (II ეტაპი)

1. გრონჰოლმი ("ფორდი", ფინეთი) - 3:07.00; 2. ლოები ("სიტროენი", საფრანგეთი) - +00.49; 3. ჰირვონენი ("ფორდი", ფინეთი) - +01.36; 4. ჰ.სოლბერგი ("ფორდი", ნორვეგია) - +02.04; 5. კარლსონი ("სიტროენი", შვეიცარია) - +03.35; 6. გარდემაისტერი ("მიცუბიში", ფინეთი) - +03.52; 7. შტოლი ("სიტროენი", ავსტრია) - +05.07; 8. ატკინსონი ("სუბარუ", ავსტრალია) - +05.31.

საერთო ჩათვლა: 1. ლოები - 18 ქულა; 2. გრონჰოლმი - 16; 3. ჰირვონენი - 10; 4. სორდო ("სიტროენი", ესპანეთი) - 8; 5. ატკინსონი - 6; 6. გარდემაისტერი - 5; 6. ჰ.სოლბერგი - 5; 8. კარლსონი - 4.

კონსტრუქტორთა თასი: 1. სიტროენი - 18 ქულა; 2. ფორდი - 10; 3. სუბარუ - 8; 4. მიცუბიში - 2; 5. შკოდა - 1.





შვედეთის მეფე კარლ გუსტავი პერსონს ულოცავს

მსოფლიო ჩემპიონატი

# ოქროს ანია

შვედი **ანია პერსონი** პირველი სამთო მოთხილამურეა, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლები ხუთივე დისციპლინაში აქვს მოპოვებული. ამ წარმატებას მან მას შემდეგ მიაღწია, რაც შვედეთის არეში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, დაშვების რბოლა მოიგო.

პერსონმა, ვისაც ამ სეზონში, მსოფლიოს თასზე ერთი რბოლაც არ აქვს მოგებული, მაგრამ არეში უკვე სამი ოქრო დაინადავლა, ჯერ კიდევ კომბინაციაში ასპარეზობისას, დაშვების ცდაზე ყველა მეტოქე დაჯაბნა. გუშინ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ხორვატი **იანიცა კოსტელიჩის** არყოფნაში, მას ბადალი არ ჰყავს.

მიმდინარე ჩემპიონატზე, 25 წლის პერსონმა უკვე მოიგო სუპერგიგანტი, სუპერკომბინაცია და დაშვება. დარჩა სლალომი და გიგანტური სლალომი, ორი დისციპლინა, რომლებშიც მან წინა ჩემპიონატებზე მოიპოვა ოქროს მედლები. მას შანსი აქვს, ეს ორი რბოლაც მოიგოს. მაგრამ ამ უნიკალური შედეგის მიღწევაში მისთვის ხელის შეშლა შეუძლია ავსტრიელ **მარლის შილდს**, ვისაც მსოფლიოს თასზე ხუთი სლალომი აქვს მოგებული.

*"დაშვების მოგებით დიდი ხნის ოცნება ავისრულე. ეს გამარჯვება ჩემთვის იმდენად სასიხარულო მოვლენაა, რომ ჯერაც ვერ ვიჯერებ, რომ ეს შევძელი"*, - განაცხადა პერსონმა, ვინც, მას შემდეგ, რაც **გიორლმა** გამოსვლა დაასრულა, თავისი საფირმო ნახტომი "მერცხალი" შეასრულა.

პერსონმა დაშვებისას შუა გზაზე რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომა კი დაუშვა, თუმცა მაინც 0.40 წამით აჯობა მეორეზე გასულ ამერიკელ **ლინდსი კილდოუს**. ამან ტრასის საწყის სეგმენტში დაუშვა შეცდომა, რის გამოც ტემპი დაკარგა და მეორე შედეგი რომ უჩვენა, ესეც დიდი მიღწევაა. ბრინჯაოს მედალი კი ავსტრიელ **ნიკოლ ჰოსპს** ერგო, ვისთვისაც ეს მესამე ბრინჯაოა.

*"შეცდომა რომ დავუშვი, გავიფიქრე, რომ მედლის იმედი აღარ უნდა მქონოდა. მაგრამ შემდეგ ყოველგვარი ზეწოლა მომეხსნა და ისე ვისრიალე, როგორც შემეძლო. აღარც შეცდომა დამიშვია და თითქმის ნახევარი წამიც ამოვქაჩე. მოკლედ, ძალიან გამიმართლა, რომ მეორე ადგილზე დავრჩი"*, - განაცხადა კილდოუმ, ვინც ვარჯიშზეც და სუპერკომბინაციის დაშვების ცდაზეც მხოლოდ პერსონს ჩამორჩა.

ხელი მოეცარა ჩქაროსნული რბოლების ავსტრიელ სპეციალისტ **რენატე გიორლს**, ვინც არეში გამგზავრებამდე, მსოფლიო თასზე ბოლო სამი დაშვება მოიგო, მაგრამ ფერდობ "სტრეკეზე" რამდენიმე შეცდომა დაუშვა, რის გამოც მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

აღსანიშნავია, რომ 31 წლის ავსტრიელმა დაშვებაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ერთადერთხელ, 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვა, რომელიც აშშ-ის ვეილში ჩატარდა. მაგრამ მას შემდეგ, იმ მიღწევის გამეორებას ველარ ახერხებს.

ცნობისთვის, უკვე მოპოვებული სამი გამარჯვებით, პერსონმა გაიმეორა კოსტელიჩის მიღწევა - ხორვატმა წინა ჩემპიონატზე (ბორმიო, იტალია) ოქროს სამი მედალი (დაშვებაში, კომბინაციასა და სლალომში) მოიპოვა. ახლა კი პერსონს შანსი აქვს, თავისი ძველი მეტოქის ეს მიღწევა გააუმჯობესოს.

გუშინვე დაშვებაში ერთმანეთს კაცებიც შეეჯიბრნენ. მათი რბოლა ერთი დღით ადრე იყო დანიშნული, მაგრამ ისევ და ისევ ამინდის (ნისლი) გამო, რბოლა გადაიდო. ფერდობ "ოლიმპიაზე" დაშვება ყველაზე სწრაფად და უშეცდომოდ მსოფლიო თასის გათამაშების აბსოლუტური კლასიფიკაციის ლიდერმა, ნორვეგიელმა **აქსელ ლუნდ სვინდალმა** შეძლო.

ამავე რბოლაში, არეში მიმდინარე ჩემპიონატის კიდევ ერთი სენსაცია დაფიქსირდა - დაშვებაში ვერცხლის მედალი კანადელმა **იან ჰუდეცმა** მოიპოვა. მან, პირველ რიგში, იმ გარემოებით ისარგებლა, რომ თითქმის ყველა ფავორიტმა თავისი ცდის შესრულებისას სერიოზული შეცდომა დაუშვა. ნაკლებად სენსაციური იყო 37 წლის შვედ **პატრიკ იარბენის** მიერ ბრინჯაოს მედლის მოპოვება.

*"ძალიან განბილებული დავრჩი, როცა წინა ორ რბოლაში მედლის მოპოვება ვერ შევძელი. დაშვების იმედი რბოლის წინაც მქონდა, რადგან ეს ტრასა კარგად შესწავლილი მაქვს და მასზე სრიალითაც დიდ სიამოვნებას ვღებულობ. ისე, სიმართლე ითქვას, დაშვებაში მედლის აღებას კი ვიმედოვნებდი, მაგრამ მოგებაზე არც მიფიქრია. ჩემი აზრით, გადამწყვეტი გამოდგა ის გარემოება, რომ ტრასის შუა ნაწილში დიდი სიჩქარე ავკრიფე და თანაც ისე, რომ შეცდომა არ დამიშვია. მოკლედ, მოვიგე და შემიძლია ვთქვა, რომ ეს საშინაო გამარჯვებაა, რადგან მეზობელ ქვეყანაში ვასპარეზობ და თანაც, ტრიბუნიდან უამრავი ნორვეგიელი მქომაგობდა. შემიძლია ვთქვა, რომ დაშვებაში მოპოვებული ოქრო იმაზე მეტია, რისი იმედიც არეში მქონდა"*, - განაცხადა სვინდალმა, ვისგანაც ბევრი გამარჯვებას ელოდა სუპერგიგანტსა და კომბინაციაშიც, თუმცა იმ ორ რბოლაში ნორვეგიელმა შეცდომები დაუშვა.

მხოლოდ მეშვიდე შედეგს დასჯერდა დაშვების მოქმედი ჩემპიონი, ამერიკელი **ბოდე მილერი**, ვისაც პირველ სექტორში ნორვეგიელზე უკეთესი დრო ჰქონდა, მაგრამ შემდეგ შეცდა და გამარჯვების რეალური შანსიც ხელიდან გაუშვა.

მილერივით, თავიდან კარგად დაიწყო ავსტრიელმა **მიხაელ ვალხჰოფერმაც**, მაგრამ ტრასის მეორე ნაწილში რამდენჯერმე შეცდა, რის გამოც ათეულშიც ვერ შევიდა. ამგვარად, ავსტრიელებმა დაშვებაში ერთი მედალიც ვერ აიღეს, რაც ბოლო ათ წელიწადში პირველად მოხდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

არე (შვედეთი). ვაჟები. დაშვება

**1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 1:44.68; 2. იან ჰუდეცი (კანადა) 1:45.40; 3. პატრიკ იარბენი (შვედეთი) 1:45.65; 4. ერიკ გაი (კანადა) 1:45.67; 5. ამბროზი ჰოფმანი (შვეიცარია) 1:45.68; 6. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:45.69; 7. ბოდე მილერი (აშშ) 1:45.95; 8. მარიო შაიბერი (ავსტრია) 1:45.99; 9. მანუელ ოზბორნ-პარადიზი (კანადა) 1:46.11; 10. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 1:46.12...**

არე (შვედეთი). ქალები. დაშვება

**1. ანია პერსონი (შვედეთი) 1:26.89; 2. ლინდსი კილდოუ (აშშ) 1:27.29; 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:27.37; 4. ნადია შტიგერი (შვეიცარია) 1:27.82; 5. დომინიკ ჟისენი (შვეიცარია) 1:27.88; 6. ნიკე ბენტი (შვედეთი) 1:27.93; 7. რეგატე გიორლი (ავსტრია) 1:27.94; 8. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 1:27.95; 9. მარია რიში (გერმანია) 1:27.98; 10. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:28.09...**

ლელო
ქართული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძოლიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა